

მედიცინა:

ლეიკოზანი უჯრედები

ლეიკოზანი უჯრედების სანაერთვადოში გამოყენების
მსიხა შენაძრებლობა და ეილი მოლოინია

მთავარი თემა
ივანიშვილი
უჯრედებსო

გვ. 18

ინტარვიუ

ზაზა პათირიშვილთან

"უესტანსიიანი
ოიბაჰი
სინაძვირეში
მისი
სანაშვილია"

გვ. 14

ჟურნალისტური
გამოძიება


სანადნიფოს
მიხ
ბალოსხეუნი
ოი ბონანის
ისტოიია

გვ. 28

ISSN 1987-7528



9 771987 752008



FM
სამუზიკო
98.0





მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

რედაქტორი
სოფო ბუკია

რედაქტორი /საზოგადოება/
თამარ ბაბუაძე

ჟურნალისტური გამომცემი
ნინო ზურიაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ნანა საჯავაძე

ჟურნალისტები:

მაია წიკლაური, ეკა ჭითანავა, თამარ ფარადაშვილი, ცირა გვასალია, მალხაზ ჭკადუა, ზურა ვარდიანი, მარიამ ანტა თვაური

კონტრიბუტორები:

გიორგი ცხადაია, მარკ მალენი, ოლესია ვარდიანი, კახა თოლორაძე, გივი მგელაძე, მაგდა მეზანიშვილი, მარიამ ამურველაშვილი

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია
კორექტორი თამარ ლონდაძე

გამომცემლობა:

დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი
ბაზილიკონისა და ბიზნისის
ბანკითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი
კლიენტთა მომსახურებისა და
დისტრიბუციის მენეჯერი
ნათია რუსაძე

ბაზილიკონის მენეჯერები:

ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი,
ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან
მეგრელიძე, ელენე ხარაზაშვილი,
მარიამ მიქელაშვილი, ზურაბ
ზანდარაშვილი, თინა ოსეფაშვილი

დისტრიბუტორები:

მიხეილ გედენიძე

ჟურნალის გამომცემის მსურველებმა
დარეკეთ: 2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი



უკვე რახანია, მეჩვენება, რომ ძალიან ერთფეროვანი გახდა ჩვენი საჯარო სივრცე. თითქოს საკუთარ თავს ველაპარაკებით და მხოლოდ იმის მოსმენა გვინდა, რასაც დავეთანხმებით. მონოლოგების სმენა კი საშინლად უინტერესო ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი უსასრულოდ მეორდება და უკვე ზედმინებით ზუსტად იცი, ვინ რას იტყვის და როგორ.

მოუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პროცესი საგრძნობლად გამოცოცხლდა, ახალი თითქოს ისევ არაფერია. ხელისუფლება ჩვეულ ილეთებს იყენებს, საზოგადოების დიდი ნაწილი მორიგი მესიის მოლოდინშია, ინტელექტუალები ქილიკობენ და ფრთხილობენ, ემანდ, გომობაში არ დასდონ ბრალი... ბიძაჩემი გივი კი, რომელიც მარად ახერხებს იყოს „ხალხი“, ისევ იგინება, ოთხივე კუთხით, თან ისე გულიანად, რომ მეც მიყოლიებს.

ერთფეროვნების დასაძლევად, ვეძებ ახალ აზრებს, აზრებს, რომელსაც დავეთანხმები ან არ დავეთანხმები, ადამიანებს, რომლებსაც რაღაც ღირებული აქვთ სათქმელი და „საზოგადოებრივი აზრი“ ნაკლებად ადარდებთ... ისევე, როგორც ამ აზრების პოლიტიკორექტულობა და მიზანშეწონილობა.

„ლიბერალის“ ამ ნომერში და ჩვენს ვებგვერდზე რამდენიმე ასეთი „ახალი აზრია“. საინტერესოა ინტერვიუ ზაზა შათირიშვილთან, აქვე ერთი ფრაგმენტი: „ბიძინა ივანიშვილიც არის საშინელი მარცხის შემდეგ მოსული მორალური პოლიტიკოსი, ვგულისხმობ „ვარდების რევოლუციის“ და 2008 წლის ომში დამარცხებას. გვინდა თუ არ გვინდა, მაინც ვართ სახელისუფლებო რიტორიკის გავლენის ქვეშ და გვაგინდება, რომ ჩვენ ვართ დამარცხებული ქვეყანა. კონრად ადენაუერი და მისნაირი ადამიანები ჩნდებიან ძალიან დიდი კატასტროფის შემდეგ, ის მოვიდა ქრისტიანული ლოზუნგებით, რამაც გერმანიაში საბოლოოდ ჩამოაყალიბა პატიების საზოგადოება. ევროპაში მე-20 საუკუნის 40-იან წლებში გამოჩნდა სამი ასეთი ადამიანი: კონრად ადენაუერი, რობერტ შუმანი და ალჩიდე დე გასპერი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ასეთი ადამიანები მოდიან ძალიან დიდი დამარცხების შემდეგ – საქართველოშიც დიდი პოლიტიკური და მორალური მარცხის შემდეგ მოდის მორალური პოლიტიკოსი“.

საინტერესო იყო ირაკლი კაკაბაძის ბლოგიც: „მიშელ ფუკო ლიბერალურ სიბნელეს „განმანათლებლობის სახელით შანტაჟს“ უწოდებდა. თუკი ჩვენ რელიგიურ ფუნდამენტალიზმს ვებრძვი, მაშინ არც ლიბერალურ ფუნდამენტალიზმთან დაპირისპირების უნდა შეგვეშინდეს. სამყაროს შუთერთად ხედვა პრიმიტივიზმის მთავარი ნიშანია“.

იგივე აზრის გაგრძელებაა ამონარიდი ბექა ქურხულის საავტორო სვეტიდან: „ან ეს გლობალურად აზროვნება საიდან, ე?... თუ აზროვნებ, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ გლობალურადაც აზროვნებ, კოსმიურადაც და აზრის ძალაც სწორედ ეგ არის, რომ შეგიძლია სამყაროს კიდესაც გასცდე. თუ ვერა და, საერთოდ ვერ აზროვნებ და მაგას გეოგრაფიული მდებარეობა, სიტყვების თამაში და კაკანი არ შეეღის, სხვათა შორის, არც „აჩქები“... ისევე, როგორც იმის განცხადება, რომ, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიო მოქალაქე ხარ... შენ კი ხარ მსოფლიო მოქალაქე, მაგრამ მსოფლიო გთვლის შენ თავის მოქალაქედ? აინტერესებს საერთოდ, რომელ ორღობეს ან შუქნიშანს დაეკარგე? თუ ესეც მართლა იმ „გლობალური პროვინციალიზმის“ კიდევ ერთი უტყუარი ნიშანია, რომელიც ძალიან, ძალიან დიდი ხანია საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს ნაკლად და სირცხვილად იქცა და რასაც ჩვენი გამოჩენილი ლიბერალები „ქვეყნიერების სასაცლიოდ“ ლიბერალიზმს ეძახიან?“

ილია ჭავჭავაძის ციტირება ყველას გვიყვარს. ჰოდა, დავაბრუნოთ ჩვენს საჯარო სივრცეში ილია.

შორენა შავერდაშვილი

ფოტო: სპეციალური მხარდაჭერა



ვერსად უნდა იქნას მოლაპარაკებები

საქართველო უშედეგოდ ცდილობდა რუსეთთან მოლაპარაკებებს ერთ სადავო საკითხზე – როგორ უნდა მოხდეს აფხაზეთში, მდინარე ფსოუსთან და სამხრეთ ოსეთში, როკის გვირაბთან მდებარე საბაჟო-გამშვები პუნქტების გამჭვირვალე ფუნქციონირება.

ქართულ-რუსულ მოლაპარაკებებში შუამავლის როლს შეეცარია ასრულებდა. ივლისში ამ ქვეყნის წარმომადგენელმა დიპლომატებმა მხარეებს საბაჟისო პრინციპები წარუდგინეს. მათ მხარეებს გამშვები პუნქტებიდან გამავალი და შემომავალი ტვირთების შესახებ ინფორმაციის გაცვლის თა-



ნამედროვე ელექტრონული სისტემის დანერგვა შესთავაზეს. სისტემის გამართულ მუშაობას ადგილზე წარმოდგენილი საერთაშორისო დამკვირვებლები უზრუნველყოფდნენ.

ქართული მხარე დათანხმდა. რუსეთმაც, პრინციპული თანხმობა განაცხადა. სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ მოსკოვი საერთაშორისო დამკვირვებლების დაშვების წინააღმდეგაა.

ოლესია ვართანიანი 33.24

"უხსენახიანი ოლიგარქი, სინამდვილეში, ახა ბიძინა ივანიშვილი, ახაზე მიხილ საჩაშვილი".

„როცა ვამბობთ სიტყვა „ოლიგარქს“, იგულისხმება ისეთი ტიპის ბიზნესმენი, რომელიც ჩართულია სახელისუფლებო ბიზნესში. ივანიშვილი ასეთ ბიზნესში არ ყოფილა. ოლიგარქები არიან მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი. ოლიგარქი არის ის, ვინც ფულს ძალაუფლებით შოულობს და ფულითვე განამტკიცებს ძალაუფლებას.

რუსეთში 90-იან წლებში მოხდა ისე, რომ ყველა მდიდარ ადამიანს ოლიგარქი უწოდეს. რალაც ეტაპზე ისინი მართლაც იყვნენ პლატონისეული ოლიგარქები, მათ შორის, ბორის ბერეზოვსკიც. ივანიშვილი ასეთი არ არის“.

მაღლა ჭკადუას ინტერვიუ ზაზა შათირიშვილთან 33.14

სახელმწიფოს მიერ ბაზოხიანი ოქი ბიზნესის ისტორია

რა ზიანი მიაყენა სახელმწიფომ მცირე მენარმეებს და როგორ ვერ შეძლო სასამართლო ხელისუფლებამ მათი შელახული უფლებებისა და ინტერესების დაცვა? ბალო ქერდიყოშვილი სახელმწიფომ 65 ათასი ლარით უკანონოდ დააჯარიმა. ნონა მარტიაშვილის კომპანია კი პარლამენტარ არჩილ გეგენავას „მეგა ფუდის“ ინტერესებს შეენირა.

სტუდია „მონიტორის“ უურნალისტური გამოძიება 33.28

უნიხალუი უჯიდები

საქართველოში ღეროვანი უჯრედების გამოყენების მცირე შესაძლებლობა და დიდი მოლოდინია.

დღეს მთელ მსოფლიოში ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების შენახვის ბუმია – მშობლები ახალდაბადებული ჩვილების ჭიპლარის სისხლს ინახავენ, რათა მომავალში შვილები სხვადასხვა დაავადებებისგან დააზღვიონ.

საქართველოში ღეროვანი უჯრედების საზოგადოებრივი ბანკი არ არსებობს. ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების შენახვა მხოლოდ ორ კერძო ბანკში – „ჯეოქორდში“ და ბიობანკ „მედულაში“ გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ შეიძლება.


 ეკა ჭითანავა
83.32

ფოსოქაჰოქაჰი

ხეხუხი (დახიხი სამოთხა)



ფოტო: მარიამ ანდრონიკაშვილი

 მარიამ ამურველაშვილის ფოტორეპორტაჟი
83.44-51

ამომცემელი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ულენიტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

სხვა გამოცემა:

„ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

აქცეზა:

სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02. გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ხუთშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.




ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ასევე ნომაჰი:



- 04 მოკლე
- 06 რიცხვები, ციტატები
- 08 **ორი აზრი**

მიზანშეწონილია თუ არა 2012 წელს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის 30 მილიონით გაზრდა?

გიორგი თავდგირიძე VS ლევან იზორია
კომენტარი

- 10 რა გავლენა ექნება ივანიშვილის გამოჩენას ქართველ ამომრჩეველზე
- 12 წესები, ფული და მიუკერძოებლობა

მარკ მალენი
მთავარი თემა

- 18 ივანიშვილი უპალატუხოდ
- 26 დაგვიანებული მკურნალობის მსხვერპლი

რეპორტაჟი

- 38 ჯავახეთის დუხაბორია
- 52 **ლიბერალის ვებგვერდიდან**
- 52 ლიბერალიზმი და ფსევდოლიბერალიზმი

- 54 დიას, გურამი მქვია!
- ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**

- 56 ნიფნიფი, ნუფნუფი, ნაფნაფი.

ციხია ჯაფის ბაჩაშვილი



ლიბიის ყოფილი ლიდერის, მუამარ კადაფის 42-წლიანი მმართველობა დასრულდა. კადაფი 21 ოქტომბერს ლიბიაში მშობლიურ ქალაქ სირტეში მოკლეს. სავარაუდოდ, ის მიყენებულ ქრილობებისგან გარდაიცვალა. კადაფის მომხრეები სირტეს იცავდნენ, როდესაც მათ თავს დროებითი მთავრობის სამხედრო ძალები დაესხნენ და ქალაქიდან განდევნეს. სირტე ბოლო ქალაქი იყო, სადაც ყოფილი ლიდერის მომხრეები იყვნენ გამაგრებული.

შეტევასა დაიღუპა კადაფის ვაჟი მუტასი კადაფი და უშიშროების სამსახურის უფროსი აბდელა ას სენუსი. დაიჭრა კადაფის კიდევ ერთი ვაჟი საიფ ალ-ისლამი, რომელმაც გაქცევა მოახერხა და პირობა დადო, რომ მამის მკვლელობის გამო შურს იძიებს. სხვადასხვა მედიასაშუალებით გავრცელდა რამდენიმე ვიდეომასალა. ერთ-ერთ მათგანზე დასისხლიანებული და ჯერ კიდევ ცოცხალი მუამარ კადაფი მოქალაქეებს ჰყავდათ შეპყრობილი. მეორე ვიდეომასალაში კი – სავარაუდოდ, უკვე გარდაცვლილ კადაფისთან ფოტოებს იღებდნენ. კადაფის გარდაცვალების ცნობას ლიბიელები სიხარულით შეხვდნენ. 23 ოქტომბერს ლიბია განთავისუფლებულად გამოცხადდა. თანამდებობა უკვე დატოვა ქვეყნის დროებითი მთავრობის ხელმძღვანელმა მაჰმუდ ჯიბრალმა. მისი განცხადებით, ქვეყანაში რვა თვის განმავლობაში ლიბიის ნაციონალური საბჭოს არჩევნები ჩატარდება, მანამდე კი ახალი გარდამავალი მთავრობა ჩამოყალიბდება და ახალი კონსტიტუციის პროექტს შეიმუშავებს.

ჯიბრალის ნაცვლად დროებით მთავრობას მუსტაფა აბდულ-ჯალილი ხელმძღვანელობს. ჯალილიმ კადაფის გარდაცვალების ზუსტი მიზეზის გამოსაძიებლად გამოძიების დაწყების ბრძანება გასცა.

კადაფის გარდაცვალებას მსოფლიო ლიდერებიც გამოეხმაურნენ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ „ლიბიელი ხალხის ცხოვრების ხანგრძლივი და მტკივნეული ეტაპი“ დასრულდა.

„ლიბიელებს ახლა აქვთ შესაძლებლობა განსაზღვრონ თავიანთი ბედი ახალ და დემოკრატიულ ლიბიაში. თქვენ მოიგეთ თქვენი რევოლუცია. ახლა კი ჩვენ ვიქნებით თქვენი პარტნიორი ღირსეული, თავისუფალი და შესაძლებლობებით სავსე მომავლის გზაზე“, – განაცხადა ობამამ.

მინისძვრა თუჩათში



23 ოქტომბერს თურქეთის ქალაქ ვანში 7,2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრამ ქალაქში 2 ათას 600 შენობა დააზიანა. დაინგრა სასკოლო საერთო საცხოვრებელი. ბოლო მონაცემებით, დაიღუპა 400-მდე ადამიანი. ასობით მოქალაქე ნანგრევებშია მოყოლილი და მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები. თურქეთში მომხდარი მიწისძვრისას საქართველოს ორი მოქალაქე ქეთევან გულაშვილი და ლია ბორაშვილი დაშავდნენ. ორივე მათგანი 25 ოქტომბერს ჩამოიყვანეს საქართველოში, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საინფორმაციო

სააგენტო „ინტერპრესნიუსს“ ეს ინფორმაცია ტრაბზონში საქართველოს გენერალურმა კონსულმა ავთანდილ მიქაძემ მიანოდა. მისი ინფორმაციით, თურქეთში იმყოფება კიდევ ერთი დაშავებული ქართველი მაკა პაპასქირი, რომელიც მაშველებმა ნანგრევებიდან ამოიყვანეს.


მინისძვრის შედეგად დაზიანდა ვანის აეროპორტი. ადგილობრივი „ნიული ჯვრის“ ოფისის წარმომადგენლის განცხადებით, აეროპორტმა ვერ მიიღო თვითმფრინავები, რომლებშიც ჰუმანიტარული ტვირთი და მაშველები იმყოფებოდნენ. თვითმფრინავები ახლოს მდებარე ქალაქ ერზურუმის აეროპორტში სხდებიან.

მინისძვრის ბიძგები იგრძნობოდა საქართველოში, ირანსა და სომხეთშიც. თუმცა ამ ქვეყნებში მნიშვნელოვანი ზარალი არ ყოფილა.

ახსიაზი საბაქდნეთში და ეკონომიკის 8 მილიონიანი ტანხა

საბერძნეთის კანონმდებლებმა მიიღეს კანონპროექტი, რომელიც ქვეყანაში ხარჯების შემცირებას გულისხმობს. სამთავრობო და სოციალურ სექტორში დაახლოებით 30 ათასი ადამიანი დაკარგავს სამსახურს, შემცირდება ხელფასები და პენსიები და მოიმატებს გადასახადები.

მომჭირნეობის კანონპროექტი ხელისუფლებამ საბერძნეთის კრიზისიდან გამოსაყვანად მიიღო. ამ ნაბიჯის სანაცვლოდ ევროზონის ფინანსთა მინისტრებმა საბერძნეთის დასახმარებელი კრედიტის მორიგი ტრანში – რვა მილიარდი ევრო დაამტკიცეს. მას შემდეგ, რაც ამ ტრანშს საერთაშორისო საეკონომიკო ფონდიც დაადასტურებს, ათენი ნოემბრის შუა რიცხვებში მიიღებს ფულს, რომელიც დეფოლტის თავიდან ასაცილებლად სჭირდება. კანონპროექტს ბერძენი მოქალაქეები ეწინააღმდეგებიან. ათენში საპროტესტო აქციები 19 ნოემბრიდან ყოველდღიურად იმართება, ქუჩებში ასე ათასამდე მოქალაქე გამოდის.



საყოველთაო გაფიცვის ფარგლებში გადაიდო ავიარების, არ მუშაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, დახურულია საავადმყოფოები, სკოლები და მაღაზიები. პროფკავშირები მთავრობის ეკონომიკურ პაკეტს აპროტესტებენ.

ათენის ქუჩებში პოლიციის დამატებითი ძალებია მობილიზებული, დაბლოკილია პარლამენტისკენ მიმავალი გზა. პოლიციამ 20 ოქტომბერს ცრემლმდენი გაზი გამოიყენა ახალგაზრდების წინააღმდეგ, რომლებიც მრავალათასიანი საპროტესტო სვლის დროს ააღებად ყუმბარებს ისროდნენ. აქციის მონაწილეები მთავრობისა და კანონპროექტის მომხრე ყველა პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ ილაშქრებენ.

ძალადობრივი გამოსვლების შემდეგ დაიღუპა ერთი და დაშავდა 74 მოქალაქე. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ქვეყანაში არსებული ვითარება საომარს შეადარა.

უხელმძღვანელებს.


ახალ ეკონომიკურ მთავრობას ევროზონის ქვეყნებში რეგულარული სამიტების ორგანიზება დაევალება. ყოველ ორ წელიწადნახევარში ახალ სპიკერს აირჩევენ. ამ ფუნქციას პირველ ეტაპზე ევროპის საბჭოს პრეზიდენტი შეითავსებს. ახალი ინსტიტუტის ამოცანა იქნება, ევროზონის წინაშე არსებული ფინანსური საკითხები ოპერატიულად გადაწყვიტოს.

ეკონომიკური მთავრობის ჩამოყალიბების იდეა საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის ეკუთვნის. ამგვარი ორგანოს ჩამოყალიბების ინიციატივით ის ჯერ კიდევ 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის პერიოდში გამოვიდა.

ახალი ეკონომიკური მთავრობის ფორმირების შესახებ ოფიციალურ განცხადებას ჰერმან ვან რომპეი და ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზო უახლოეს ხანში გააკეთებენ.

საავადმყოფოებს პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადის რეჟიმის მოწინააღმდეგეთა „რეპრესიის ინსტრუმენტად“ ასახელებს. ორგანიზაციაში აღნიშნავენ, რომ მოქალაქეები თავს უფრო უსაფრთხოდ შინ მკურნალობისას გრძნობენ. ისინი საავადმყოფოებში დანოლაზე ხშირად უარს ამბობენ.

ანგარიშის მიხედვით, დაჭრილ პაციენტებს სულ მცირე ოთხ სახელმწიფო საავადმყოფოში აწამებენ და დამამცირებლად ეპყრობიან. უფლებადამცველი ორგანიზაცია პასუხისმგებლობას საავადმყოფოს პერსონალსაც აკისრებს.

„სირიის ხელისუფლებამ, უშიშროების ძალებს თავისუფლად მოქმედების საშუალება მისცა ჰოსპიტლებში და ბევრ შემთხვევაში ჰოსპიტლების თანამშრომლები იმ ადამიანების წამებასა და წვალებაში მონაწილეობენ, რომელთა მკურნალობაც ევალებათ“, – წერია ანგარიშში. 

უკრაინის ეკონომიკური მთავრობა

ევროკავშირის ლიდერებმა „ევროპის ეკონომიკური მთავრობის“ შექმნის გადაწყვეტილება მიიღეს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ეკონომიკურ მთავრობას ევროპის საბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი

„სიჩიში უკრაინის ეკონომიკური მთავრობის“

საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია Amnesty International-ი სირიის სახელმწიფო ჰოსპიტლებს პაციენტების წამებაში ადანაშაულებს. Amnesty International-ის ანგარიშის თანახმად, სირიის ხელმძღვანელობა



8 – 7 – ამ ანგარიშით დაამარცხა ახალმა ზელანდიამ საფრანგეთის ეროვნული ნაკრები და რაგბის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

3 მილიონ უცხოელს გააძევეს საუდის არაბეთის ხელისუფლება ქვეყანაში უმუშევრობის დონის ზრდის გამო.

5 მილიონ ევროს გამოყოფს ევროკავშირი „ადმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრი-ქვეყნებისთვის.

675 540 ქართველი მომხმარებელი დარეგისტრირებული სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“.

7 მილიარდს მიაღწია მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობამ.

7 მილიარდ 623 მილიონი ლარით განისაზღვრება 2012 წელს საქართველოს ბიუჯეტი.

115 მილიონ 585 ათასი ლარი იქნება 2012 წელს აჭარის ბიუჯეტი.

400 -მდე ადამიანი დაიღუპა ტაილანდში წყალდიდობის შედეგად.

8 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კომპანია „იუკოსის“ ყოფილი ხელმძღვანელი მიხაილ ხოდორკოვსკი ნოვოსიბირსკში დააპატიმრეს.

„გვსურს საქართველოში დემოკრატიული რეფორმები გამჭვირვალედ წარიმართოს. მოვუწოდებთ საქართველოს, განახორციელოს საარჩევნო კოდექსის და პოლიტიკური გარემოს რეფორმა, რათა უზრუნველყოფილი იქნას მომავალი ორი წლის განმავლობაში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, რისი შედეგიც იქნება 2013 წელს ხელისუფლების სრულად დემოკრატიული გადაცემა“.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე უილიამ ბერნსი



„[ამერიკის შეერთებული შტატები] აქტიურად უჭერს მხარს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განწევრიანებას, რადგან რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის განწევრიანება ამერიკული ექსპორტისთვის ახალ ბაზრებს შექმნის და გაზრდის შესაძლებლობებს ამერიკული კომპანიების, ფერმერების, მესაქონლეების, ინვესტორებისა და მუშახელისთვის“.

ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოსთან არსებული რუსეთისა და ევრაზიის განყოფილების ხელმძღვანელი მაიკლ მაკფოლი



„საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს არავინ არასდროს არ დაპატიჟებს რუსეთში. ეს არის ადამიანი, რომელიც ამოღებულია ჩვენი პარტნიორობის ჩამონათვალიდან, ჩვენი საურთიერთობო სიიდან“.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი



„ადამიანი, რომელსაც ერთხელ უკვე მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა და ამის შემდეგ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო, რითაც კარგად იცოდა, რომ დაკარგავდა საქართველოს მოქალაქეობას, ხელმორედ უფლება აღარ უნდა მიეცეს. მე რომ პრეზიდენტი ვიყო, მას [ბიძინა ივანიშვილის] საქართველოს მოქალაქეობას აღარ მივცემდი“.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი აკაკი მინაშვილი



„სიტყვა „რევოლუციის“ გაგონება არ მინდა და არც სიტყვა „ქუჩის“ სხენება. ძალიან არ მინდა, რომ ეს სიტყვა გამოვიყენო. თუ ამ სიტყვის გამოყენება მომიხდა, ჩავთვლი, რომ ჩემი მოსვლა პოლიტიკაში მცდარი იყო. მაგრამ მე მგონია, რომ დროულად და სწორად მოვედი და ხელისუფლების შეცვლას ყოველგვარი რევოლუციის გარეშე მოვახერხებთ. თუ სააკაშვილი არჩევნების გაყალბებას სხვადასხვა მექანიზმით მოახერხებს, შევძლებთ მისი არალეგიტიმურობის დამტკიცებას“.

ბიძინა ივანიშვილი





პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

Georgia

ანაბრების სიჩქარე!

+1,5%

USD / EUR

ვინაიდან ეს მოქმედებს
ანაბრების

სიჩქარეზე, რომელიც უნდა იყოს



ფოტო: თბილისი პარკინგის მფლობელი

მიზანშეწონილია თუ ახალი სამინისტროს ბიუჯეტის

კი

თავდაცვის ბიუჯეტი ცოტა უცნაური რამეა. ზრდა, ან კლება, თავისთავად, არაფრის მაჩვენებელი არ არის, თუ მას არ ახლავს კონცეპტუალური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მიმდინარე წლის განმავლობაში როგორ უნდა დიახარჯოს ესა თუ ის თანხა. ბიუჯეტზე მსჯელობისას კონკრეტულ ციფრებს რომ შევხვით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არის მთლიანი შიდა პროდუქტისა და ბიუჯეტის მოცულობის პროპორცია. საქართველოსნაირ ქვეყნებში, რომლებსაც ჩვენი მსგავსი საგარეო საფრთხეები აქვთ და სადაც აქტუალური სამხედრო მოქმედების განახლების რისკი მაღალია, როგორც წესი, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში თავდაცვის ბიუჯეტი 4 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. არის ქვეყნები, რომლებსაც ეს მონაცემი აქვთ ერთი პროცენტის ფარგლებში. თუმცა საუდის არაბეთს სამხედრო ბიუჯეტი

გიორგი თავდგირიძე
თავდაცვის პოლიკონიკი



10 პროცენტზე კი აქვს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში. როდესაც საუბარია, თუ რა არის საჭირო იმისთვის, რომ საქართველოს უსაფრთხოება იყოს უზრუნველყოფილი, ანუ ჯარი იყოს შესაბამის საბრძოლო მზადყოფნაში და პლუს განვითარების რეჟიმში, ყოველთვის ვამბობ, რომ საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი უნდა იყოს 4 პროცენტის ფარგლებში და დამატებით, კიდევ 3 პროცენტი ცალკეული პროექტის დასაფინანსებლად. ანუ საერთო ჯამში, 7 პროცენტის მოცულობით. სავარაუდოდ, ის ბიუჯეტი,

რომელიც შარშან ჰქონდა სამინისტროს, დიდწილად ჩამორჩება ამ პარამეტრებს. ნატოს ქვეყნებში სტანდარტი მთლიანი შიდა პროდუქტის ფარგლებში მაქსიმუმ 2 პროცენტია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ის ქვეყნებია, რომლებსაც საფრთხეებთან გამკლავება არ უწევთ. მათთვის მთავარი პრობლემა არის არა ჯარის ხელახლა შექმნა, არამედ არსებული ჯარის მოდერნიზება. ჩვენ განსხვავებული გამოწვევები გვაქვს: ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოთ ქვეყნის უსაფრთხოება და სამხედროების მომზადება, მეორე მხრივ კი შეიარაღებული ძალების მშენებლობა ყოველ წელს, ფაქტობრივად, ნულიდან გვიწევს. თითქმის არასდროს ვიცით, რაში იხარჯება ფული. ახლანდელი ბიუჯეტი, რომელიც არის 600 მილიონზე მეტი, რა თქმა უნდა საკმარისია, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ არსებულის შენარჩუნება შევძლოთ. ბიუჯეტის 30 მილიონით ზრდა ჩვენნაირი ქვეყნისთვის არაფერია. ■



და 2012 წელს თავდასჯის 30 მილიონით ბაზხდა?

არა

საერთოდ, ბიუჯეტის ყოველგვარი შეფასება შედარებითია, განსაკუთრებით იმის ფონზე, როდესაც ქვეყანაში ბალები ფასიანი გახდა, სოციალური დახმარებების მიმართულებით არაფერი გაკეთებულა, არ გაზრდილა მნიშვნელოვნად და არ გაუმჯობესებულა მოსახლეობის ყოფა, როდესაც მილიონ 800 ათასი უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქე გვყავს. და, ამ დროს სწორედ თავდაცვის სტრუქტურა 30 მილიონით და შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი 18 მილიონით იზრდება. ეს ფაქტი, სულ მცირე, დამაფიქრებელია და კრიტიკას იმსახურებს.

ჩვენ ყველანი ვხედავთ, რომ მთავრობა ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს, არათანმიმდევრულია. პრეზიდენტი ამბობდა, აგრარული მთავრობა უნდა გავხდეთ და სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი 10 მილიონით შეამცირა.

ლევან იზორია

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი



საკვირველია, პრიორიტეტად სახელდება ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, დასაქმება და ამის პარალელურად იზრდება თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი.

ეს სერიოზული საბაბია ვიფიქრო, რომ ბიუჯეტის დაგეგმვა ასეთი პოლიტიკური სისტემისთვის, როგორც საქართველოა, სადაც ავტორიტარული მართვის სტილი მყარდება, უფრო პოლიტიკური, საარჩევნო კონიუნქტურით არის განპირობებული. ამ პოლიტიკური სისტემის საფუძველი სწორედ


ძალოვანი უწყებებია და ხშირად მათი ზემოქმედებით გადაწყვეტილა საარჩევნო პროცესების შედეგიანობა ხელისუფლების სასარგებლოდ. პრიორიტეტი სწორედ ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერებაა და არა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, ან უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთოდ არ არსებობს სტრატეგია, რომელიც ქვეყნის პრიორიტეტებზე და განვითარებაზე იქნება დამყარებული. მთავრობის ერთადერთი სტრატეგიაა ხელისუფლების, სკამის შენარჩუნების სტრატეგია ძალოვანი უწყებების დაფინანსებების ზრდის ხარჯზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტი იზრდება, ჩვენ ვერ ვიღებთ დასაბუთებას, რის ხარჯზე. არ ვიცით, რა შეიცვლება ამ 30 მილიონით ჩვენი თავდაცვისთვის მაშინ, როდესაც არავითარი კომპენსაცია არ არის გათვალისწინებული ჰიბრიდული სიმინდის გამო დაზარალებული გლეხებისთვის. ■

ჩა ბავჯანა ექნაბა ივანიშვილის ბამოჩანას ქახთვად ამოთხრეველ

გიორგი ცხადაია
ილიას უნივერსიტეტის
პოლიტიკური
მეცნიერების
მაგისტრანტი



თუ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მთავარი დაპირისპირება „ნაციონალურ მოძრაობასა“ და ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილ ბლოკს შორის მოხდება, მაშინ ქართველი ელექტორატის ამჟამინდელი პრიორიტეტები შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს.

ქართველ ამომრჩეველზე ივანიშვილის გავლენაზე, პირველ რიგში, ქართულ პრესაში გამოქვეყნებულმა მასალებმა დამაფიქრა. ერთ-ერთი პოპულარული ოპოზიციური გამოცემის რედაქცია ივანიშვილის ფავორიტ „რესპუბლიკელებს“ მოუწოდებდა, რომ „გამოსულიყვნენ სააკაშვილის ჩრდილიდან“ და „ჩამდგარიყვნენ მამულის სამსახურში“. „რესპუბლიკურმა პარტიამ“ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, ოფიციალური მონაცემებით, ხმების 3.78 % დააგროვა. მათზე მეტი ხმები ერგოთ „ქრისტიან-დემოკრატებს“ და „ლეიბორისტებს“.

ხმების ასეთი განაწილება ქართველი ოპოზიციური ამომრჩეველის გარკვეულ პრეფერენციებზე მიგვითითებს. საფუძვლიანი სოციოლოგიური კვლევები ამ თემაზე იშვიათად ტარდება და სხვადასხვა პარტიის ელექტორალური ბაზები ზედაპირულად არის შესწავლილი, რაც, რა თქმა უნდა, სრულიად ბუნებრივია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის ისტორიაში კონკურენტული არჩევნები, ფაქტობრივად, არ ყოფილა. მეორე ფაქტორი კი, რომელიც არაერთხელ მისხენებია, ის არის, რომ პოლიტიკური პლურალიზმის ნაკლებობის პირობებში, პოლიტიკური იდეოლოგიები და ამომრჩეველების პოლიტიკური ორიენტაციები ბუნდოვნად არის ჩამოყალიბებული.

ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც ვეცდები, რომ ამომრჩეველების დღე-

ვანდელი, ზოგადი სურათი დაეხატო და შემდეგ ივანიშვილის გამოჩენით გამოწვეულ შესაძლო ცვლილებებზე ვისაუბრო.

ხელისუფლების სტაბილური მხარდამჭერების რიცხვი, ჩემი წარმოდგენით, მცირეა, მაგრამ მათ, ხშირ შემთხვევაში, საჯარო დისკურსზე გადამწყვეტი გავლენა აქვთ. მათი საჯარო პოზიციები ამყარებს ხელისუფლების მოდერნიზაციისა და ევროპეიზაციის აგენტად წარმოჩენას. ამ ნარატივის მიხედვით, საქართველო ევროპული ქვეყანაა, რომელიც ადრე თუ გვიან ნატოს ან/და ევროკავშირის წევრი უნდა გახდეს. ხელისუფლების მხარდამჭერების ამ გავლენიან ჯგუფს, პირობითად, ორ ნაწილად დავყოფი: ნაციონალისტები და ლიბერტარიანელები.

ორივე ზემოხსენებული ჯგუფი იზიარებს ერთ საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას, რომელიც მკაცრად პროდასავლურია და რუსეთთან ყველანაირ ურთიერთობას გამორიცხავს. მიიჩნევა, რომ რუსეთი საშიში ქვეყანაა, რომლის ნებისმიერი ტიპის გავლენა ქვეყანაში ეროვნულ სუვერენიტეტს საფრთხის ქვეშ აყენებს. მეორე საერთო ნიშანი, რომელსაც ორივე ჯგუფი იზიარებს, ის არის, რომ ქვეყანას დაუყოვნებლივ სჭირდება სწრაფი და დრამატული რეფორმები (ეს რეფორმები, უმთავრესად, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას ეხება), რომელიც, მართალია, მოსახლეობის

ნაწილის უკმაყოფილებას გამოიწვევს, მაგრამ ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იქნება.

ამ ორ იდეოლოგიურ ფრთას შორის ხშირად მკვეთრი გამყოფი ხაზის გავლება შეუძლებელია. ანტისაბჭოთა ნაციონალისტური ნარატივი თავის თავში მოიცავს ლიბერტარიანულ ძირებს. ზოგჯერ დაურეგულირებელი საბაზრო ეკონომიკისადმი რწმენა ლამის ნაციონალური უსაფრთხოების საკითხის რანგში აყვანილი.

ზემოთ თქმულის მიუხედავად, ლიბერტარიანელები მაინც შეგვიძლია ცალკე ჯგუფად გამოვყოთ. ეს ხელისუფლების მხარდამჭერების ის ჯგუფია, რომლისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოლიტიკა და „ბაზრის თავისუფლებაა“. ეს ჯგუფი ხშირად უკმაყოფილოა ხელისუფლების, მათი აზრით, „პოპულისტური“ პოლიტიკით და ამის ნაცვლად, დაურეგულირებელი საბაზრო ეკონომიკის ლობირებას ცდილობს. „ლიბერტარიანელების“ ფრთა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გარკვეულ ფინანსურ და ინტელექტუალურ რესურსებს ფლობს.

ხელისუფლების ამომრჩეველთა ორივე გავლენიანი ჯგუფის სოციალური და ეკონომიკური ინტერესები მჭიდროდ არის მიბმული „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“, ან ზოგიერთ შემთხვევაში, დასავლურ დონორ ორგანიზაციებთან და გრანტებთან.

ოპოზიციის გავლენიან მხარდამჭერებს რაც შეეხება, მათი ნარატივი გამსჭვალულია იდეით, რომ საქართველო გამორჩეული ქვეყანაა, რომლის ადგილი არც ევროპაშია და არც აზიაში. ისინი თვლიან, რომ ქვეყნის მოდერნიზაცია ტრადიციულ ინსტიტუტებსა და ელიტებს საფრთხეს უქმნის. ამ ჯგუფისთვის მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს „ქართული იდენტობა“, რაზეც ყველაზე ნათლად ქართული ოპოზიციური პარტიებისა და მოძრაობების დასახელებები მიუთითებს: „ქართული პარტია“, „ეროვნული ფორუმი“, „ქართული აკადემია“ და ა.შ.

„რესპუბლიკელების“ მიმართ უნდობლობა სწორედ იმით აიხსნება, რომ ეს პარტია გავლენიანი ოპოზიციური ჯგუფების ნარატივში არ ჯდება. „რესპუბლიკელები“ ლიბერალურ-ცენტრისტულ პოზიციას იკავებენ და წესით, მათი ამომრჩეველი ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობაზე პრეტენზიის მქონე საშუალო ფენა უნდა იყოს. ასეთი ამომრჩეველი, ჯერჯერობით, ძალზე მცირეა და აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ ხსენებულ ორ მთავარ ჯგუფს მესამე კონკურენტი ჯერ კიდევ არ ჰყავს.

გავლენიანი ოპოზიციური ამომრჩევლის სოციალური და ეკონომიკური ინტერესები დაკავშირებულია ადგილობრივ ბიზნესებთან, ცოდნის წარმოების ტრადიციულ ფორმებთან და ინსტიტუციებთან და რელიგიურ ჯგუფებთან.

რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ამომრჩევლების ზემოთ აღწერილ ზოგად სტრუქტურაზე?

პირველ რიგში, საინტერესოა ის, თუ რა ადგილს იკავებს ივანიშვილი ამომრჩევლების დღევანდელ დიაპაზონზე. მას მოსწონს ოპოზიციური ამომრჩევლის მიერ იგნორირებული „რესპუბლიკელები“ და სულ უფრო და უფრო ნაკლებად პოპულარული ირაკლი ალასანია. ამავე დროს, იგი მსუბუქად აპელირებს ქართულ ტრადიციულ იდენტობაზე და უფროსი თაობის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ, ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს.

■ ივანიშვილს მოსწონს ოპოზიციური ამომრჩევლის მიერ იგნორირებული „რესპუბლიკელები“ და სულ უფრო და უფრო ნაკლებად პოპულარული ირაკლი ალასანია. ამავე დროს, იგი მსუბუქად აპელირებს ქართულ ტრადიციულ იდენტობაზე და უფროსი თაობის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ, ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს.



ფოტო: თინათინ ბაქრაძე/საქმედი

ივანიშვილი, ერთი მხრივ, ტრადიციული იდენტობისა და უფროსი თაობის სიმბოლური ძალაუფლების გამომხატველია, მეორე მხრივ, არატრადიციული ლიბერალური და სეკულარული ცოდნისა და ღირებულებების მხარდამჭერი.

ივანიშვილის გამოჩენის შედეგად, ოპოზიციური ამომრჩევლის ნაწილის პრეფერენციები, ჩემი მოსაზრებით, უფრო მეტად ზომიერი გახდება. მართალია, შენარჩუნდება მთავარი აქცენტი ქართულ იდენტობაზე და რელიგიურ რიტორიკაზე, მაგრამ მთლიანი რიტორიკა მაინც უფრო მეტად დაბალანსებული და ნაკლებად რადიკალური იქნება.

რაც შეეხება ხელისუფლების გავლენიან მხარდამჭერებს, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ივანიშვილის გამოჩენამ მათ იდეოლოგიაზე დრამატული გავლენა მოახდინოს – მათი უმრავლესობა ისევ საკუთარი პოზიციის ერთგული დარჩება. ამავე დროს, ისინი ნელ-ნელა შეეგუებიან იმ იდეას, რომ ტრადიციული რიტორიკა ყოველთვის ობსკურანტიზმს არ გულისხმობს და მასში პროფესიონალური (ივანიშვილსაც და სააკაშვილსაც განსაკუთრებით მოსწონთ „კარგი მენეჯერების“ იდეა) და სეკულარული ელემენტებიც შეიძლება არსებობდეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია მხოლოდ ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ოპოზიციურ და ხელისუფლების მხარდამჭერ ამომრჩევლებს შორის იდეოლოგიური გამყოფი ხაზები შენარჩუნდება (და როგორც დასაწყისში აღვნიშნე, შესაძლოა უფრო მეტად გამოკვეთილი და სტაბილურიც კი გახდეს), მაგრამ ორივე მხარის მიერ ერთმანეთის პოზიციების აღქმა უფრო მეტად ტოლერანტული გახდება.

რა თქმა უნდა, არსებობს იმის საფრთხე, რომ განსხვავებები და რადიკალიზმი უფრო მეტად გამწვავდეს და ქვეყანაში ქაოსი წარმოიქმნას, მაგრამ იმედია, ორივე მხარეს ეყოფა იმის გონიერება, რომ სიტუაციაზე კონტროლის სადავეები ხელიდან არ გაუშვას და ყველაფერი სამართლებრივ ჩარჩოებში განახორციელოს. **■**

ნახები, ფუნი და მიუხეხილობა

მარკ მალენი



ფულის ფაქტორი არჩევნებში ყოველთვის მნიშვნელოვანია. ბიძინა ივანიშვილის გამორჩენის შემდეგ საარჩევნო დაფინანსებაზე ლიმიტის დაწესების იდეა შეიძლება მყისიერად აქტუალური გახდეს.

უამრავი ჭორი დადის იმაზე, თუ როგორ სთხოვენ ბიზნესმენებს ფულის საარჩევნო კამპანიისთვის შეწირვას; საშუალო სტატისტიკური მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს საშუალო სტატისტიკურ მოქალაქეზე ფინანსურად ბევრად წარმატებულია. ამის მიუხედავად, ბოლო არჩევნების შემდეგ, არ გამართულა დისკუსია, თუ რა უნდა მოეუხერხოთ აღნიშნულ ტენდენციას. თუმცა, რაც ივანიშვილის მილიარდების აჩრდილი გამოჩნდა, უცბად ყველაფერი შეიცვალა – მოულოდნელად გაჩნდა დიდი ინტერესი, რომ ფულმა მომავალ არჩევნებზე გადამწყვეტი გავლენა არ იქონიოს. ევროპის საბჭოს ანგარიშით, ამ ტენდენციამ შეიძლება პარტიულ დაფინანსებაზე ლიმიტის დაწესების იდეა კვლავ აქტუალური გახადოს და ახალგაჩინო კრიტიკულ სიტუაციას მოუსადაგოს.


დისკუსია არც სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე იმართება. მაგალითად, ყველაზე ცხადი პრობლემა არის ის, რომ მაჟორიტარი დეპუტატი შეიძლება აირჩეს საარჩევნო უბანში დაგროვებული ხმების მხოლოდ 30 %-ით. შედეგად, ვიღებთ ისეთ სიტუაციას, რომლის მიხედვითაც, თუ მმართველი პარტია ახერხებს სხვადასხვა ოპოზიციურ კანდიდატებს შორის ხმების გაფანტვას, მოგებას შეძლებს მაშინაც კი, თუ მომხრეებზე ორჯერ მეტი მოწინააღმდეგე ეყოლება. ასევე, არ საუბრობენ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე, რაც თითქოს გულუბრყვილო და ნეიტრალური თემაა, მაგრამ სინამდვილეში ისე გამოდის,

რომ მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიას გადასახადის გადამხდელები აფინანსებენ. გასულ არჩევნებზე ამ ფაქტორმა დიდი როლი შეასრულა.

ეს ყველაფერი ეჭვის ქვეშ აყენებს მიუკერძოებლობას. მიუკერძოებლობა მნიშვნელოვანი კონცეფციაა, რომელიც ჩვენთან საჭიროზე ნაკლებად ფასდება. მთავარი იდეა ისაა, რომ კანონი ყველას თანაბრად შეეფარდებოდეს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ახლოს არის მოცემული პიროვნება მმართველ ძალასთან, ან ოპოზიციასთან.

პრობლემა ის არის, რომ კანონებს მხოლოდ ხელისუფლება იყენებს თავის სასარგებლოდ. ცოტა თუ იტყვის იმას, რომ არსებობს რაიმე არსებითი განსხვავება მთავრობის იმ წევრებს შორის, რომლებიც პოლიტიკურად არიან მმართველი პარტიის წინაშე ანგარიშვალდებული და მათ შორის, ვისაც შედარებით მეტი დამოუკიდებლობა მოეთხოვებათ. შესაძლოა, რაღაც მცირე განსხვავება არსებობდეს, მაგრამ ძალიან უმნიშვნელო. ორივე ჯგუფში ერთი და იგივე ხალხი მოძრაობს. რამდენიმე აღსანიშნავი და საპატიო გამონაკლისის გარდა, არ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება პოლიტიკური და ნახევრად დამოუკიდებელი პოზიციებიდან გაკეთებულ განცხადებებს შორის.

კიდევ ერთი საკითხია ის, თუ რამდენად მკაცრად სრულდება კანონები. ახლანდელი ხელისუფლება მოქალაქეობის შესახებ კანონს თავის ნებაზე იყენებს. მე მათ სრულიად ვეთანხმები



იმში, რომ ზედმეტი სიმკაცრე მოქალაქეობის კანონებში უაზრო და საშიშიც კი არის... მაგრამ როგორც კი მილიარდული პოლიტიკაში ჩარევის ინტერესს იჩენს, კანონები მაშინვე მკაცრდება. ფულის გათეთრების ბრალდების ასე უცბად წამოყენებაც შეუმჩნევლად არ ჩაივლის. როდესაც საქართველოს ასეთ ამბებზე აკრიტიკებენ ხოლმე, მმართველი ძალა ამბობს, რომ ისინი კანონის მიხედვით მოქმედებენ. ეს შეიძლება ასეც იყოს, ან არა. უდავოა, რომ ისინი კანონებს შერჩევით იცავენ, რადგან ბევრი იციან ისეთი შემთხვევა, როდესაც კანონები ასე

მკაცრად არ ამოქმედებულა.

მიკერძოებულობის ბრალდება საქართველოს საერთაშორისო და შიდა შეფასებებისთვის ცენტრალური საკითხია. არცერთი კეთილსინდისიერი ადამიანი არ უარყოფს იმ მიღწევებს, რაც საქართველოს 2003 წლის შემდეგ აქვს. ამავე დროს, ბევრი ფიქრობს, რომ კანონები თანაბრად უნდა მიემართებოდეს ხელისუფლების ნდობის ჯგუფს მიღმა და შიგნით მყოფი ადამიანებისკენ.

კონსტიტუციური უმრავლესობის ერთ-ერთი ყველაზე პოტენციურად საშიში პრობლემა ის არის, რომ მმართველ პარ-

ტიას აქვს სრული ბატონობა კანონმდებლობით პროცესზე. ისინი საკუთარ თავს ეუბნებიან, რომ მათი სისტემა ჰგავს მსოფლიოში არსებულ იმ სისტემებს, რომლებიც სამართლიანად მიიჩნევა... თუმცა, რალაც მიზეზით, ეს სისტემა არის მიკერძოებული. არის თუ არა დადებითი ნაბიჯი ფულის გავლენის შეზღუდვა პოლიტიკაში? რა თქმა უნდა, არის. მაგრამ რატომ ხდება ეს ასე სწრაფად, ამდენი წლის შემდეგ? სისტემა, რომელიც ერთი ადამიანის წინააღმდეგ ამდენ კანონს ასე სწრაფად და სრულყოფილად ამუშავებს, ყურადღებით უნდა შევაფასოთ. 



ფოტო: დავით მამუკაშვილი / REUTERS

"უქსაუნსხიხაი ოციბაიჩი, სინამდვილაში, ახა ბიძინა ივანიშვილი, ახამდე მიხაიცი სანახაშვილია"

ინტერვიუ ფილოსოფოს
ზაზა შათირიშვილთან



ფოტო: ლევან სარგაძე

პლატონი ძალაუფლების სამ ძირითად მოდელს: ოლიგარქიას, დემოკრატია და ტირანიას გამოყოფს. ოლიგარქია დემოკრატიაში გადადის, დემოკრატია – ტირანიაში, ტირანია – ოლიგარქიაში. მოდელები „წრეზე ბრუნავენ“. არაერთხელ აღგინიშნავთ, რომ ახლა საქართველოში ოლიგარქიაა. რა პროცესების დაწყების საფუძველი შეიძლება გახდეს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ამბიციები?

უფრო ზუსტები რომ ვიყოთ, პლატონი საუბრობს ძალაუფლების ხუთ მოდელზე: არისტოკრატიაზე, ტიმოკრატიაზე, ოლიგარქიაზე, დემოკრატიაზე და ტირანიაზე. თუ არისტოკრატია არის საუკეთესოების მმართველობა, ტიმოკრატია გულისხმობს სახელიანი, პრესტიჟული ხალხის მმართველობას. საქართველოში ახლა ნამდვილად ოლიგარქიაა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ექსცენტრიკული ოლიგარქი სინამდვილეში არა ბიძინა

ივანიშვილი, არამედ მიხეილ სააკაშვილია. ამ აზრით, ივანიშვილი, რომლის გარშემოც სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები იკრებიან, წარმოადგენს დემოკრატია იმიტომ, რომ დემოკრატია სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა მაქსიმალური ჩართვა ხელისუფლებაში. სხვათა შორის, იმავე პლატონის თანახმად, დემოკრატია არანაირად არ არის სხვა მოდელზე უკეთესი, პირიქით,

გარკვეული აზრით, უარესიც კი არის არისტოკრატიაზე.

თქვენი ლოგიკით, სააკაშვილის ოლიგარქიას ივანიშვილის დემოკრატია უნდა მოჰყვეს...

თუ ვამბობთ, რომ საქართველოში ბიზნესი და ხელისუფლება ერთი და იგივეა და მოქმედ ხელისუფლებას ახასიათებს ბიზნესის ტოტალური კონტროლი, მაშინ ნებისმიერი მდიდარი ადამიანის გამოჩენა ინვესტორულ სრულ ისტერიკას. ბადრი პატარკაციშვილის შემთხვევაშიც ასე მოხდა და როგორც ვხედავთ, ახლაც ასეა. ყველაზე დიდი უბედურება, რაც შეიძლება ამ სისტემას მოუვიდეს, ეს ფულზე კონტროლის დაკარგვაა, რაც ოლიგარქიული მმართველობის გათვალისწინებით, ძალაუფლების დაკარგვასაც გულისხმობს.

რა საფრთხის შემცველია ის, რომ საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი ივანიშვილს მსხნელად მოიაზრებს? თითქოს ჯერ კიდევ არ დამთავრდა ქართულ პოლიტიკაში შეროიზაციის პერიოდი.

ასეთი პერიოდი არასდროს დამთავრდება. ერთი წელი ვიყავი ჩიკაგოში და ეს პერიოდი ობამასა და მაკკეინის დაპირისპირების აპოგეას დაემთხვა. ობამას მიმართ დამოკიდებულება ასეთი იყო: მას მესიად, მსხნელად მოიხსენიებდნენ. ადამიანები ყველგან ერთნაირები არიან თავიანთი ვნებებით, გრძნობებით, მითოლოგიით, განსხვავება სტრუქტურებშია. მთავარი მომენტი ისიც არის, თუ რამდენად არის სოციალური და ძალაუფლების სტრუქტურები ამით გაჯერებული. საზოგადოებაში ყოველთვის იქნება რაღაც ნაწილი, რომელიც ახალგამოჩენილ პოლიტიკურ ფიგურაზე დაამყარებს იმედებს. მეტსაც გეტყვით, ასეთი ადამიანები ნამდვილად უნდა არსებობდნენ და ძალიან არალიბერალური იქნება, თუ დაინწყებთ მათი მარგინალიზაციის პროცესს. შეიძლება ძალიან არაპროგრესულად ჟღერდეს, მაგრამ განმანათლებლური პროექტი იმის შესახებ, რომ „ცოდნა ძალაა“ და რაც უფრო მეტი იცის ადამიანმა, მით უკეთესია, მაინცდამაინც არ მუშაობს: მე-20 საუკუნე

თავისი ჰოლოკოსტით და გულაგით, სულ უფრო მეტად გვარწმუნებს, რომ ცოდნა რაც უფრო მეტად გახდა ძალა, გაჩნდა ტოტალური განადგურების მეტი საშუალება და ეს არ მოხდარა მხოლოდ იმის გამო, რომ მსოფლიო მე-20 საუკუნეში ტექნიკურად წინ წავიდა.

ბიძინა ივანიშვილზე საუბრისას, უმეტესწილად, პარალელს კიდევ ერთ ოლიგარქთან, ბადრი პატარკაციშვილთან ავლებენ. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის? შეიძლება თუ არა ივანიშვილის პოლიტიკურმა ამბიციებმა პატარკაციშვილის პოლიტიკური განცხადებების ბუდე გაიზაროს?

მოდ, შევთანხმდეთ ტერმინებზე. როცა ვამბობთ სიტყვა „ოლიგარქს“, იგულისხმება ისეთი ტიპის ბიზნესმენი, რომელიც ჩართულია სახელისუფლებო ბიზნესში. არც პატარკაციშვილი და არც ივანიშვილი ასეთ ბიზნესში არ ყოფილან. ოლიგარქები არიან მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი. ოლიგარქიულია ნაყოფია-შარანგია-სააკაშვილის სისტემა – როცა ხელისუფლება და ბიზნესი შერწყმულია. ეს არის პლატონისეული განმარტება და ასეც დამკვიდრდა ყველგან. რუსეთში მე-20 საუკუნის 90-იან წლებში მოხდა ისე, რომ ყველა მდიდარ ადამიანს ოლიგარქი უწოდეს. რაღაც ეტაპზე ისინი მართლაც იყვნენ პლატონისეული ოლიგარქები, მათ შორის, ბორის ბერეზოვსკიც. ივანიშვილი არც რუსეთში ყოფილა ოლიგარქი, მას არასდროს ჰქონია კავშირი სახელისუფლებო სტრუქტურებთან. ოლიგარქი არის ის, ვინც ფულს ძალაუფლებით შოულობს და ფულითვე განამტკიცებს ძალაუფლებას.

საუბრობდნენ იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ არაერთ პროექტს აფინანსებდა...

ასე ჯორჯ სოროსიც აფინანსებდა ხელისუფლებას, მასაც ხომ არ შეიძლება ვუწოდოთ ოლიგარქი და მიშას ბიზნესმენი? ასეთი ადამიანი არის მეცენატი. ბიძინა ივანიშვილიც და ჯორჯ სოროსიც ხელისუფლების მეცენატები იყვნენ.

დავუბრუნდეთ ივანიშვილისა და პატარკაციშვილის მსგავსება-განსხვავებებს.

მსგავსება მხოლოდ ის არის, რომ ორივე ძალიან მდიდარია. განსხვავება კი ისაა, რომ თუ პატარკაციშვილი თავის დროზე იქცეოდა, როგორც რადიკალური ოპოზიცია, დღეს ამას მმართველი გუნდი აკეთებს, ივანიშვილი კი იქცევა, როგორც ხელისუფლება – ეს ლაშა ნაცვლიშვილმა შენიშნა. ივანიშვილს უნდა არჩევნები, ხელისუფლებას კი, არც ვიცი, რა უნდა – უბრალოდ იქცევა, როგორც რადიკალი. მათ სტრატეგიებშიც დიდი განსხვავებაა: ივანიშვილის მიზანია, დაადოს პოლიტიკური ტემპერატურა, მეტი წინდახედულება და სიბრძნე გამოიჩინოს, პატარკაციშვილი კი სულ სხვა განაცხადით მივიდა პოლიტიკაში.

თუმცა პატარკაციშვილის მსგავსად, ივანიშვილიც ბევრს ჰპირდება საზოგადოებას.

ასე არ ვიტყვოდი. მის განცხადებებში დაპირებებს ნაკლებად ვხედავ.

„ევროპას დემოკრატით გავაოცებთ“ – ამაზე რას იტყვით?

ეს რეკლამაა. ლინკოლნ მიტჩელმა კარგად თქვა, რომ ეს იყო პოლიტიკაში ბიზნესმენის წამოცდენა. ია ანთაქსთან ინტერვიუში მას არცერთი დაპირება არ გაუკეთებია. ხელისუფლება მუდმივად ამაზე აგებს წინასაარჩევნო კამპანიას: გზას, წყალს გაგიყვანთ, სახლებს გადაგიხურავთ და ასე შემდეგ. ბადრი პატარკაციშვილმაც 2007 წელს ეს გზა აირჩია და მეტიც, ფულის დარიგება დაიწყო. ივანიშვილთან კი საქმე სხვაგვარად არის: ის თავის სტრატეგიაზე საუბრობს, ამბობს, რომ ოპოზიციაში გადავა. შეიძლება ეს სწორი არც იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს არ არის დაპირება კლასიკური ქართული გაგებით. შეიძლება ფულის დარიგებაც დაიწყო, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერ ამას არ აკეთებს.

რას გვეუბნება გამოცდილება, რამდენად არის მოსალოდნელი, რომ უმდიდრესმა ადამიანმა ქვეყანაში ისეთი დემოკრატიული გარემო შექმნას, როგორსაც ის საზოგადოებას ჰპირდება?

მდიდარი ადამიანის პოლიტიკაში მოს-

ვლის მაგალითი ლინკოლნი მიტჩელმაც გაიხსენა. ეს ფაქტი მაკლ ბლუმბერგს უკავშირდება. იყო მილიარდერი როს პოროც, რომელმაც აშშ-ის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ დამარცხდა. ვერ ვიტყვი, რომ ისტორიულ მაგალითებს შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. საქართველო ახლა სულ სხვა სიტუაციაში იმყოფება: თუ 90-იან წლებში ორი პარადიგმის დაპირისპირების პერიოდი იყო, რომელსაც სიმბოლურად გამოხატავდნენ ზვიად გამსახურდია და ჯაბა ოსელიანი ანუ ინტელიგენციის ორი ვარიანტი: ინტელიგენტი დისიდენტი და ინტელიგენტი ქურდი, დღეს ვითარება შეცვლილია და ერთმანეთს ოლიგარქული და დემოკრატიული მოდელები უპირისპირდებიან.

როგორ იმოქმედებს ფული საზოგადოებრივ განწყობებსა და მოლოდინზე?

საზოგადოდ, არსებობს კაპიტალის რამდენიმე ტიპი: მაგალითისთვის, ვამბობ ასეთ ტერმინს – სიმბოლური კაპიტალი, რომელიც ფრანგმა სოციოლოგმა პიერ ბურდიემ გამოიყენა. რა არის სიმბოლური კაპიტალი? ასეთი ტიპის კაპიტალი შეიძლება იყოს ავტორიტეტი. საერთოდ, ჩვენ ვცხოვრობთ გლობალური კაპიტალის პერიოდში, სადაც ინფორმაცია არის კაპიტალი და პირიქით, კაპიტალიც არის ინფორმაცია. მეტაფორულად რომ ვთქვათ, ეს არის „ოქროს კერპის“ პერიოდი. მეფისტოფელის ცნობილი სტროფები რომ გაეხსენოთ, „სატანა აქა მართავს მეჯლისს და ყველანი თაყვანს სცემენ ოქროს კერპს“. ეს არის თანამედროვე საზოგადოება. ივანიშვილის რეჟინდენციამ უცხოელი დიპლომატების მისვლაც ამ კონტექსტში უნდა წავიკითხოთ – ყველანი ყველგან „ოქროს კერპს“ ეთაყვანებიან. მეორე საკითხია, რომ „ოქროს კერპში“ რომ შეხვალ, დანახავ, ამ კაცს მორალური ავტორიტეტიც აქვს. ეს საკმაოდ იშვიათად ხდება. გამოდის, რომ ჩნდება ორი პოლუსი ხელისუფლების და ბიძინა ივანიშვილის ფენომენის სახით, სადაც სიმბოლური და რეალური კაპიტალი ერთმანეთთან გადაჯაჭვულია, სადა მთავრდება ერთი და იწყება მეორე, ძალიან რთული სათქმელია, რადგან აქ საუბარია 5 მილიარდზე, პრაქტიკუ-

ლად, ივანიშვილის იმპერიაზე. ამ აზრით ივანიშვილი საქართველოსთვის იგივე მოვლენაა, რაც ორსონ უელსის პერსონაჟი მოქალაქე კეინი. გარდა ამ რეალური კაპიტალისა, მას უზარმაზარი მორალური კაპიტალიც აქვს, რომლის დაგროვება არც ისე ადვილია. ასეთი ტიპის კაპიტალის დაგროვება ფულის გარეშეც შეიძლება, ამის მაგალითად დედა ტერეზას დავასახელებდი. ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც კათოლიკეებს მაინცდამაინც არ სწყალობენ, თუმცა აქაც კი არსებობს ასეთი იდიომა: „დედა ტერეზა ხომ არ გგონივარ?“, რაც გულისხმობს იმას, რომ ვიღაცა რაღაცას უანგაროდ არ აკეთებს. დედა ტერეზამ ეს მორალური კაპიტალი ათწლეულების მანძილზე დააგროვა. როგორც წესი, წმინდანები, გმირები ასეთ კაპიტალს ფულის გარეშე აგროვებენ.

საქველმოქმედო საქმიანობამ ივანიშვილს ეს კაპიტალი დაუგროვა?

კი, სწორედ ამ თხუთმეტწლიანმა პერიოდმა ხელოვნების მოღვაწეებსა და სხვა მოქალაქეებს შორის მას ეს კაპიტალი ნამდვილად დაუგროვა. მოდი, თვითრეფლექსიაზეც ვისაუბროთ. მისთვის პოლიტიკაში მოსვლა ტრაგედიაა – ეს საჯაროდაც განაცხადა: მთელი ცხოვრება იყო ფილანტროპი, არ უნდოდა პოლიტიკაში მოსვლა იმიტომ, რომ ამას ანგარებად მიიჩნევდა. ეს ძალიან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული და პრინციპში, ასეც არის: მოვიდა პოლიტიკაში და რა გამოვიდა? თითქოს ამ კეთილ საქმეებს იმისთვის აკეთებდა, რომ პოლიტიკაში მოსასვლელად მორალური კაპიტალი დაეგროვებინა. ინტერვიუში თქვა, ამას განიცდის და აღიქვამს, როგორც პიროვნულ ტრაგედიას, ამიტომაც ვამბობ, რომ ის არის მორალური პოლიტიკოსი, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ის უცოდველი პოლიტიკოსია. მას, როგორც მორალურ პოლიტიკოსს, აქვს სინდისის ფენომენის განცდა – სინდისი ქენჯნის, რომ ეს ნაბიჯი გადადგა და პოლიტიკაში მოვიდა. შედარებისთვის, მიხეილ სააკაშვილი არის სულ სხვა ტიპის პოლიტიკოსი, არ ვამბობ, რომ ის ამორალურია, უბრალოდ, სააკაშვილი არის ბედისწერის და რისკის

პოლიტიკოსი, რომელიც დამოკიდებულია კამათელზე, თამაშში გამართლებაზე. ასეთივე იყო ნაპოლეონიც. აი, განდი კი მორალური პოლიტიკოსია, მან იცოდა დაშვებული შეცდომების შესახებ და განიცდიდა კიდევ მათ.

რამდენად არის მოსალოდნელი, რომ მორალური პოლიტიკოსიდან ივანიშვილი სხვა ტიპის პოლიტიკოსად გარდაიქმნას?

ძალიან რთულია, ერთი ქარიზმიდან გამოხვიდე და მეორეში აღმოჩნდე. თან ეს შენი გადასაწყვეტიც არ არის. მუსიკას რომ შევადაროთ, არ ხდება, რომ სიმფონისტი კომპოზიტორი სალონურ კომპოზიტორად გარდაიქმნას. პოლიტიკაშიც ასეა – აქ ხდება ბევრი რამ, რაც ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ბიძინა ივანიშვილი დაიბადა, როგორც მორალური პოლიტიკოსი, მიხეილ სააკაშვილი კი „შევარდნის“ სიტუაციაში, „ვარდების რევოლუციის“ დროს დაიბადა. არ ვიცი, შეიძლება ის მშიშარაა, ან ვაჟაკი, მაგრამ ფაქტია, რომ ის არის რისკის პოლიტიკოსი. ნაპოლეონი უმცროსი ოფიცრის წოდებიდან უცებ გენერალი გახდა – ის გარკვეულწილად ახალი ტიპის ადამიანია. რომ არა ნაპოლეონის აღზევება და დამარცხება, ალბათ, ევროპული რომანტიზმიც არ იქნებოდა. სააკაშვილიც სწორედ ამ კონტექსტში ჯდება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ნაპოლეონია, ან იენა მოიგო. თუმცა სააკაშვილის ტიპის პოლიტიკოსს აქვს თავისი იენაც და ვატერლოოც. მისი იენა არის 23 ნოემბერი, ამიტომაც უფრო ხილდება ამ თარიღს, ვატერლოო კი 7 ოქტომბერი – დღე, როცა ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩნდა.

რამა ივანიშვილის ქარიზმა გარდა იმი-სა, რომ ის არის, თქვენი აზრით, მორალური პოლიტიკოსი?

რას ნიშნავს ქარიზმა? ეს სულიწმინდის ნიჭია. პავლე მოციქული ერთ-ერთ ეპისტოლეში წერს, რომ არსებობს სხვადასხვა ტიპის ქარიზმა: ერთისა არის მისიონერობა, მეორისა – ქადაგება, მესამისა – ეკლემოქმედება. ეკლესიაში სხვა ტიპის ქარიზმებიც არსებობს. ქარიზმა ქართული გაგებით ყოველთვის

გარეგნულ მომენტს გულისხმობდა. ამ გაგებით ქართული და ამერიკული ქარიზმა ძალიან ჰგავს ერთმანეთს: არც იქ წარმოდგენილია, რომ პრეზიდენტი შეიძლება იყოს მეტრნახევრიანი სიმაღლის ადამიანი. ივანიშვილის შემთხვევაში კი საქმე ეხება სხვა ტიპის ქარიზმას, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ – ეს არის მორალური პოლიტიკოსის სახე, ამასთან ივანიშვილის ქარიზმა, შეიძლება ითქვას, რომ ესეც არის: „რასაც გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“. ქართველ ხალხს მოუწევს ასეთი ქარიზმატული პოლიტიკოსის მიღება, რადგან მასში, როგორც სხვა დანარჩენ ხალხში, ყველა ტიპის ქარიზმის მიმღებლობაა ჩადებული, უბრალოდ, აქამდე მხოლოდ ერთი ტიპის ქარიზმასთან გვექონდა საქმე. გერმანელი ერი ავიღოთ. კარლ გუსტავ ოუნგი ამას ფსიქოლოგიის ენაზე ამბობდა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ეს თანამედროვე პიარის ენაზე ვთქვათ. გერმანელ ერში რაღაც მომენტში ამოვიდა ვოდანის არქეტიპი. რას ნიშნავს ვოდანის არქეტიპი? პოლიტიკოსი-შამანი, რომლის პირითაც ყვირის სამოცდაათმილიონიანი ხალხი – ეს გახლდათ ჰიტლერი. დამარცხების შემდეგ მოვიდა სხვა ტიპის ქარიზმული ადამიანი – მორალური პოლიტიკოსი კონრად ადენაუერი. ბიძინა ივანიშვილიც არის სამხრული მარცხის შემდეგ მოსული მორალური პოლიტიკოსი, ვგულისხმობ „ვარდების რევოლუციის“ და 2008 წლის ომში დამარცხებას. გვინდა თუ არ გვინდა, მაინც ვართ სახელისუფლებო რიტორიკის გავლენის ქვეშ და გვაგინყვდება, რომ ჩვენ ვართ დამარცხებული ქვეყანა. კონრად ადენაუერი და მისნაირი ადამიანები ჩნდებიან ძალიან დიდი კატასტროფის შემდეგ, ის მოვიდა ქრისტიანული ლოზუნგებით, რამაც გერმანიაში საბოლოოდ ჩამოაყალიბა პატიების საზოგადოება. ევროპაში, მე-20 საუკუნის 40-იან წლებში გამოჩნდა სამი ასეთი ადამიანი: კონრად ადენაუერი, რობერტ შუმანი და ალჩიდე დე გასპერი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ასეთი ადამიანები მოდიან ძალიან დიდი დამარცხების შემდეგ – საქართველოშიც დიდი პოლიტიკური და მორალური მარცხის შემდეგ მოდის მორალური პოლიტიკოსი.

რამდენად მოსალოდნელი იყო ის რეაქცია, რაც ხელისუფლებას ივანიშვილის გამოჩენასთან დაკავშირებით ჰქონდა?

აბსოლუტურად ლოგიკური რეაქცია იყო, ველოდი ისტერიკას და ასეც არის. როცა ხარ ერთდართი და განუმეორებელი და გამოჩნდება სხვა, ამ დროს მთელი ნარცისისტული სამყაროს მოშლა ხდება. როცა ოლიგარქიაში სხვა, ასე ვთქვათ, უცხო ჩნდება, ეს მის დაშლას იწვევს. თავისთავად, დემოკრატიაშიც კარგი არაფერია, უბრალოდ, ის სისტემურად განსხვავდება ოლიგარქიისგან. შესაბამისად, პლატონის მიერ დანერგილი ყველა

■ ოლიგარქები არიან მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი. ოლიგარქიულია ნაყოფიან-შარანგია-სააკაშვილის სისტემა – როცა ხელისუფლება და ბიზნესი შერწყმულია. ეს არის პლატონისეული განმარტება და ასეც დამკვიდრდა ყველგან.

დროისა და ეპოქისთვის არის განკუთვნილი – ახლა საქართველოში მოვიდა დემოკრატის დრო.

რა არჩევანს გააკეთებს აშშ-ის ადმინისტრაცია? აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ უილიამ ბერსნმა თბილისში ჩამოსვლისას განაცხადა, რომ 2013 წლის არჩევნებმა უნდა უზრუნველყოს ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემა. ამერიკელი მაღალჩინოსნის ვიზიტი პოლიტიკური სიტუაციის გამოცოცხლებას დაემთხვა.

ამერიკა არის განწირული იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს დემოკრატს. არსებობს ასეთი მოსაზრება, რომ დემოკრატია შეიძლება იყოს არალიბერალური. მაგალითად, ზვიად გამსახურდია იყო

დემოკრატიული, მაგრამ არა ლიბერალური, შევარდნაძე – ლიბერალური, მაგრამ არადემოკრატიული, მიხეილ სააკაშვილი არის მაქსიმალურად ლიბერალური, მაგრამ აბსოლუტურად არადემოკრატიული. ჩვენ ერთი რამე გვეშლება, როცა ვფიქრობთ, რომ ამერიკელები იტყუებიან და არ არიან დემოკრატიულები. ამერიკელები აკეთებენ პრავდატულ არჩევანს: როცა ხედავენ, რომ მოდის ძალა, სადაც გაერთიანებულია სხვადასხვა ფენა, ისინი იძულებულნი არიან, რომ მხარი დაუჭიროს დემოკრატს. ამიტომაც ამერიკა მიესალმება ივანიშვილს, როგორც დემოკრატს – მისთვის მთავარია, რომ გაჩნდა მეორე პოლუსი. სხვათა შორის, სააკაშვილში ამერიკაც შეცდა, როცა არჩევანი მასზე გააკეთა, შედეგად კი დემოკრატის ნაცვლად მიიღო ოლიგარქიული რეჟიმი.

როგორც ვიცი, თქვენი კანდიდატურაც განიხილებოდა ბიძინა ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოში? რა გადაწყვეტილება მიიღო?

უარი ვთქვი ძალიან მარტივი მიზეზის გამო: ფილოსოფია ნიშნავს მჭვრეტელობით ცხოვრებას, ფილოსოფია ნიშნავს ტახტზე წოლას და წიგნის კითხვას და რაღაცების წერას, მე ჩემს face-ს არ ვყიდი, მე ვყიდი ჩემს შრომას. მაგალითად, თუ ბიძინა ივანიშვილი დააფინანსებს რაიმე საინტერესო პროექტს, რომლის ფარგლებშიც მე რაღაცას დავწერ, მაშინ კი, ბატონო, გავყიდი ჩემს შრომას. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს, იმ ერთი საათის განმავლობაში, როცა მარტო დავრჩით, ვლაპარაკობდით 90-იანი წლების რუსულ ოლიგარქიაზე: გუსინსკებზე, ბერეზოვსკებზე და ა. შ. ეს ჩემთვის გაცილებით უფრო საინტერესო იყო. ოფისში ჯდომა ჩემი საქმე არ არის, ლექცია, წერა და კითხვა – აი, სად ვარ და სადაც ვხედავ საკუთარ თავს. თუმცა ისიც ვთქვით, რომ თუ ჩემი რჩევა დასტორდა, სიამოვნებით დავილაპარაკებთ, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი, ჩემგან რჩევა რაში უნდა დასტორდეს. ■

ესაუბრა მალხაზ ჭკალუა.



ფოტო ბატა უზნაძე

ბიძინა ივანიშვილის ბიზნეს-ცენტრი



ივანიშვილი უჯანსახოდ

2 ღია წერილი, 3 ინტერვიუ, რამდენიმე ფოტოსურათი და იმ ადამიანთა მონათხრობი, რომლებიც მას პირადად შეხვდნენ – ამ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ქართული მედია, უკვე მესამე კვირაა, ახალი ქართველი პოლიტიკოსის – ბიძინა ივანიშვილის პორტრეტის შექმნას ცდილობს.

მაია ნიკლაური

თითქმის ერთი თვეა, კამერებით და მიკროფონებით აღჭურვილი ჟურნალისტები ივანიშვილის ბიზნეს-ცენტრთან მორიგეობენ. ივანიშვილის მეტა-ლითა და მინით ნაგები რეზიდენცია შიდაპოლიტიკური ცხოვრების ეპიცენტრად იქცა. ბოლოს ჟურნალისტების ასეთი მობილიზაცია 2004-05 წლებში იყო, როდესაც „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული ხელისუფლება ფორმირდებოდა – მინისტრები ყოველკვირეულად იცვლებოდნენ, სტარტს იღებდა ხმაურიანი რეფორმები. მაშინ ჟურნალისტები კანცელარიის შენობიდან არ გადიოდნენ, რამე სიახლე რომ არ გამოჰპარვოდათ.

დღეს იგივე ხდება ივანიშვილის ბიზნეს-ცენტრთან, სადაც ამ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ერთ პოლიტიკოსს მეორე ცვლის, მწერალს – მსახიობი, რათა ახალ პოლიტიკოსთან, რომლის ქონება 5 მილიარდ დოლარზე მეტია, პოლიტიკური კონსულტაციები გამართონ.

ივანიშვილი თავად ირჩევს, ვინ უნდა მივიდეს მასთან სტუმრად პოლიტიკური კონსულტაციებისთვის და ასევე, ვინ უნდა იყოს ის ჟურნალისტი, რომელიც მასთან ინტერვიუს ჩაწერს.

უკანასკნელი, რიგით მესამე ინტერვიუ, რომელიც ივანიშვილმა ჟურნალისტ ნინო ჟიჟილაშვილს მისცა, მისი ყველაზე ემოციური დიალოგია კამერის წინ. ჟიჟილაშვილთან საუბარში ივანიშვილი უპაღმტუნოდა და მისი საუბარიც ბევრად უფრო თავისუფალია, ვიდრე „როიტერის“ კამერის წინ იყო. ქართველ ჟურნალისტთან საუბარში ივანიშვილი თავს უფლებას აძლევს, აღელდეს.

ამ ინტერვიუში, რომლის დამონტაჟებული ვარიანტი 26 წუთსა და 45 წამს გრძელდება, ივანიშვილი რამდენჯერმე ბრაზდება დასმული კითხვის გამო და ჟურნალისტების მიმართ ისევე საკმაოდ კრიტიკულ მოსაზრებებს გამოხატავს.

იგი უარს ამბობს უპასუხოს კითხვას, რომელიც მისი და მოსკოვის ურთიერთობას ეხება, ასევე, საკმაოდ ბევრს საუბრობს სააკაშვილის გარემოცვაზე, რომელიც მისი ვარაუდით, მზადაა დაიშალოს, რამდენჯერმე ახსენებს ფრაზას „მე კარგად ვიცნობ სააკაშვილს და მისი მმართველობის სტილს“ და ასევე ჰყვება იმ თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებზე, რომლებიც მის ბიზნეს-ცენტრშია თავმოყრილი.

ია ანთაქსთან ინტერვიუში ივანიშვილი პოლიტიკოსისა და ბიზნესმენის მსგავსებაზე საუბრობს. ის ამბობს, რომ ბიზნესში ყოველთვის გუნდთან ერთად იღებდა გადაწყვეტილებებს და ამ ტაქტიკის გატარებას პოლიტიკაშიც აპირებს.

„არ შეიძლება კაცმა წარმატებას მიაღწიოს, თუ შენ კარნახობ ყველას, რა უნდა გააკეთოს – როგორც ჩვენი მთა-

ვრობა იქცევა“, – ამბობს ივანიშვილი.

ჟიჟილაშვილთან ვიდეო ინტერვიუში ივანიშვილმა თქვა, რომ „კარგად იცნობს სააკაშვილსა და მისი მმართველობის ერთპიროვნულ სტილს“.

ბიზნესმენი აქცენტს საკუთარი პოლიტიკური გუნდის, ან პარტიის შექმნაზე აკეთებს, რომელიც ჯერ არ ჰყავს.

„რა თქმა უნდა, მოუმზადებელი მოვედი. გარკვეულწილად ვერ ვახერხებ მობილიზებას, გუნდის შექმნას. ეს ყოველდღიური რეაგირებები ხელისუფლების გაუაზრებელ ქმედებებზე და კიდევ ბევრი რამ გარკვეულ პრობლემებს მიქმნის და მიგვიანდება რალაც ეტაპების სწრაფი ორგანიზება, მაგრამ მოვახერხებ ამას გარკვეულ დროში. არცთუ ისე ცუდად ვრეაგირებ ხელისუფლების ბევრ გაუაზრებელ ქმედებებზე“, – ამბობს ივანიშვილი.

მართალია, ივანიშვილი ამბობს, რომ ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლის მომხრეა და ქუჩის აქციებით პოლიტიკური პროცესების მართვა არ მოსწონს, მის საუბარში მაინც ჩნდება ტერმინი „კადაფიზაცია“, რომელიც სწორედ ძალადობრივი მეთოდებით ჩამოგდებულ ხელისუფლებასთან ასოცირდება:

„ძალიან არ მომწონს მათი [ხელისუფლების] არასწორი ნაბიჯები და ყველანაირად ვცდილობ, რომ აქ კადაფიზაცია არ დაიწყოს. ჩემი მთავარი მიზანია, რომ ესენი როგორმე შევაჩეროთ, კანონიერების ფარგლებში დავაბრუნოთ. ამიტომ, ყველაფერს ვაკეთებ, რომ შიდა ტემპერატურა დავნიო, რათა არ მოხდეს დაპირისპირება. ძალიან მეშინია, ქუჩის აქციები არ დაიწყოს, რაც ამათ აწყობთ. არ უნდა ვითამაშოთ მათი თამაში. როგორმე არჩევნებამდე უნდა მივიდეთ“, – ამბობს ივანიშვილი ია ანთაქსთან ინტერვიუში და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არჩევნებში გამარჯვება მისთვის პრიორიტეტულია. არ უნდა, რომ სიტყვა „რევოლუცია“ იხმაროს და არსებული ხელისუფლების შეცვლას მხოლოდ არჩევნების გზით გეგმავს.

საფრანგეთის მოქალაქე ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა ხელისუფლებამ მისი პო-

ლიტიკაში მოსვლის პირველსავე კვირას ჩამოართვა, ამბობს, რომ არჩევნები, რომლებიც მისი მონაწილეობის გარეშე ჩატარდება, ლეგიტიმურად ვერ ჩაითვლება:

„თუ მე არჩევნებიდან გამითიშავენ, არჩევნები ლეგიტიმური ვერ იქნება,“ – ამბობს ივანიშვილი ნინო ჟიჟილაშვილთან ინტერვიუში და ხელისუფლების გადაწყვეტილებას, მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის თაობაზე, ასე ხსნის:

„საკაშვილს შეეშინდა, რომ საკუთარი გუნდი არ დაშლოდა... ჩემი მეორე განცხადება (ივანიშვილის წერილობითი განცხადება, რომელიც 12 ოქტომბერს გამოქვეყნდა – მ.წ.) იყო ძალიან მკვეთრი და ძალიან ბევრი მინიშნება და მითითება იყო იმისა, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება. სააკაშვილს რეალურად დაუდგა საფრთხე, რომ გარდა იმ ძირითადი და უახლოესი გარემოცვისა, რომელიც, ალბათ, 10 კაცამდეა, დანარჩენ გუნდში შეიძლებოდა ყოფილიყო რყევები“.

„ესენი საკუთარ პოლიციასაც ვეღარ დააფინანსებენ ახლო მომავალში. სააკაშვილს შეიძლება თავისი საყვარელი გუნდის დაფინანსებაც გაუჭირდეს. რომელიც ნელ-ნელა შევიწროვდება, შევიწროვდება და გადატყდება ოდესღაც. დამშუული ხალხი ამას ვერ აიტანს დიდხანს და მოხდება კატასტროფა“, – განაგრძობს ივანიშვილი.

სახელისუფლებო გუნდში მოსალოდნელი რყევების შესახებ მინიშნებებს ივანიშვილი სხვა ინტერვიუებშიც აკეთებს. იგი გამოკვეთილი სიმპათიით ვანო მერაბიშვილს იხსენიებს.

საერთაშორისო სააგენტო „როიტერისთვის“ მიცემული პირველი სატელევიზიო ინტერვიუსგან განსხვავებით, სადაც ივანიშვილი აშკარად ღელავს და მისი პოლიტიკური განცხადებებიც საკმაოდ არადამაჯერებელია, ჟიჟილაშვილთან დიალოგში ივანიშვილი ბევრად უფრო ჰგავს ადამიანს, რომელსაც პოლიტიკა აინტერესებს და ოპონენტების წინააღმდეგ სერიოზულ ბრძოლას აპირებს.

გასულ კვირას ივანიშვილმა თავის

ბიზნეს-ცენტრში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც მიიღო და საკუთარი მოსაზრება არჩევნებთან დაკავშირებით მათ გააცნო. ის ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ჯონ ბასს, ჩეხეთის ელჩს ივან იესტრუხას, თურქეთის, შვედეთის, უკრაინის, ნიდერლანდების, ევროკავშირის, ბრიტანეთის, პოლონეთის, გერმანიის, გაერო-ს, შვეიცარიის, საფრანგეთის, იტალიის, ევროპის საბჭოს, უნგრეთისა და იაპონიის დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებს, NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორს ლუის ნავაროს საკუთარ ბიზნეს-ცენტრში შეხვდა. საათნახვერის განმავლობაში ივანიშვილი დიპლომატებს არწმუნებდა, რომ მისი გეგმები დემოკრატიულია და ხელისუფლებაში მოსვლით ქვეყანაში დემოკრატიულ ცვლილებებს გეგმავს.

ივანიშვილმა დიპლომატებს რუსეთისა და დასავლეთის მიმართ მისი დამოკიდებულებაც გააცნო.

„მე და ჩემი გუნდი მომავალში ვაპირებთ, რომ გავაღრმავოთ ურთიერთობები აშშ-სთან და მაღლიერი ვართ მისი თანადგომის. ასევე მაღლიერი ვართ ევროპის. ჩვენი პრინციპული პოზიცია იქნება, რომ მომავალშიც გავაღრმავებთ ამ მიმართულებით თანამშრომლობას. კარგად ვაცნობიერებ, რომ აუცილებელი იქნება და მყისიერად დავინყებთ რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვას“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

საგარეო კურსზე საუბრისას, ივანიშვილი ამბობს, რომ უნდა გაგრძელდეს სწრაფვა ნატოსკენ და ევროკავშირისკენ. ბიზნესმენს არ აქვს კონკრეტული გეგმა, თუ როგორ უნდა დაიბრუნოს ქვეყანამ დაკარგული ტერიტორიები, თუმცა მისი აზრით, აფხაზეთის და ოსეთის დასაბრუნებლად გამოსავალი შეიძლება იყოს მიმზიდველი, სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება, ასევე ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარების გამოყენება და დემოკრატიული ქვეყნების უფრო ძლიერი მხარდაჭერა. რუსეთისა და საქართველოს ინტერესთა

სამომავლო თანხვედრაზე საუბრისას ქართველი მეცენატი ძირითადად საკუთარ ვარაუდებს ეყრდნობა.

„ჩვენი ტერიტორიის ოკუპაცია, მე მგონი, რუსეთსაც ყელში აქვს გაჩხერილი. თუ რუსეთი გეგმავს ცივილიზებულ სამყაროსთან ურთიერთობის დალაგებას, წინსვლას ამ კუთხით, რა თქმა უნდა, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საკითხი ლოდევით ექნება ჩამოკიდებული. თანაც ამას ძალიან კარგად იყენებენ მისი ოპონენტები და მუდგმივად გამოიყენებენ მომავალშიც. გარდა ამისა, ეს თვითონ რუსეთის მდგომარეობისთვისაც საშიშია.“

■ „ესენი საკუთარ პოლიციასაც ვეღარ დააფინანსებენ ახლო მომავალში. სააკაშვილს შეიძლება თავისი საყვარელი გუნდის დაფინანსებაც გაუჭირდეს, რომელიც ნელ-ნელა შევიწროვდება, შევიწროვდება და გადატყდება ოდესღაც. დამშეული ხალხი ამას ვერ აიტანს დიდხანს და მოხდება კატასტროფა.“

კავკასია ძალიან რთული რეგიონია და ამ მიმართულებით შესაძლებელია საქართველოს და რუსეთის ინტერესების თანხვედრა“, – ვარაუდობს ივანიშვილი.

მან „როიტერთან“ ინტერვიუში რუსეთი ღიად დაადანაშაულა საქართველოს მიმართ „გაუგონარ აგრესიაში“ და განაცხადა, რომ ამ ქვეყანას საქართველოს 20 პროცენტი აქვს ოკუპირებული. გარდა ამისა მან სააკაშვილის პოლიტიკას ჩრდილოელი მეზობლის მიმართ „მოუფიქრებელი და არადიპლომატიური“ უწოდა.

კითხვას, მისი, როგორც „პუტინის პროექტის“ შესახებ, ივანიშვილ-

მა ემოციური რეაქცია შეაგება. ნინი ჟიჟილაშვილის ეს კითხვა, ცხადია, ივანიშვილისთვის მოულოდნელი ვერ იქნებოდა, მასზე პასუხიც, ალბათ წინასწარ იქნებოდა გააზრებული:

„დაანებეთ ამ თემას თავი. ეს თემა არის თითქმის გამონუნული. მე ვაცხადებ და განვაცხადებ: 9 წელია რუსეთში არ ვყოფილვარ, ჩემი ხელწერა და ცხოვრების წესი ქართველი ხალხისთვის გასაგებია. ძალიან გთხოვთ, იქნებ უფრო საინტერესო შეკითხვები დამისვათ. საზოგადოებას არ აქვს ეს კითხვა ჩემ მიმართ, ეს კითხვა აქვს სააკაშვილს და მის მთავრობას“, – თქვა ივანიშვილმა.

თავის ინტერვიუებში ივანიშვილი შიდა პოლიტიკის გამო მძაფრად აკრიტიკებს სააკაშვილს. ამბობს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ 7 წლის განმავლობაში სულ ორი რეფორმა განახორციელა: პოლიცია და უმაღლესი სასწავლებლები ქრთამისგან გაათავისუფლა. თუმცა მისი განმარტებით, პოლიციამ „თავდაპირველი ეფექტურობა“ დაკარგა და მას „ხელისუფლება ხალხის დასაშინებელ მანქანად“ იყენებს. განათლებამ კი „ეროვნული გამოცდების“ გარდა ვერაფერი შეიძინა. მისი თქმით, ქვეყნის ბიუჯეტს მთავრობა უაზრო გასართობ ღონისძიებებში ხარჯავს.

ივანიშვილმა განაცხადა, რომ მთავრობას პირველ ხანებში თავად აფინანსებდა, საკუთარი ჯიბიდან. მაშინ ინფორმაციას ქვეყანაში არსებულ საჭიროებებზე, მიმდინარე რეფორმებზე პირადად ვანო მერაბიშვილისა და მიხეილ სააკაშვილისგან იღებდა. დღეს ყველაზე მდიდარი ქართველი ნანობს, რომ გვიან გააცნობიერა, თუ რა პრობლემებს ქმნიდა მის მიერ დაფინანსებული ხელისუფლება. „უკანონოდ სახლების ნგრევა, პატივსაცემი ადამიანების აბუჩად აგდება, 7 ნოემბერი“ და სხვა ფაქტები გახდა მიზეზი, რომ მან ხელისუფლებისგან შორს ყოფნა არჩია.

„ძალიან შემრცხვა ჩემი თავისა ამ ყველაფრის შემდეგ. განვიცადე, რომ სწორი პოზიცია დროულად ვერ და-

ვიჭირე. ინაუგურაციის დღეს დავურეკე და ვუთხარი, რომ ერთმანეთს ვემშვიდობებოდით. იმ წუთში ძალიან შეცბა და მითხრა – მტოვებო?“, – ასე იხსენებს ივანიშვილი პრეზიდენტ სააკაშვილთან სატელეფონო დიალოგს 2008 წელს.

ყველაზე მდიდარი ქართველი ფიქრობს, რომ ეკონომიკაში გამოსავალი იქნება კანონიერი გადასახადების დადგენა, როცა ბიზნესმენს ვერაფერს მოსთხოვს ზედმეტს. გარდა ამისა, სახელმწიფომ არ უნდა განუსაზღვროს ბიზნესმენს, თუ რაში ჩადოს ფული. ივანიშვილი ამბობს, რომ ამას თავად ბიზნესმენები დაარეგულირებენ. თუმცა აუცილებლად მიაჩნია, რომ სახელმწიფომ ფული სოფლის მეურნეობაში ჩადოს და შეიქმნას მაღალი ტექნოლოგიების უნივერსიტეტი. „ყველა სფეროში მნიშვნელოვანია ინტელექტი“, – დასძენს ივანიშვილი. საინტერესოა, რომ იმ წლების განმავლობაში, როდესაც ივანიშვილი საქართველოში ქველმოქმედებას ეწეოდა, მას ფული განათლებაში არასოდეს ჩაუდია.

მისი თქმით, ყველაზე მძიმე მისი ხელისუფლებაში მოსვლიდან 6 თვე, მინიმუმ ერთი წელი იქნება – „ეიფორიაში მყოფ ხალხს ეგონება, ფულს დაგვირგებენ და ყველანი უცებ გაემდიდრდებიან. მაგრამ ასე ვერ მოხდება! ისეთი საგადასახადო სისტემა უნდა გვექონდეს, რომ არც პენსიონერები დავხოცოთ შიმშილით და ბიზნესსაც ჰქონდეს განვითარების საშუალება“. ამ თავდაჯერებული ტონით, რომლითაც ივანიშვილი მომავალზე საუბრობს, იგი თითქოს, კიდევ უფრო აღრმავებს მასზე შექმნილ „მესიანურ“ წარმოდგენას.

ივანიშვილი საუბრობს ისე, თითქოს მისი ხელისუფლებაში მოსვლა უკვე გადაწყვეტილია. იგი სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ შუალედური რგოლის თანამშრომლებსაც კი მიმართავს და მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სამუშაო ადგილების შენარჩუნებას ჰპირდება.

მანამდე კი ივანიშვილი მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას ცდილობს.

მას შემდეგ, რაც ერთ დროს ხელისუფლების დამფინანსებელმა ოლიგარქმა თქვა, რომ პოლიტიკაში მიდის, ხელისუფლების მთავარ ამოცანად მასთან ბრძოლა იქცა. ხშირად, იმ მეთოდების კანონიერება, რომლებსაც ხელისუფლება ამ ბრძოლაში იყენებს, ეჭვს იწვევს.

ივანიშვილის ადვოკატი ეკა ბესელია და მრჩეველი ირაკლი სესიაშვილი მოქალაქეობის საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს ბრიუსელში ევროკომისიის თავმჯდომარის მოადგილე პერ ემერსონსა და ევროპარლამენტარებთან მართავენ. საქართველოს საქალაქო სასამართლომ ივანიშვილისა და მისი მეუღლის, ეკატერინე ხვედელიძის საჩივარი, გაებათილებინა საქართველოს პრეზიდენტის №602 ბრძანებულება მათთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე, არ დააკმაყოფილა.

თითქმის ყველა პოლიტიკური ანალიტიკოსი და პოლიტიკოსი, მათ შორის იმ პარტიების წარმომადგენლებიც, ვინც ივანიშვილის სასურველ ძალებს შორის ვერ მოხვდა, ხელისუფლების ქმედებებს ივანიშვილის წინააღმდეგ და განსაკუთრებით მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხს პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აფასებენ.

„ხელისუფლების ტაქტიკა ივანიშვილთან მიმართებაში ნათელია. იგი გულისხმობს აგრესიულ ქმედებებს და ივანიშვილის პროვოცირებას, რათა მანაც გადადგას აგრესიული, რადიკალური ნაბიჯები და ქუჩაში გავიდეს. ქუჩაში ხელისუფლება გაცილებით კომფორტულად გრძნობს თავს და დიდი უპირატესობა გააჩნია ნებისმიერ ოპონენტთან, განსაკუთრებით საერთაშორისო ასპარეზზე“, – ამბობს „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი გიორგი თარგამაძე.

მხოლოდ გასულ კვირას ხელისუფლებამ ივანიშვილის თანამშრომლებისა და ახლობლების წინააღმდეგ 4 საქმე აღძრა:

11 ოქტომბერს დააკავეს ფონდ „ქართუს“ პრეზიდენტის სიმამრი თამაზ თამაზაშვილი. მას „იარაღის უკანონო

ტარება“ ბრალდება.

18 ოქტომბერს ბანკ „ქართუს“ 6 თანამშრომელი ფულის გათეთრების ბრალდებით დააკავეს. თუმცა მოგვიანებით მონმის სტატუსით ექვსივე გაათავისუფლეს. საქმე დღემდე არ დახურულა და ბანკისთვის არც საინკასაციო მანქანიდან ამოღებული 2 მილიონი ევრო და ერთი მილიონი დოლარი დაუბრუნებიათ.

18 ოქტომბერსვე დააკავეს ივანიშვილის შვილის, ბერას მეგობარი დიჯეი რემზო – იგივე ლევან მდინარაძე. მას ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება ბრალდებოდა, თუმცა გირაოთი მეორე დღესვე გაათავისუფლეს.

23 ოქტომბერს დააკავეს ივანიშვილის წარმომადგენელი რუსეთში – ვალერი ლევინი. ის საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისას აიყვანეს. მას ივანიშვილისთვის გარკვეული დოკუმენტები და ივანიშვილის შვილისთვის, 14 წლის გვანცასთვის მინერალური ქვები მოჰქონდა, რომელიც ყოველკვირეულ ჟურნალს „ქვეების ენერჯის“ მოჰყვება. ივანიშვილის პრესსამდივნოს ინფორმაციით, 14 წლის გვანცა ასეთ ქვებს „უკვე რამდენიმე წელია აგროვებს“. ლევინის ადვოკატის შალვა თადემაძის თქმით, მის კლიენტს რადიოაქტიური ნივთიერების შემოტანა ბრალდებოდა. თუმცა ლევინი იმავე დღეს გაათავისუფლეს.

საერთაშორისო პოლიტიკის ექსპერტი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ლინკოლნ მიტჩელი „ნეტგაზეთთან“ ინტერვიუში ხელისუფლების ნაბიჯებს ივანიშვილის წინააღმდეგ ავტორიტარულს უწოდებს და ამბობს, რომ საქართველოს მთავრობას ივანიშვილის ემინია. ლინკოლნ მიტჩელის აზრით, ივანიშვილის ფინანსები დიდწილად განსაზღვრავს მის წარმატებას.

„ეს ნიშნავს, რომ შეუძლია შექმნას სატელევიზიო სადგური და მედიაში არსებული სიტუაცია შეცვალოს“, – ამბობს მიტჩელი. ის ფიქრობს, რომ ივანიშვილის რეალური გეგმები ჯერჯერობით ბუნდოვანია. მიტჩელი ივანიშვილის ფრაზას, რომ ის გააოცებს

ევროპას საქართველოში დემოკრატიის დონით, „ოდნავ გადამეტებულად“ აფასებს.

„ვინც დღეს პოლიტიკაშია, უნდა მოერიდოს მაღალი ალბათობით რაიმეს მტკიცებას. ევროპულ დემოკრატიასთან გატოლების პერსპექტივაზე ივანიშვილის განცხადებაც ვერ იქნება მთლად რეალისტური და დამაჯერებელი. ნაკლებ სერიოზულად წარმოაჩენს მას. მას რომ ეთქვა, ჩვენ ვაპირებთ მთელი ძალისხმევით ვიმუშაოთ და თანდათანობით გავაუმჯობესოთ დემოკრატიის ხარისხი, ეს უფრო სერიოზული განაცხადი იქნებოდა და დამაჯერებელიც. მან უნდა დახვეწოს განცხადებები“, – აღნიშნავს მიტჩელი.

მიტჩელი ივანიშვილს პოლიტიკური პარტნიორების არჩევანს უწინებს. მისი აზრით, ივანიშვილს შეუძლია საქართველოში არსებული სიტუაციის შეცვლა, თუ უფრო პოპულარულ, ან პოტენციურად პოპულარულ კანდიდატებთან გაერთიანდება.

„ისეთი ხალხი, როგორცაა ალასანია, არაპოპულარულად აქციეს. ამას აკეთებს მთავრობის მიერ მართული მედია. ახლა ერთ-ერთი კარგი რამ, რაც შეიძლება მოხდეს, ისაა, რომ წინ წამოინევიან ისეთი პოლიტიკური აქტივისტები, ვინც დღეს არ ჩანან, ეს მათი შანსი იქნება. ალასანიას მსგავს პოლიტიკოსებს ბრძოლა ნამდვილად შეუძლიათ. შეცვლილ მედიაკლიმატს კი ალასანიას წარმოჩენა ობიექტურად შეეძლება“, – ამბობს მიტჩელი.

ივანიშვილის მოკლევადიან გეგმებში საპარლამენტო არჩევნების მოგება შედის. არჩევნები 2012 წლის შემოდგომაზე უნდა გაიმართოს. ახალი კონსტიტუციის თანახმად, იმას, თუ ვინ მოვა პარლამენტში უმრავლესობით, დიდი მნიშვნელობა მიენიჭება მომავალი მთავრობის ფორმირების საკითხში.

ქართველი ოლიგარქი – ბიძინა ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით შევა და ხმათა 2/3-ს მიიღებს. იანთაძესთან ინტერვიუში, ივანიშვილი იდეალურ პარლამენტში სამ პარტიას მოიაზრებს, რომელთაგან არცერთს

50 პროცენტის უპირატესობა არ ექნება. თუმცა, პირველ ხანებში სისტემური ცვლილებების მისაღწევად იდეალურ პარლამენტზე უარს ამბობს და გამოსავალს მისი პოლიტიკური ძალის საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსვლაში ხედავს. პარლამენტში უმრავლესობით მოსული სააკაშვილის გუნ-

■ „რა თქმა უნდა, მოუმზადებელი მოვედი. გარკვეულწილად ვერ ვახერხებ მობილიზებას, გუნდის შექმნას. ეს ყოველდღიური რეაგირებები ხელისუფლების გაუაზრებელ ქმედებებზე და კიდევ ბევრი რამ გარკვეულ პრობლემებს მიქმნის და მიგვიანდება რალაც ეტაპების სწრაფი ორგანიზება, მაგრამ მოვახერხებ ამას გარკვეულ დროში. არცთუ ისე ცუდად ვრეაგირებ ხელისუფლების ბევრ გაუაზრებელ ქმედებაზე“.

დის ერთ-ერთი არგუმენტიც ის იყო, რომ არაპოპულარული რეფორმებისა და სისტემური ცვლილებების გასატარებლად მას პარლამენტის სრული მხარდაჭერა სჭირდებოდა. თითქმის იგივე არგუმენტი აქვს დღეს ივანიშვილს, რომელიც პარლამენტში უმრავლესობით მოსვლას გეგმავს.

„როცა უნდათ და როგორც უნდათ, ერთ ლაშქარში ისე გადაწერენ და მოირგებენ კონსტიტუციას, რომ ხელისუფლებაში დარჩნენ და მიაღწიონ სინგაპურიზაციას, თუ რალაც ეგეთს... მაგათ რომ ჰკითხო, სულ ეგენი უნდა იყვნენ და იყვნენ. კარგი კონსტიტუცია ის კი არ იქნება, რომელსაც მე დავწერ, არამედ ის, რომელზეც საზოგადოება შეთანხმდება“, – ამბობს ივანიშვილი.

პოლიტოლოგი გია ნოდია ივანიშვილის ამ განცხადებას არადემოკრატიული პოლიტიკოსის განცხადებად აფასებს. ნოდია არასერიოზულად მიაჩნია ბიზნესმენის განცხადებები იმის შესახებ, რომ 2-3 წელიწადში, როდესაც ვითარებას დაალაგებს, იგი ხელისუფლებიდან წავა.

„ერთი მხრივ, ივანიშვილი ამბობს, რომ რომელიმე ერთ პარტიას უბრალო უმრავლესობაც რომ ჰქონდეს, ეს დემოკრატიული არ არის, მაგრამ თვითონვე უნდა ასეთი არადემოკრატიული უმრავლესობით პოლიტიკაში მოსვლა. 2 წლის განმავლობაში აპირებს ხელისუფლებაში ყოფნას და ყველა პრობლემის გადაჭრას – ჯერ ერთი, რატომ უნდა ვენდოთ და მეორეც, ეს განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანის სიტყვებს ჰგავს. მასზე, როგორც პოლიტიკოსზე, ისიც კარგად მეტყველებს, რომ ყველა მასთან მიდის და თავად 3 კვირის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, ისიც რამაზ ჩხიკვაძის პანაშვიდზე გამოვიდა თავისი რეზიდენციიდან. გამოდის, თითქოს ის ზეზუნებრივი ადამიანია“, – განაცხადა გია ნოდია ტელეკომპანია „მანესტროს“ ეთერში.

სხვა ოპოზიციონერი ლიდერებისგან განსხვავებით, რომლებიც ყოველთვის ხაზს უსვამდნენ, რომ არსებულ საარჩევნო გარემოში ხელისუფლების დამარცხება შეუძლებელია, ივანიშვილი საპირისპიროს აცხადებს. ივანიშვილი ხელისუფლებას საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად პირადი სახსრებით ბიომეტრული პასპორტების დაფინანსებასაც სთავაზობს.

მას სჯერა, რომ არჩევნებს, „სულ რომ არაფერი შეიცვალოს“, არსებულ პირობებშიც უმრავლესობით მოიგებს. „ნაციონალურ მოძრაობას“ მომავალ არჩევნებში ის ხმების 10-20 პროცენტს უწინასწარმეტყველებს. გამოკითხვები, რომლებიც მოსახლეობაში ივანიშვილის პოპულარობას დაადგენდნენ, ჯერ არ ჩატარებულა. თუმცა, სოციალურ ქსელებში დისკუსიების კითხვისას ან თუნდაც საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას, ნათელია, რომ პოლიტიკოსი ივანიშვილი მოსახლეობაში განხილვის მთავარ თემად იქცა. **■**

ვეხშეობაში ხომჯირობისი

საქართველო მზადაა, რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში განევრიანება დაბლოკოს.

ოლესია ვართანიანი, რადიო „თავისუფლება“, „ლიბერალისთვის“

დეკემბრის შუა რიცხვებში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი ქვეყნების წარმომადგენლები ჟენევაში მინისტრთა კონფერენციაზე შეიკრიბებიან იმისათვის, რომ ახალი წევრი სახელმწიფოების მიღების შესახებ ოფიციალურად განაცხადონ. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ახალწვეულთა რიგებში იქნებიან სერბეთი და ბოსნია-ჰერცეგოვინა. წევრობის კიდევ ერთი პრეტენდენტის – რუსეთისგან განსხვავებით, მათ ყველა წინასწარი მოლაპარაკება წარმატებით დაასრულეს და მზად არიან, ორგანიზაციის წევრობისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას შეუდგნენ.

რუსეთის ვმო-ში განევრიანების ბედი მიმდინარე კვირას გადაწყდება. უახლოეს დღეებში ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების წინასწარი შეხვედრა შედგება, სადაც სპეციალურ დოკუმენტს განიხილავენ. მასში აღნიშნული უნდა იყოს, რომ ორგანიზაციის ყველა წევრმა რუსეთთან სადავო საკითხებზე მოლაპარაკება შეძლო და ასევე მოცემული უნდა იყოს კონკრეტული გრაფიკი, თუ როდის და რომელი ვალდებულებები უნდა შეასრულოს ქვეყანამ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში განევრიანების შემდეგ.

ვმო-ს წესდების თანახმად, ეს დოკუმენტი კონსენსუსის გზით უნდა მიიღონ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, ერთი სანინალმდეგო ხმის შემთხვევაში, რუსეთის წევრობის საკითხი დეკემბრის

მინისტრთა კონფერენციის დღის წესრიგში აღარ შევა.

ასეთ მონინალმდეგე მხარედ შესაძლოა საქართველო იქცეს. ნახევარი წლის მანძილზე ის უშედეგოდ ცდილობდა რუსეთთან მოლაპარაკებას ერთ სადავო საკითხზე – როგორ უნდა მოხდეს აფხაზეთში მდინარე ფსოუსთან და სამხრეთ ოსეთში როკის გვირაბთან მდებარე საბაჟო-გამშვები პუნქტების გამჭვირვალე ფუნქციონირება.

ქართულ-რუსულ მოლაპარაკებებში შუამავლის როლს შევიცარია ასრულებდა. ივლისში ამ ქვეყნის წარმომადგენელმა დიპლომატებმა მხარეებს საბაზისო პრინციპები წარუდგინეს. მათ საქართველოს და რუსეთს კონფლიქტურ რეგიონებში, გამშვები პუნქტებიდან გამავალი და შემომავალი ტვირთების შესახებ ინფორმაციის გაცვლის თანამედროვე ელექტრონული სისტემის დანერგვა შესთავაზეს. ამ სისტემის გამართულ მუშაობას ადგილზე წარმოდგენილი საერთაშორისო დამკვირვებლები უზრუნველყოფდნენ.

ქართული მხარე თავიდანვე დათანხმდა ამ შემოთავაზებას. ოფიციალური თბილისი აცხადებდა, რომ მოსკოვთან კომპრომისის სანაცვლოდ მზად იყო თავისი მრავალწლიანი მოთხროვნა დაეთმო – გამშვებ პუნქტებზე ქართველი მებაჟეების და მესაზღვრეების ჩაყენების შესახებ.

რუსეთმაც, თავის მხრივ, პრინციპული თანხმობა განაცხადა, თუმცა მალევე შევიცარიული წინადადების რამდენიმე

პირობის გაპროტესტება დაიწყო. გასულ კვირას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ მოსკოვი საერთაშორისო დამკვირვებლების დაშვების წინააღმდეგია.

რუსეთის მხრიდან კიდევ ერთი წინააღმდეგობა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ტვირთების გატანის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ეხება. როგორც მოლაპარაკებებში საქართველოს წარმომადგენელმა სერგი კაპანაძემ განაცხადა, ამ საკითხს მოსკოვი ორი დე-ფაქტო რესპუბლიკის სტატუსს უკავშირებს. რუსეთის პოზიციის თანახმად, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი „დამოუკიდებელი სახელმწიფოებია“ და მათი გადასაწყვეტია, მიანვდიან თუ არა ისინი ტვირთების გატანის შესახებ ინფორმაციას. ეს პოზიცია თბილისისთვის მიუღებელია.

გასულ კვირას ევროკავშირმა განაცხადა, რომ რუსეთის ვმო-ში წევრობასთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხის გადანყვეტა შეძლო. უახლოეს დღეებში მსგავს განცხადებას აშშ-ც გააკეთებს.

დასავლელ პოლიტიკოსებს იმედი აქვთ, რომ რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში განევრიანება უცხოელ ბიზნესმენებს რუსულ ბაზარზე გარანტირებულ მწვანე შუქს აუნთებს. კრემლის უცხოური კომპანიების საქმეებში ჩარევასთან დაკავშირებული რამდენიმე ხმაურიანი სკანდალის გამო, დასავლელმა ბიზნესმენებმა რუსეთში ინვესტირებისგან თავის შეკავება

დაიწყეს. გაზეთ The Financial Times-ის თანახმად, ვმო-ში რუსეთის წევრობის წყალობით, ევროპული ეკონომიკა, რომელიც მეორე სერიოზული კრიზისის ზღვარზე იმყოფება, სამომავლო ზრდის პერსპექტივებს მიიღებს.

რუსი ლიდერები იმედოვნებენ, რომ ეს ფაქტორები დასავლელ პოლიტიკოსებს აიძულებს, ქართული ვეტოსთვის გვერდის ავლით, რუსეთის ორგანიზაციაში წევრობას დაუჭირონ მხარი. გასულ კვირას პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ლიად განაცხადა, რომ მისი

კებს ათასგვერდიანი საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში ეხმარებოდნენ.

რუს ლიდერებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ აშშ ქართულ საკითხს საკუთარ თავზე აიღებდა. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ვაშინგტონის თბილისზე განხორციელებული ზენოლის წყალობით, საქართველო რუსეთისთვის განევრიანებაზე ხელის შეშლას შეწყვეტდა. მსგავსი მოლოდინები მოსკოვს დღემდე აქვს:

„დარწმუნებული ვარ, რომ ეს საკითხი დღეს პოლიტიკურ განზომილებაშია

კვირის განმავლობაში შენევაში რუსეთის წარმომადგენლებთან შესახვედრად ჩადიოდნენ, რათა რუსეთს ქართული მხარის მოლაპარაკებებისას პასიურობაში დადანაშაულების საშუალება არ მისცემოდა.

გასული რამდენიმე კვირის განმავლობაში ამერიკელმა და ევროპელმა ჩინოვნიკებმა რუსეთს და საქართველოს კომპრომისული გადაწყვეტილების მიღებისკენ რამდენჯერმე მოუწოდეს. თბილისში ამბობენ, რომ ეს რუსეთისკენ მიმართული გამაფრთხილებელი განცხადებაა. თუმცა გასული კვირის ბოლოს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა პოზიციის შეცვლას არ აპირებს:

„საქართველოს მიერ წამოყენებული პრობლემები არცერთი კუთხით – არც წინიდან, არც გვერდიდან და არც უკნიდან, ბოდიშს ვიხდი ასეთი გამოწვევებისთვის, არ ჯდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ნორმებში და წესებში“.

ლავროვმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ვმო-ში ქართული ვეტოს გვერდის ავლით განეწვრიანდება.

გასულ კვირას, ორმა რესპუბლიკელმა სენატორმა, როი ბლანტმა და ჯეიმს ინჰოფმა, ამერიკის მთავრობას მოუწოდა შესაძლო ეკონომიკური სარგებლის სანაცვლოდ საკუთარი პოლიტიკური პრინციპები არ დაეთმო. სენატორებმა სახელმწიფო მდივანს და ვაჭრობის საკითხებში ამერიკის მთავარ წარმომადგენელს წერილი გაუგზავნეს, რომელშიც ურჩევდნენ, უარი ეთქვათ რუსეთის ვმო-ში განეწვრიანების მხარდაჭერაზე, რასაც შესაძლოა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებებში კრახი გამოეწვია.

„რუსეთის ვმო-ში განეწვრიანების მხარდაჭერა შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის მიერ იარაღის გზით დადგენილი საზღვრების საერთაშორისო რატიფიკაციის ტოლფასად. ჩვენ არ გვესმის, როგორ შეიძლება მსგავსი შედეგი შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებში შედიოდეს“, – ნათქვამია „რესპუბლიკელების“ წერილში. ■



■ რუსი ლიდერები იმედოვნებენ, რომ ეს ფაქტორები დასავლელ პოლიტიკოსებს აიძულებს, ქართული ვეტოსთვის გვერდის ავლით, რუსეთის ორგანიზაციაში წევრობას დაუჭირონ მხარი.

ქვეყნის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში წევრობა ევროპას და აშშ-ს რუსეთზე მეტად ესაჭიროებათ:

„თუ ჩვენ გვეტყვიან, რომ რიგი მიზეზების გამო არ ვვარგვივართ, რუსეთი ამას გადაიტანს – ეს ასეა, ეს გულწრფელი განცხადებაა“, – განაცხადა მედევედევმა.

რუსეთის ვმო-ში განეწვრიანების ჩაშლა აშშ-ს უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს. პრეზიდენტი ბარაკ ობამა ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი მომხრე იყო. რამდენიმე თვის განმავლობაში მისი წარმომადგენლები რუს ჩინოვნი-

და მისი გადაწყვეტა ჩვენს მთავარ პარტნიორებზეა დამოკიდებული“, – განაცხადა ორი კვირის წინ რუსეთის მთავრობის მეთაურმა ვლადიმირ პუტინმა.

ქართველი დიპლომატები აშშ-ის მხრიდან ზენოლას უარყოფენ. გასული კვირების განმავლობაში ისინი ძალისხმევას არ იშურებენ, რათა თავის დასავლელ პარტნიორებს დაუმტკიცონ, რომ მოლაპარაკებებში შედეგის მისაღწევად ყველა ღონე იხმარეს. თბილისი ცდილობს, რუსეთს ამისი საწინააღმდეგოს მტკიცების საშუალება არ მისცეს. ქართველი დიპლომატები რამდენიმე



დაბრუნებული მახინჯობის მსხვერპლი

ბოლო დროს საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში ტუბერკულოზის გავრცელებამ კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია და ის პატიმართა სიკვდილიანობის მთავარი მიზეზია.

ზურა ვარდიაშვილი

სამოქალაქო მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ რუსთავის №8 დაწესებულებიდან პატიმრები დაუკავშირდნენ და აცნობეს, რომ მსჯავრდებულ ლაშა კვანტალიანს ამოკერილი აქვს პირი და შიმშილობს. ის ითხოვს გადაუდებელ სამედიცინო გამოკვლევას, მის მიმართ განხორციელებული ძალადობის აღკვეთას და გამოძიებას.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ თავმჯდომარის ნანა კაკაბაძის თქმით, კვანტალიანი ციხეში მოხვედრისას სრულიად ჯანმრთელი იყო: „ციხის ადმინისტრაციას არ აქვს მტკიცებულება, რომ კვანტალიანი გარეთ მკურნალობდა, ის ციხეში დაავადდა. იმის გამო, რომ უმძიმეს მდგომარეობაში იყო და არ უტარდებოდა შესაბამისი მკურნალობა, პროტესტის ნიშნად პირი ამოიკერა, თუმცა იმის ნა-

ცვლად, რომ ემკურნალათ, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლის გზით აიძულეს პროტესტის შეწყვეტა“.

„პატიმრები ითხოვენ, რომ სანამ მათი მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდება, მანამდე ჩაუტარდეთ შესაბამისი მკურნალობა“, – ამბობს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი, გაგი მოსიაშვილი. მისივე ინფორმაციით, პატიმარი იქამდე არ გადაჰყავთ სამკურნალო დაწესებულებაში, სანამ ის გადაადგილების უნარს არ დაკარგავს და მისი მდგომარეობა არ დამძიმდება.

ამ ტენდენციას უკავშირდება ციხეში გარდაცვლილი პატიმრის, გიორგი ტოროშელიძის საქმეც, რომელიც სტრასბურგის სასამართლოშია გასაჩივრებული. „საიას“ წევრის, ადვოკატ ნათია კაციტაძის განცხადებით, საქმის განხილვა არსებითად დასრულებულია და სასამართლოს პასუხს ელოდებიან.

22 წლის გიორგი ტოროშელიძე 2007

წლის 24 მაისს დააპატიმრეს. საქმის მასალებში დევს ინფორმაცია, რომ იგი მანამდე არცერთ დისპანსერში არ მკურნალობდა. მისი სამედიცინო ისტორია 2008 წლის დეკემბერში იწყება, როცა ტუბერკულოზის დიაგნოზი დაუსვეს.

„ევროსასამართლოში იმაზე ვდავობთ, რომ მკურნალობა არაადეკვატური და დაგვიანებული იყო“, – ამბობს კაციტაძე. ტოროშელიძე 2008 წლის დეკემბერში უკვე დასუსტდა, დაიკლო წონაში, ოჯახი პატიმრის რუსთავის მეორე საპატიმრო დაწესებულებიდან ქსანში, „ტუბზონაში“ გადაყვანას ითხოვდა. თხოვნა ერთი თვის განმავლობაში არ დაკმაყოფილებულა. 2009 წლის 24 იანვარს, პატიმრის დამ, ინგა ტოროშელიძემ „ნითელ ჯვარს“ მიმართა. 26-ში გიორგი ქსანში გადაიყვანეს, ამ დროისთვის მისი მდგომარეობა მკვეთრად დამძიმდა. თებერვალში გლდანში, ციხის

საავადმყოფოში მოათავსეს, თუმცა მკურნალობა დაგვიანებული აღმოჩნდა. დიაგნოზის დასმოდან რამდენიმე თვეში გიორგი ტოროშელიძე გარდაიცვალა.

„ის ფაქტი, რომ პატიმარი ციხეში დაავადდა, სადავო არც არის,“ – ამბობს ადვოკატი, – „ჩვენს საჩივარში აქცენტი იმაზეა, თუ რამდენად დროულ და შესაბამის მკურნალობას უტარებდნენ. რუსთავის მეორე დაწესებულებაში სპეციალიზებული ექიმი არ ჰყავდათ, გაურკვეველია, რამდენად აკონტროლებდა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას ზოგადი პროფილის ექიმი“.

ევროსასამართლოში სახელმწიფოს წარმომადგენლობის თქმით, ტოროშელიძე ჩართული იყო ე.წ. DOTS პროგრამაში, რომელიც მკურნალობის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ ჩატარებას გულისხმობს. ადვოკატი ამ ინფორმაციას ადასტურებს, თუმცა როგორც სამედიცინო დოკუმენტაციიდან ირკვევა, ციხის ადმინისტრაციამ უკვე იანვარში იცოდა, რომ პაციენტი მულტირეზისტენტული ფორმით იყო დაავადებული.

რეზისტენტულ ტუბერკულოზს ინვეზს სანინალმდეგო ნამლებსადმი მდგრადი ბაქტერია. ასეთ ბაქტერიაზე I რიგის ერთი ან რამდენიმე ნამალი არ მოქმედებს. საჭიროა სხვა, ე.წ. II რიგის ტუბსანინალმდეგო ნამლები. ეს ნამლები უფრო ძვირადღირებულია. ასეთ მკურნალობას უზრუნველყოფს DOTS + პროგრამა. ამ პროგრამაში ტოროშელიძე აპრილამდე არ გადაუყვანიათ, კაციტაძის თქმით – „სამი თვის განმავლობაში I რიგის ნამლებს ტყუილად აძლევდნენ – მასზე არ მოქმედებდა. ის დრო, რაც დაიკარგა DOTS + პროგრამაში ჩასართველად, ძალიან დიდი იყო და რეალურად გადამწყვეტი აღმოჩნდა გიორგისთვის“.

„ჩემი ძმა უყურადღებობით მოკვდა“, – ამბობს გარდაცვლილი პატიმრის და, ინგა ტოროშელიძე, – „ყველას მუხლისჩოქზე ვუდგებოდი, რომ მისთვის ნემსი გაეკეთებინათ, ეკონომიკურად ძალიან გვიჭირდა, ოჯახიდან ნივთებს ვყიდდი, რომ ნამლები მეყიდა, 130 ლარს ვაძლევდი ერთ ამპულაში, მაგრამ ეს ნამლე-

ბი ჩემს ძმამდე არ მიდიოდა. იანვარში ერთი თვის განმავლობაში იჯდა საკანში, სადაც გათბობა დამონტაჟებულიც კი არ იყო – გაიყინა.“

ინგა ტოროშელიძეს სამართლის აღსრულების იმედი აქვს, რაც მისი თქმით საქართველოში ვერ იპოვა. საქმის გამოძიება სწრაფად დასრულდა, სა-

■ „ჩემი ძმა უყურადღებობით მოკვდა. ყველას მუხლისჩოქზე ვუდგებოდი, რომ მისთვის ნემსი გაეკეთებინათ, ოჯახიდან ნივთებს ვყიდდი, რომ ნამლები მეყიდა, 130 ლარს ვაძლევდი ერთ ამპულაში, მაგრამ ეს ნამლები ჩემს ძმამდე არ მიდიოდა. იანვარში ერთი თვის განმავლობაში იჯდა საკანში, სადაც გათბობა დამონტაჟებულიც კი არ იყო – გაიყინა“.

ხელმწიფო ექსპერტიზის მონაცემებით, სიკვდილი პატიმრის ჯანმრთელობის ცუდმა მდგომარეობამ გამოიწვია და ადმინისტრაციის ბრალეულობა არ დადასტურდა. გამოძიებამ გიორგი ტოროშელიძის დედა თავიდან დაზარალებულადაც კი არ ცნო, „მას შემდეგ, რაც ევროსასამართლოში გავასაჩივრეთ, მერე დაიბარეს დედა, დაკითხეს და დაზარალებულის სტატუსიც მისცეს, ასევე დაკითხეს ექიმები, ექთნები, ციხის თანამშრომლები, მაგრამ გამოძიება კვლავ შეწყდა, ევროსასამართლოში ვასაჩივრებთ გამოძიების არასწორად წარმართვის ფაქტსაც“, – ამბობს ადვოკატი.

სახალხო დამცველის ბოლო საპარლამენტო ანგარიში ვრცლად განიხლავს პენიტენციურ სისტემაში ტუბერკულოზის გავრცელების საკითხს. საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში სკრინინგისა და შემდგომი კვლევების შედეგად სულ 1579 შე-

მთხვევაა გამოვლენილი, რომელთაგან 60 პაციენტს დაუდგინდა მულტირეზისტენტული ფორმა. სახალხო დამცველი მრავალ პრობლემათა შორის გამოჰყოფს: სამედიცინო კადრების მოუმზადებლობას, შეუსაბამო ინფრასტრუქტურას, არაადეკვატურ მკურნალობას.

სახალხო დამცველის ინფორმაციით, საპატიმროებში შექმნილია არაკეთილსაიმედო პირობები, რომელიც ტუბერკულოზის გავრცელებას უწყობს ხელს. ახლად ამენებულ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ნაკლებადაა გათვალისწინებული განათებისა და აერაციის სისტემების მნიშვნელობა, რაც ტუბერკულოზის გავრცელების ერთ-ერთი მთავარი რისკ ფაქტორია. ტუბერკულოზურ ინფექციას ხშირად ერთვის თან ვირუსული ჰეპატიტი და აივინფექცია, რაც ამძიმებს პაციენტთა მდგომარეობას და თითქმის ყველა შემთხვევაში პატიმრის გარდაცვალებით მთავრდება.

ამავე ანგარიშის მიხედვით, ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მკურნალობა ხელმისაწვდომია მხოლოდ მსჯავრდებულებისთვის. წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებზე ეს მომსახურება არ ვრცელდება. პატიმრები ხშირად გადაჰყავთ სხვადასხვა რეჟიმის დაწესებულებებში, რაც მკურნალობის შეწყვეტის მიზეზი ხდება.

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის სპეციალური ბრძანება განსაზღვრავს იმ დაავადებათა ჩამონათვალს, რომელიც პატიმრობიდან გათავისუფლების საფუძველია. მათ შორისაა ბაქტერიოზულად ან ჰისტოლოგიურად დადასტურებული რესპირატორული ტუბერკულოზი, ფილტვების დესტრუქციული, პროგრესირებადი ტუბერკულოზი და ამ დაავადების კიდევ რამდენიმე ფორმა, თუმცა გაგი მოსიაშვილის ინფორმაციით, გათავისუფლებულთა რაოდენობა ძალიან მცირეა. მისივე თქმით, „ჯანდაცვის პრობლემები სასჯელაღსრულების სისტემაში რეალურია და სახელმწიფოს მხრიდან უფრო ეფექტურ ჩარევას საჭიროებს“.

სახელმწიფოს მიერ ბაზოქიბუნი ოხი ბიზნისის ისტორია

ბალო ქერდიყოვილისა და ნონა მარტიაშვილის საქმეების მაგალითზე ჩანს, რა ზიანი მიაყენა სახელმწიფომ მცირე მენარმეებს და როგორ ვერ შეძლო სასამართლო ხელისუფლებამ მათი შელახული უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

გვი მგელაძე

ბალო ქერდიყოვილის საქმე

„სააკაშვილის სამჯერ მიემართე, თან მომხრე ვარ მაგისი, მართლა ავირჩიე ორჯერ. მართლა მივეცი ხმა. ესლა მეოთხედ უნდა მიემართო. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ტელეფონით ქალბატონს ვესაუბრე, მოვუყევი ჩემი ამბავი და ვკითხე, მეშველება-მეთქი? მიპასუხა, თუ სასწაული მოხდა, გეშველება“.

ეს სიტყვები გორში მცხოვრებ ბალო ქერდიყოვილს ეკუთვნის. ბალოს სახელმწიფოს უკანონო ქმედებით 130 ათასი ლარის ზიანი მიადგა, რომლის ანაზღაურებასაც უკვე 4 წელია სასამართლოს მეშვეობით ცდილობს, თუმცა უშედეგოდ.

ბალო ქერდიყოვილი მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად გორში ცხოვრობს. პროფესიით მშენებელ-ინჟინერმა უსამსახუროდ დარჩენის შემდეგ მენარმეობა გადაწყვიტა. 2007 წლის გაზაფხულზე ცხინვალში მცხოვრებმა ნაცნობმა ზაქარია ვალიევმა, თბილისში ალკოჰოლური სასმელების ყიდვა და ერგნეთში მისთვის გადაცემა შესთავაზა. ვალიევმა 50 ათასი ლარი წინასწარ მისცა, ბალომ თანხის ნაწილი მეგობრებისგან ისესხა და თბილისში ჯამში 120 ათასი ლარის ალკოჰოლური სასმელები შეიძინა. „ვიდრე ტვირთს გადავიტანდი, ერგნეთის საგუშაგოზე მივედი, იქ თითქმის ყველა სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი იყო, ვაჩვენე საბუთები და ვუთხარი, რომ სასმელების გადატანა მინდოდა, მითხრეს პრობლემა არააო, ჯერ კიდევ 2007 წელი იყო და ეკონომიკურ ურთიერთობებს

მივესალმებითო“, – იხსენებს ბალო ქერდიყოვილი.

ბალომ ტვირთი ორ ნაწილად გაყო, ერთი ნაწილი უპრობლემოდ გადაიტანა საგუშაგოზე, თუმცა მეორე ნაწილი ფინანსურმა პოლიციამ ჩამოართვა და ტერმინალში გააჩერა. მიზეზად უთხრეს, რომ დოკუმენტაცია არ ჰქონდა წესრიგში და 65 ათასი ლარით დააჯარიმეს.

პირველი სასამართლო

საგადასახადო ორგანოებთან 2-თვიანი უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ, ბალომ სასამართლოს მიმართა, ჯარიმის გაუქმება და ტვირთის დაბრუნება მოითხოვა. გორის რაიონულმა სასამართლომ ქერდიყოვილის მოთხოვნა დააკმაყოფილა. მოსამართლე ვათიაშვილის გადაწყვეტილებით, ჯარიმა გაუქმდა და ბალოს ტვირთი უნდა დაბრუნებოდა.

ეს გადაწყვეტილება გორის საგადასახადო ჯერ სააპელაციო, შემდეგ კი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. ამან ქერდიყოვილისთვის ტვირთის დაბრუნება გააჭიანურა.

სასამართლოს სამივე ინსტანციის გავლას 15 თვე დასჭირდა. საბოლოო გადაწყვეტილება, რომლითაც ქერდიყოვილს ჯარიმა მოეხსნა და ტვირთი უკან უნდა დაბრუნებოდა, ძალაში 2008 წლის 10 სექტემბერს შევიდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქერდიყოვილმა ტერმინალს მიაკითხა. ტერმინალის დირექტორმა უთხრა, რომ ტვირთს ვერ დაუბრუნებდა, რადგანაც სასმელები აგვისტოს ომის დროს დაი-

კარგა. „როცა ბალომ წერილი მომიტანა, ტვირთი გაატანეო, უკვე ტვირთი აქ აღარ იყო. რუსების შემოჭრის დროს საწყობი გატეხეს და ყველაფერი წაიღეს და ტვირთს როგორ გავატანდი, როცა აქ აღარ იყო“, – იხსენებს ტერმინალის დირექტორი ედემი ხაჩიშვილი.

სასამართლო ბაში

მას შემდეგ, რაც ტერმინალიდან ტვირთის დაბრუნების იმედი დაკარგა, ქერდიყოვილმა გადაწყვიტა ისევ სასამართლოსთვის მიემართა და ტვირთის დაკარგვით მიღებული ზიანის ანაზღაურება სახელმწიფოსთვის მოეთხოვა, მაგრამ ამჯერად, ახალ პრობლემას წააწყდა. აღმოჩნდა, რომ სასამართლოში ბაშის სახით 3 ათასი ლარი უნდა გადაეხადა. „მოსამართლეს წარუდგინე საბუთები ჩემი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. გაზი 2 წელი ჩაჭრილი მქონდა, ბავშვის სწავლის ფული გადასახდელი მქონდა და ინსტიტუტში არ უშვებდნენ, ასევე მივიტანე ვალების და მევალების სია, მაგრამ არ უშველა, თუ სრულად არ გადაიხდი არ გაიმართება სასამართლოო. ყველაფრის დაკარგვას, ისევ ვისესხე ეს 3 ათასი და გადავიხადე“, – იხსენებს ბალო.

საქალაქო სასამართლოში ქერდიყოვილმა 138 ათასი ლარის ანაზღაურება მოითხოვა, თუმცა მოსამართლემ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. „საერთოდ 0 ლარი დააკისრა სახელმწიფოს სასამართლომ და თქვა, რომ ბალო ქერდიყოვილს საქართველოს სახელ-

მნიფომ არანაირი ზიანი არ მიაყენა და ჩვენს სახელმწიფოს ტვირთის ანაზღაურების ვალდებულება არ გააჩნია. მოტივად აგვისტოს ომი დასახელდა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ბალოსთვის ზიანი საგადასახადო ორგანოების ჯერ კიდევ 2007 წლიდან განხორციელებულმა უკანონო ქმედებებმა გამოიწვია“, – ამბობს ქერდიყოშვილის ადვოკატი ბექა დოჭვირი.

„ვინაიდან ქერდიყოშვილს უკანონოდ ჩამოართვეს ტვირთი, სწორედ ამან გამოიწვია მისი ზიანი. შემდეგ რუსმა წაიღო ის სასმელები თუ ვინმე სხვამ, ზიანი მაინც სახელმწიფომ უნდა აუნაზღაუროს, რადგანაც ამ ტვირთის შენახვა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი იყო. საქალაქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება უსამართლოა“, – ამბობს დამოუკიდებელი იურისტი, პაატა კიკვიძე რომელსაც ჩვენ ქერდიყოშვილის საქმის შესწავლა ვთხოვეთ.

ქერდიყოშვილის საქმეზე კომენტარი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურსაც ვთხოვეთ. უწყების პრეს-სპიკერმა, მაკა ფანქველაშვილმა გვითხრა, რომ ამ საქმეზე კომენტარს არ აკეთებდნენ.

საქალაქო სასამართლოს უარი ზიანის ანაზღაურებაზე ქერდიყოშვილის ადვოკატმა სააპელაციოში გაასაჩივრა, თუმცა აქაც ბაჟის პრობლემა წარმოიშვა (საქალაქო სასამართლოში გადახდილი 3 ათასი ლარი პროცესის წაგების გამო სახელმწიფოს დარჩა). ქერდიყოშვილს სააპელაციოში 5 ათასი ლარი მოსთხოვეს. „ეხლა 5 ათას ლარს მოსთხოვენ, საშუალება არ მაქვს, რომ გადავიხადო. ორჯერ ვთხოვე მოსამართლეს ბაჟი ან შემომციროს ან გადახდა გადამივადოს მაინც, მაგრამ უარი მითხრეს. ახლა სესხებაც კი არსად შემიძლია, მამა-პაპისეულ სახლს ვყიდი სოფელ შავშევებში, მაგრამ არ იყიდება, უწყლო სოფელია და არავინ ყიდულობს. თუ ბაჟი არ გამიუქმეს, სასამართლოს იმედიც გადამეწურება“, – ამბობს ბალო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინში ქერდიყოშვილი 5 წევრისგან შემდგარი ოჯახის



■ „ვინაიდან ქერდიყოშვილს უკანონოდ ჩამოართვეს ტვირთი, სწორედ ამან გამოიწვია მისი ზიანი. შემდეგ რუსმა წაიღო ის სასმელები თუ ვინმე სხვამ, ზიანი მაინც სახელმწიფომ უნდა აუნაზღაუროს, რადგანაც ამ ტვირთის შენახვა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი იყო. საქალაქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება უსამართლოა“.

შენახვას დღემდე ახლობლების დახმარებით ახერხებს. ხან დღიურ მუშად მუშაობს და მცირე თანხას შოულობს. „ჩემი და მიგზავნის ყოველ თვე რუსეთიდან თავისი პენსიის ნახევარს, 150-160 დოლარი გამოდის, 4 წელია ყოველ წელს აგზავნის, ასე გაჭირვებით გაგვაქვს თავი, ბრძოლის შეწყვეტას მაინც არ ვაპირებ, ბოლომდე ვიბრძოლებ“.

ნონა მარტიაშვილის საქმე

კიდევ ერთი მოქალაქე, რომელიც სახელმწიფო უწყებების უკანონო ქმედებამ შემოსავლის გარეშე დატოვა, ნონა მარტიაშვილია. მარტიაშვილს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ოფიცრებისთვის სასადილო ჰქონდა მონყობილი და წლიურად დაახლოებით 100 ათას ლარიანი ბრუნვაც ჰქონდა. სასადილოს მონყობის უფლება მას ეკონომიკის სამინისტრომ მისცა. მარტიაშვილმა 2004 წელს აუქციონში გაიმარჯვა და ეკონომიკის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად ვაზიანის

სამხედრო ბაზაზე მდებარე დაახლოებით 500 კვ.მ. ფართი 5 წლიანი იჯარით აიღო.

მარტიაშვილმა ავლაბარში სახლი გაყიდა, იჯარით აღებული შენობა გაარემონტა და ინვენტარით აღჭურვა, 3 წელი ჩვეულებრივ მუშაობდა, პრობლემები 2008 წელს დაეწყო.

13 თებერვალს სასადილოში სამხედრო პოლიციის თანამშრომლები შევიდნენ და მარტიაშვილს და მის თანამშრომლებს შენობის დატოვება აიძულეს. „გვითხრეს, რომ თავდაცვის მინისტრის, კეზერაშვილის ბრძანებას ასრულებდნენ. ბაზა სტრატეგიული ობიექტია, სასადილოს არ საჭიროებს და ტერიტორია დაცალეთო. გამოგვაძვეს“, – იხსენებს მარტიაშვილი.

სამხედრო ბაზიდან გამოძევების შემდეგ, მარტიაშვილმა ეკონომიკის სამინისტროს მიმართა და ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შესრულება მოსთხოვა. ობიექტზე შეშვების ნაცვლად სამინისტრომ მარ-

ჟურნალისტური გამოძიება

ტიაშვილს ხელშეკრულება ვადაზე ადრე ცალხმრივად შეუნყვიტა. ეკონომიკის სამინისტროს ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად თავდაცვის მინისტრის, დავით კეზერაშვილის წერილი დაედო. კეზერაშვილი ეკონომიკის მინისტრს სწერდა, რომ სტრატეგიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მარტიაშვილთან ხელშეკრულება უნდა გაუქმებულიყო. მარტიაშვილს ბაზაზე დაბრუნების კანონიერი საფუძველიც მოუსპეს. ეკონომიკის სამინისტროს ეს გადაწყვეტილება მან სასამართლოში გაასაჩივრა. საქალაქო სასამართლომ ეკონომიკის სამინისტროს გადაწყვეტილება უკანონოდ მიიჩნია და გააუქმა, წესით მარტიაშვილი ბაზაზე უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა.

„მეგა ფუდს“ შენირული ბიზნესი
თავდაცვისა და ეკონომიკის სამინისტროსთან რამდენიმეთვიანი ფუჭი მოლაპარაკებების შემდეგ, მარტიაშ-

ვილისთვის მისი ბაზიდან გამოძევების რეალური მიზეზი გახდა ცნობილი. მან შეიტყო, რომ ვაზიანის სამხედრო ბაზის კვებით უზრუნველყოფა კომპანია „მეგა ფუდს“ ჩააბარეს. „მეგა ფუდმა“ ბაზაზე ისეთივე ობიექტიც მოაწყო, როგორც მანამდე მარტიაშვილს ჰქონდა.


„ჩემი ტერიტორიიდან გამოძევება მოხდა „მეგა-ფუდის“ შემოსვლიდან რამდენიმე თვეში, ჩემი გამოსვლიდან 10 დღეში „მეგა-ფუდმა“ იმავე შენობაში გახსნა მალაზია და ხაჭაპურის საცხობი, ამ მალაზიაში იყიდებოდა საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები, ანუ იგივე, რაც იყო ჩვენთან. ჩემთან იყო კაფე, პირველადი მოხმარების საგნები და სახაჭაპურე“, – იხსენებს მარტიაშვილი.

იმ პერიოდში, მინისტრ კეზერაშვილის გადაწყვეტილებით, თავდაცვის სამინისტროს ობიექტების კვებით უზრუნველყოფა „მეგა ფუდს“ ჩაბარ-

და, შპს „მეგა ფუდი“ პარლამენტარ არჩილ გეგენავასთან დაკავშირებული კომპანიაა. ფირმის 85%-ს ნაციონალი დეპუტატის ძმა, ანდრო გეგენავა ფლობს.

ისევ სასამართლომ იმედად

სასადილოს დაბრუნების იმედის გადაწურვის შემდეგ, მარტიაშვილმა ბაზაზე დარჩენილი კუთვნილი ინვენტარის და პროდუქციის დაბრუნებისთვის დაიწყო ბრძოლა. სასამართლოში მის უფლებებს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ იცავს. იურისტებმა სასამართლოს დამოუკიდებელი აუდიტის მიერ მოზადებული დასკვნა წარუდგინეს. აუდიტის თანახმად, ობიექტიდან გამოძევების დროს იქ 66 ათას ლარად ღირებული პროდუქცია და 24 ათას ლარად ღირებული ინვენტარი დარჩა. გარდა ამისა, აუდიტის თანახმად ხელშეკრულების შეწყვეტით, მარტიაშვილმა 192 ათასი ლარის შემოსავალი დაკარგა.



გამაჩხობა, მე ვაჩ მანანა თოქმაჩიშვილი, გადაცემის "ხაზზე მოქალაქე" ავტორი და წამყვანი. გადაცემის მთავარი სიახლეა ნაჩმოადგენს მისივე ფორმატი: მოქალაქის სახელით ვიყავით ცხელ ხაზებსა თუ საჯაროდ გამოცხადებულ ნომრებზე და ვცდილობთ გავაჩვიოთ საზოგადოებისთვის აქტუალური თემები-ჯანდაცვითი, სოციალური, იურიდიული საკითხები... სატელეფონო ხაზი წინასწარ შეთანხმებული ახ ახის და შესაბამისად ახ ვიცით, თუ ხოგოხ შეხვედბიან ჩვენს ხაზს. გადაცემა მზადდება ჰიდაპიხ ეთიში და იგი მთლიანად ახის დამოკიდებული ცხელი ხაზებიდან მიღებულ ინფორმაციაზე, ოპეჩატორითა უთიოიგანწყობაზე და მათ მზაობაზე- დაეხმარონ მოქალაქეს ჰიხობემის გადაჭრაში.

ჩვენი მიზანია, უთი მხივ საჭიხ ინფორმაციის მოძიება და მისი ხელმისაწვდომობა, მეოხე მხივ უი მოქალაქებთან უთიუიხობის უელ-ტუიხს ჰიოპაგანდა, ხაზგასმა იმაზე, ხომ ცხელი ხაზების უთადეხით დანიშნულება მოქალაქეთა ხაზეზე ხუაგიხება.

გადაცემის მთავარი ევიზია:

მოუსმინეთ, ხმდესაც ხაზზეა მოქალაქე!

გადაცემა "ხაზზეა მოქალაქე" გათვილია მსმენელთა ფაქითი სუვეტიხს. ნებისმიეხს, ვინც თავს მოქალაქედ მიიჩნევს, ვინც სვამს უთხვას და ითხოვს ჰასუხს, ჩვენი გადაცემის აქტიუი მსმენელად მოვიახეხით. უსმინეთ **ხადიო უომეხსანტს FM 95.5 სიხშირეზე!** ყოველდღე, მზათ-უვიიხს გახდა, 11 სთ-სა და 25 ნუთზე ეთიშია "ხაზზეა მოქალაქე".

RadioCommercant

მარტიაშვილმა ნაცნობი სამხედროების დახმარებით ბაზაზე გადაღებული კადრები მოიპოვა, სადაც მისი კუთვნილი ინვენტარის ბაზიდან გატანა და განადგურებაა ასახული. ამის შემდეგ, განადგურებული ინვენტარის, პროდუქციის, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ნონა მარტიაშვილმა ისევ სასამართლოს მიმართა. ამ პერიოდში მისი სოციალური მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო. მარტიაშვილი თავისი სასადილოს ყოფილი დამლაგებლის სახლში ცხოვრობდა და დღემდე იქ ცხოვრობს. ყოფილმა მენარმემ სახელმწიფოს ზიანის ანაზღაურება მოსთხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მარტიაშვილის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა. გადანყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ობიექტიდან გამოძევებით მარტიაშვილს 119 ათას 848 ლარის ზიანი მიადგა. მოსამართლე იღონა თოდუას გადანყვეტილებით, ეს თანხა მარტიაშვილისთვის სახელმწიფოს უნდა აენაზღაურებინა.

საქალაქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ორივე მხარემ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. ეკონომიკის სამინისტრომ დაკისრებული 119 ათას ლარის გაუქმება მოითხოვა. „სააპელაციო სასამართლომ, უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო და მარტიაშვილის სასარგებლოდ სახელმწიფოს არაფერი დააკისრა. არადა ჩვენ ყველანი იმ მტკიცებულება გვქონდა წარდგენილი, რაც ადასტურებდა, რომ სახელმწიფოს უკანონო ქმედებამ მარტიაშვილს სოლიდური ზიანი მიაყენა“, – ამბობს მარტიაშვილის ადვოკატი, ლიკა ნიკლაური.

მარტიაშვილის მხარემ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. რამდენიმე თვიანი განხილვის შემდეგ, უზენაესმა სასამართლომ მარტიაშვილის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. სასამართლომ მისთვის ზიანის ანაზღაურება ეკონომიკის სამინისტროს არ დააკისრა და საქმის ნაწილი განსახილველად ისევ სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნა.

მარტიაშვილის საქმეზე კომენტარს არ აკეთებს ეკონომიკის სამინისტრო.



თავდაცვისა და ეკონომიკის სამინისტროსთან რამდენიმე თვიანი ფუჭი მოლაპარაკებების შემდეგ, მარტიაშვილისთვის მისი ბაზიდან გამოძევების რეალური მიზეზი გახდა ცნობილი. ვაზიანის სამხედრო ბაზის კვებით უზრუნველყოფა კომპანია „მეგა ფუდს“ ჩააბარეს. „მეგა ფუდმა ბაზაზე ისეთივე ობიექტიც მოაწყო, როგორც მანამდე მარტიაშვილს ჰქონდა.

კომენტარის მოპოვება ვერც თავდაცვის სამინისტროსგან მოვახერხეთ, წერილობით გაგზავნილ კითხვებზე არ გვიპასუხეს.

მარტიაშვილს რამდენიმე ბანკის და კერძო პირის ვალი აქვს, ვალების გამო დაკარგა როგორც თავისი უძრავი ქონება, ასევე მეგობრის სახლიც, რომელიც სესხის სანაცვლოდ ბანკში ჰქონდა ჩადებული. „ბიზნესის მოსპობით მარტიაშვილი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. აღებული კრედიტები გაორმაგდა და გასამმაგდა, იპოთეკით დატვირთული ჰქონდა როგორც საკუთარი, ისე მეგობრის ბინა, რომელიც საბოლოოდ ბანკებმა წაიღეს. ნონა მარტიაშვილი აღმოჩნდა ცუდ გადამხდელთა სიაში, 7 წლის განმავლობაში მას არ აქვს უფლება რომელიმე ბანკისგან აიღოს კრედიტი, შეეღახა საქმიანი რეპუტაცია, შეეღახა ღირსება და პატივი. ერთ დროს წარმატებული ქალბატონი, დღეს სოციალურად დაუცველია და სახელმწიფოს შემწეობას იღებს“, – ამბობს მარტიაშვილის ადვოკატი.

მარტიაშვილის მდგომარეობა მართლაც მძიმეა, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ ფინანსური კომპენსაციის მიღების იმედიც გადაუწურა. „არა მაქვს საცხოვრებელი სახლი, სახლი რომ მქონდეს, ოჯახიც შეკრებილი მეყოლებოდა, ხან ნათესავთან ვარ, ხან ყოფილ თანამშრომელთან. მეუღლე და ჩემი 2 შვილი არიან ახალციხეში, ჩემი მეუღლის მშობლებთან ცხოვრობენ იმიტომ, რომ ბავშვებს სჭირდებათ სრულფასოვანი გარემო, ბავშვები არიან 11 და 10 წლის, ისინი ჩემსავით ვერ ივლიან აქეთ-იქით და ამიტომ ბებიასთან მყავს ახალციხეში. ჩვენი ერთადერთი შემოსავალი 24-ლარიანი შემწეობაა. სოციალურად დაუცველის სტატუსი მომენიჭა და დახმარებას ვიღებთ“.

ქართული სასამართლო ეტაპების სრულად გავლის შემდეგ, ნონა მარტიაშვილი ევროპული სასამართლოსთვის მიმართვას აპირებს, მანამდე კი ვაზიანში, ისევ ახლობლის სახლში ცხოვრობს.

უნიხაღუხი უჯხედები

საქართველოში ღეროვანი უჯრედების გამოყენების მცირე შესაძლებლობა და დიდი მოლოდინია.

ეკა ჭითანავა

„ის ბავშვივითაა – იზრდება, ვითარდება და ირჩევს პროფესიას. არჩევანი დიდია – შეუძლია, გამოვიდეს მეხანძრე, კოსმონავტი, ექიმი, მასწავლებელი ან თუნდაც ხელოსანი. გადაწყვეტილების მიღებაზე ბევრი რამ ახდენს გავლენას. მათ შორის, ისიც, თუ როგორ გარემოში მოხვდება“, – ასე მარტივად ახსნა ამერიკელმა მეცნიერმა მარკ ჰედრიგმა ღეროვანი უჯრედების თავისებურება და იგი ბავშვის განვითარებას შეადარა.

ცალკე აღებულ ღეროვან უჯრედს ფუნქცია არ აქვს. იგი დანიშნულებას მხოლოდ მასპინძელ ორგანიზმში ჩანერგვისას იძენს. მაგალითად, ლვიძლში მოხვედრისას, ლვიძლის უჯრედად იქცევა, თავის ტვინში კი – თავის ტვინისად.

უჯრედული თერაპიის არსი ისაა, რომ თუ ღეროვანი უჯრედები დაავადების შედეგად დაზიანებულ ქსოვილში ჩაინერგება, ეს უჯრედები გამრავლდება და დაზიანებულ ქსოვილს შეავსებს და აღადგენს.

ღეროვანი უჯრედები სწორედ იმითაა უნიკალური, რომ შეუძლიათ გადაიქცნენ თითქმის ყველა ტიპის უჯრედად, რომლისგანაც ადამიანის სხეული შედგება.

უჯრედული თერაპია უკვე იქცა მსოფლიო მედიცინაში რევოლუციურ მიმართულებად. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ღეროვანი უჯრედებით მომავალში პარკინსონის, ალცჰეიმერის, გულის იშემიური დაავადებების, ართრიტის, დიაბეტის და ზურგის ტვინის

დაზიანებების განკურნებას შეძლებენ. მსოფლიო სტატისტიკით, ყოველ წელს 45-დან 50 000-მდე პაციენტს სისხლის დაავადებების, მათ შორის, ლეიკემიის სამკურნალოდ, საკუთარ, ან სხვა ადამიანის სისხლის ღეროვან უჯრედებს უნერგავენ.


მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით უჯრედულ თერაპიასთან დაკავშირებით უფრო მეტი კითხვა არსებობს, ვიდრე პასუხი და ღეროვანი უჯრედებით მკურნალობა ჯერ კიდევ ექსპერიმენტის დონეზეა.

ეს, ერთი შეხედვით, სასწაულმოქმედი უჯრედები „გარედან“ არ ჩნდება. ჩვენი ორგანიზმის ყველა უჯრედი ღეროვანი უჯრედებისგან არის წარმოქმნილი. ღეროვანი უჯრედებია ჩანასახში, ძვლის ტვინში, სისხლში, კანსა და ცხიმოვან ქსოვილში.

უჯრედული თერაპიის დროს გადამწყვეტი – მათი რაოდენობა და სხეულში ამ უჯრედების „გეოგრაფიული მდებარეობა“.

მეცნიერულად ყველაზე დასაბუთებული და მკურნალობისთვის უსაფრთხოდ მიჩნეული სისხლის ღეროვანი უჯრედებია.

სისხლის ღეროვანი უჯრედების ერთ-ერთი წყარო ძვლის ტვინია, რომლის ტრანსპლანტაცია ექიმებმა ჯერ კიდევ 50 წლის წინ დაიწყეს. ყოველდღიურად, ძვლის ტვინში ღეროვანი უჯრედებიდან მილიონობით სისხლის უჯრედი „იზადება“.




თუმცა, მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ უჯრედული თერაპიისთვის დონორის ძვლის ტვინზე უფრო ეფექტური და უსაფრთხო ალტერნატივა ჭიპლარის სისხლია.

დღეს მთელ მსოფლიოში ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების შენახვის ბუმი – მშობლები ახალდაბადებული ჩვილების ჭიპლარის სისხლს ინახავენ, რათა მომავალში შვილები სხვადასხვა დაავადებებისგან დააზღვიონ.

აშშ-ში ბოლო წლების განმავლობაში უკვე 20 000-ზე მეტ ადამიანს ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედები წარმატებით გადაუწერეს.

ღეროვანი უჯრედების შენახვის ტრა-



და მათი გამოყენების უფლება მხოლოდ ოჯახის წევრებს აქვთ.

ტრანსპლანტაციის შემთხვევაში, არც საჯარო ბანკიდანაა უჯრედების მიღება უფასო. მაგალითად ამერიკაში, ჭიპლარის სისხლის ლეროვანი უჯრედების ტესტირება, გამოგზავნა და სხვა ხარჯები, საბოლოოდ, 15 000 - 30 000 დოლარამდე ჯდება. თუმცა ამ თანხას დაზღვევა ანაზღაურებს და პაციენტს არაფრის გადახდა არ უნევს.

საქართველოში ლეროვანი უჯრედების საზოგადოებრივი ბანკი არ არსებობს. ჭიპლარის სისხლის ლეროვანი უჯრედების შენახვა მხოლოდ ორ კერძო ბანკში – „ჯეოქორდი“ და ბიობანკ „მედულაში“ გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ შეიძლება.

მედულაში უჯრედების შენახვა 2004 წლიდან დაიწყო. აქ დღემდე 160-მდე ნიმუშს ინახავენ. უჯრედების გამოყოფისა და შენახვის საფასური პირველ წელს 450 ლარი, ყოველწლიურად კი 100 ლარია.

არასამთავრობო ორგანიზაციის „სისხლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ქართული ჯგუფის“ დირექტორი მაგდანა ბეთანელი ამბობს, რომ ბიობანკი „მედულა“ კომერციული საქმიანობით ჯერჯერობით არაა დაინტერესებული და ბანკის შესახებ მხოლოდ ნაცნობებმა თუ იციან.

„ჯეოქორდი“ 2006 წელს დაარსდა და

დიცია ნელ-ნელა, მაგრამ სტაბილურად ფეხს იკიდებს საქართველოშიც.

ჭიპლარის სისხლის ლეროვანი უჯრედების „მოსაპოვებლად“ ბავშვის დაბადების მომენტიდან სულ ათი-თხუთმეტი წუთია გადამწყვეტი.

როცა ბავშვს დედის ჭიპლარს დააშორებენ, პლაცენტაში დაახლოებით 20-დან 200 მილილიტრამდე სისხლი რჩება. ექიმები ჭიპლარის ვენიდან სწორედ ამ სისხლს აგროვებენ, ერთროციტებისგან ასუფთავებენ, ლეროვან უჯრედებს გამოყოფენ და მინუს 196 გრადუსზე სპეციალურ მოწყობილობაში ყინავენ.

მთელ მსოფლიოში უკვე არსებობს საზოგადოებრივი და კერძო ბანკები, სადაც ამ უჯრედებს ინახავენ.

საჯარო ბანკებს დედები ჭიპლარის სისხლს უსასყიდლოდ აძლევენ. უჯრედი ბანკის საკუთრება ხდება. ამ ბანკების ლაბორატორიულ განყოფილებებში უჯრედებს საკვლევად იყენებენ, საჭიროების შემთხვევაში კი საავადმყოფოებს კონკრეტული პაციენტისთვის აწვდიან. საჯარო ბანკის უპირატესობა ისაა, რომ აქ შენახული უჯრედებით სარგებლობა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია.

საზოგადოებრივისგან განსხვავებით, კერძო ბანკებში უჯრედების შენახვა უფასო არ არის. გარკვეული თანხის სანაცვლოდ, დედა ჭიპლარის სისხლს შვილს ექსკლუზიურად უნახავს. ეს უჯრედები ბანკის საკუთრება აღარაა

ჭიპლარის სისხლის საჯარო ბანკი

ამერიკაში ჭიპლარის სისხლის 17 საჯარო ბანკია. მათ შორის ყველაზე დიდ **The New York Blood Center's National Cord Blood Program (NCBP)** -ში ყოველ წელს 7 000-ზე მეტი ახალი ნიმუში შედის, ბანკის ვებგვერდზე წერია, რომ 2010 წლის აპრილში 50 000-ზე მეტმა ადამიანმა აქ ჭიპლარის სისხლის ლეროვანი უჯრედები შეინახა. მოგვიანებით 3, 500 ადამიანმა კი ეს უჯრედები ტრანსპლანტაციისთვის გამოიყენა.

აქ 1000-ზე მეტი პაციენტის ღეროვანი უჯრედები ინახება. უჯრედების შენახვისთვის პაციენტმა პირველ წელს 780 ევრო უნდა გადაიხადოს, შემდეგ კი ყოველწლიურად – 100 ევრო.

კერძო ბანკში ჭიპლარის სისხლის შენახვას დასავლეთში მომხრეებთან ერთად უამრავი ოპონენტიც ჰყავს. საქართველოში კი მშობლებს ღეროვანი უჯრედების შესახებ ხშირად მხოლოდ მითები თუ გაუგიათ.

„მითხრეს, რომ მთელი ცხოვრება შემოდლა შევინახო ეს უჯრედები და თუ არ დასჭირდა ბავშვს, ბოლოს ნაოჭებს გაისწორებსო“, – ამბობს ათი თვის თეკლას დედა, რუსუდან ბარათაშვილი. თეკლას ჭიპლარის სისხლის უჯრედები სისხლის ბიობანკ „მედულაში“ ინახება.

■ ჯანმრთელი შვილების მშობლებს არც ამერიკის პედიატრთა აკადემია და არც ლეიკემიისა და ლიმფომის საზოგადოება ღეროვანი უჯრედების კერძო ბანკში შენახვას არ ურჩევს, რადგან მათი სამკურნალოდ გამოყენების ალბათობა ძალიან მცირეა.

„ლიბერალის“ კითხვას – „რა ასაკამდე გამოადგება უჯრედები თქვენს შვილს?“ – „სიცოცხლის ბოლომდე“, – პასუხობს თინათინ ჩხაიძე, რომელმაც შვილს ღეროვანი უჯრედები ხუთი წლის წინ „ჯეოქორდში“ შეუნახა.

„პრაქტიკულად, ყველაფრის განკურნება შეიძლებაო, ასე გავიგე“, – ამბობს კიდევ ერთი მშობელი.

ის, რომ ჭიპლარის სისხლი ყველა დაავადებას განკურნავს ან სიცოცხლის ბოლომდე ყველა ასაკის ადამიანს გამოადგება, მითია.

შეიძლება მეცნიერებმა სულ რამდენიმე წელიწადში საპირისპიროც დაამტკიცონ, თუმცა თანამედროვე მედიცინაში ამის არგუმენტები ჯერჯერობით არ არსებობს.

თუკი ოჯახის რომელიმე წევრს აქვს დაავადება, რომელიც ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის საჭიროებს, იმავე ოჯახში ახალშობილი ბავშვის ჭიპლარის სისხლის უჯრედების სამკურნალოდ გამოყენება საუკეთესო

ვარიანტია, რადგან დედამამიშვილები ერთმანეთისთვის საუკეთესო დონორები არიან.

ჯანმრთელი შვილების მშობლებს კი არც ამერიკის პედიატრთა აკადემია და არც ლეიკემიისა და ლიმფომის საზოგადოება ღეროვანი უჯრედების კერძო ბანკში შენახვას არ ურჩევს, რადგან ამ უჯრედების სამკურნალოდ გამოყენების ალბათობა ძალიან მცირეა.

ამ აზრს იზიარებს შვედეთში ლუნდის უნივერსიტეტის ღეროვანი უჯრედების ცენტრის დირექტორი და შვედეთის ღეროვანი უჯრედების და რეგენერაციული მედიცინის სტრატეგიული კვლევის პროგრამის კოორდინატორი პროფესორი ზაალ კოკაიაც.

„ჭიპლარის ღეროვანი უჯრედების

კერძო მოხმარებისთვის შენახვას ერთადერთი სამედიცინო და ეკონომიური გამართლება აქვს მაშინ, როცა ბავშვის და-ძმას აქვს რაიმე სისხლის ან მეტაბოლური დაავადება, ან ოჯახის წევრებს აქვთ სიმსივნური დაავადების მიმართ მომატებული რისკის დონე“, – ამბობს იგი.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით კი, საკუთარი ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების გამოყენება არაა რეკომენდებული არც გენეტიკური დაავადებების და არც მწვავე ლეიკემიის სამკურნალოდ.

„ამაზე ვესაუბრე შვედ ჰემატოლოგებს და ყველამ ერთხმად მითხრა, რომ გენეტიკური და ავთვისებიანი ლეიკემიების დროს ისინი არ გარისკავენ პაციენტის საკუთარი ღეროვანი უჯრედების გამოყენებას, რადგანაც ეს უჯრედებიც შეიცავენ იმავე გენეტიკურ „წუნს“ და მათზე დაიმედება არ შეიძლება“, – ამბობს კოკაია.

ნიუ იორკის სისხლის ცენტრის The

New York Blood Center's National Cord Blood Program (NCBP) ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია ენთონი დოუნის 2002 წლის ცნობილი შემთხვევა, როცა ბავშვის ჭიპლარის ღეროვანი უჯრედები სწორედ ასეთი გენეტიკური „წუნის“ გამო ვერ გამოიყენეს მისივე დაავადების სამკურნალოდ.

დედამ ახალშობილ ენთონის ჭიპლარის ღეროვანი უჯრედების სისხლი კერძო, კომერციულ ბანკში შეუნახა. ოთხი თვის იყო ენთონი, როცა იშვიათი გენეტიკური დაავადების, ოსტეოპეტროზისის დიაგნოზი დაუსვეს. ექიმების თქმით, გადარჩენის ერთადერთი გზა ღეროვანი უჯრედების გადანერგვა იყო.

„ფეხმძიმობის დროს უამრავი ლიტერატურა წავიკითხე და ამიტომაც გადავწყვიტე ჭიპლარის სისხლის უჯრედები კერძოდ შემენახა“, – წერს ენთონის დედა თრეისი. „ჩვენ არცკი ვიცოდით, რომ ოჯახის რომელიმე წევრს რაიმე გენეტიკური დაავადება ჰქონდა. კრიტიკულ მომენტში კი აღმოჩნდა, რომ ჩემს შვილს საკუთარი ღეროვანი უჯრედები ტრანსპლანტაციისთვის არ გამოადგებოდა“.

საბედნიეროდ, დიაგნოზის დასმიდან ერთ თვეში ენთონის დონორი საზოგადოებრივი ბანკიდან მოუძებნეს და ოპერაციამაც წარმატებით ჩაიარა.

„ჩვენს სიხარულს საზღვარი არ აქვს, ფაქტობრივად, ხელახლა დავიბადეთ. ენთონი ახლა კარგადაა, იზრდება, პიანინოზე დაკვრას და ცხენზე ჯირითს სწავლობს“, – წერს ოთხი წლის შემდეგ ენთონის დედა.

ჭიპლარის სისხლის ბანკის „ჯეოქორდის“ სამედიცინო დირექტორი, ლუბეკის სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორი გოჩა შათირიშვილი ამბობს, რომ კერძო ბანკი კლიენტს სისხლს უნახავს არა მხოლოდ თავისთვის, არამედ ასევე დედამამიშვილისათვის გამოსაყენებლად. დედამამიშვილის სისხლი, შესაძლოა, გამოადგეს გენეტიკური დაავადების სამკურნალოდაც, თუ ეს დედამამიშვილი კლინიკურად ჯანმრთელია.

მეცნიერების დიდი ნაწილი იმასაც

ჩა აჩის ლეიოვანი უჯრედი?

არსებობს ემბრიონული, ზრდასრული ადამიანის, ანუ სპეციფიკური, ფეტალური, ჭიპლარის სისხლისა და ინდუცირებული ლეროვანი უჯრედები.

ემბრიონულ ლეროვან უჯრედებს ლაბორატორიაში შექმნილი და ხელოვნური განაყოფიერების შემდეგ მორჩენილი ემბრიონიდან იღებენ. თავიდან ხელოვნური განაყოფიერებისთვის სინჯარაში სპერმას და კვერცხუჯრედს ერთად ათავსებენ. მას შემდეგ, რაც სპერმა კვერცხუჯრედს განაყოფიერებს, კვერცხუჯრედი იწყებს გაყოფას. ერთი უჯრედი ორად იყოფა, ორი ოთხად, ოთხი კიდევ ორად. რვაუჯრედიანი ემბრიონი ნახევრად ცარიელ, ჰაერით ამოვსებულ ბურთს წააგავს. იგი ჯერ კიდევ არაა მომწიფებული იმისთვის, რომ ქალის სხეულში მოათავსონ. ამ დროს ემბრიონში იქმნება დაახლოებით 150 უჯრედისგან შემდგარი შიდა მასა. სწორედ ესაა ლეროვანი უჯრედები. მათ ემბრიონიდან გამოაცალკეებენ და ლაბორატორიის პირობებში ამრავლებენ.

ამ გზით ლეროვანი უჯრედები პირველად თავგებიდან 1981 წელს, ხოლო ადამიანის ემბრიონიდან კი, მხოლოდ 1998 წელს მიიღეს. მას შემდეგ მსოფლიო სამეცნიერო წრეები ლეროვანი უჯრედების სასწაულმოქმედებაზე ალაპარაკდნენ. ეს უჯრედები ხომ სწორედ იმითაა უნიკალური, რომ ყველა ტიპის უჯრედად გარდაქმნა და თეორიულად ყველა ორგანოს „აღდგენა“ შეუძლიათ.

ლეროვან უჯრედებს შეიცავს ჩვენი ორგანიზმის სხვადასხვა ქსოვილიც, მაგალითად, კანი ან კუნთი. თუმცა მათი შესაძლებლობები, ემბრიონისგან განსხვავებით, შედარებით შეზღუდულია და უმეტესწილად იმ ქსოვილის აღსადგენად იყენებენ, საიდანაც თვითონ ლეროვანი უჯრედი მიღებული.

თუმცა მეცნიერები ექსპერიმენტულად უკვე სპეციფიკური უჯრედების ფუნქციის გაუმჯობესებას და ემბრიონული უჯრედისთვის დამახასიათებელი



„ყოვლისშემძლე“ თვისებების „შექმნას“ ცდილობენ.

ამ მეთოდს კიოტოს უნივერსიტეტში შინია იამანაკამ 2006 წელს მიაგნო, როცა კანის უჯრედის „რეპროგრამირება“ სცადა, ანუ მასში ემბრიონული უჯრედისთვის დამახასიათებელი დამატებითი ოთხი გენი შეიყვანა. აღმოჩენამ სენსაცია მოახდინა. ემბრიონულის ნაცვლად, ინდუცირებული ლეროვანი უჯრედების გამოყენების პერსპექტივა ხომ მეცნიერებს მრავალ ეთიკურ დაბრკოლებას მოუხსნიდა.

ინდუცირებული ლეროვანი უჯრედების უსაფრთხოება ჯერჯერობით დადგენილი არაა. მეცნიერების შესწავლის საგანია ისიც, თუ რა გავლენას ახდენს დამატებით გენების შეყვანა უჯრედის შემდგომ განვითარებაზე.

თუმცა, დღეს უკვე გენების შეყვანის გარეშე შეიძლება ინდუცირებული ლეროვანი უჯრედების მიღება.

მოზრდილთა ლეროვან უჯრედებში, გარდა სპეციფიკური ქსოვილებისა, ხშირად აერთიანებენ ე.წ. ფეტალურ და სისხლის ლეროვან უჯრედებსაც. ფეტალურ ლეროვან უჯრედებს აბორტის შედეგად დაღუპული ჩანასახიდან იღებენ.

ლეროვან უჯრედებს შეიცავს ძვლის ტვინი და ჭიპლარის სისხლიც.

მეცნიერები ყველაზე ეფექტურად ემბრიონულ უჯრედებს მიიჩნევენ, რადგან მათ თვითგანახლების ყველაზე დიდი უნარი აქვთ. თუმცა, კვლევებისთვის ემბრიონის გამოყენება მეცნიერებს ეთიკური დილემის წინაშე აყენებს.

შეერთებულ შტატებში ემბრიონული ლეროვანი უჯრედების კვლევის დაშვება-არდაშვების საკითხი პარტიული და პირისპირების მიზეზია. „რესპუბლიკელები“ ე.წ. სიცოცხლის მომხრეები (pro life) არიან. ემბრიონს ცოცხალ ორგანიზმად განიხილავენ და მის კვლევაში გამოყენებას ეწინააღმდეგებიან, ხოლო დემოკრატებისათვის (pro choice) არჩევანის თავისუფლება ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა. რვაუჯრედიანი და განაყოფიერებისთვის მოუმწიფებელ ემბრიონს კი ცოცხალ არსებად არ მიიჩნევენ. სწორედ ამიტომ 2001 წელს ჯორჯ ბუშმა ემბრიონული ლეროვანი კვლევებისთვის ფედერალური ბიუჯეტიდან დაფინანსება შეწყვიტა, ბარაკ ობამამ კი პრეზიდენტად გახდომისთანავე აღადგინა.

ამტიკიებს, რომ ბავშვთა ლეიკემიის დროს მისი ჭიპლარის ლეროვანი უჯრედები უკვე ატარებენ გენეტიკურ ცვლილებას, რაც ლეიკემიას იწვევს.

„ეს მთლად ასე არაა“, – ამბობს შატირიშვილი და 2007 წელს ჟურნალ Pediatrics-ში გამოქვეყნებულ სტატიას იხსენებს. მისი თქმით, ლეიკემიით დაავადებულ პაციენტებს საკუთარი ჭიპლარის ლეროვანი უჯრედებით უმკურნალეს. მათი გამოყენება გადანყდა მას შემდეგ, რაც ვერ მოიძებნა მონათესავე ძვლის ტვინის დონორი და ამ კონკრეტულ შემთხვევაში ექიმებმა არამონათესავე დონორს საკუთარი ჭიპლარის სისხლის გამოყენება არჩიეს. პაციენტი განიკურნა.

ამერიკელი მეცნიერების ნაწილი ამტიკიებს, რომ მწვავე ლეიკემიის 85 პროცენტი ქიმიოთერაპიით ისედაც იკურნება და ჭიპლარის სისხლის ლეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია საჭირო არაა. ამდენად, საკუთარი ჭიპლარის სისხლის ლეროვანი უჯრედების გამოყენების ალბათობა 800 000 შემთხვევიდან მხოლოდ ერთია.


სწორედ ამიტომ, ამერიკის პედიატრთა ასოციაცია ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების გარდა, ჭიპლარის სისხლის ლეროვანი უჯრედების კერძო ბანკში შენახვას „უგუნურ“ გადაწყვეტილებას უწოდებს.

მეცნიერებასა და ახალ ტექნოლოგიებში ეთიკის ევროპულ ჯგუფსაც The European Group on Ethics in Science and New Technologies (EGE) იგივე პოზიცია აქვს.

ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ კერძო ბანკების დიდი ნაწილისთვის უჯრედების შენახვა ბიზნესად იქცა – „ისინი ყოფიან სერვისს, რომელიც რამდენიმე წელიწადში შეიძლება უსარგებლო აღმოჩნდეს“.

საფრანგეთსა და იტალიაში კი სისხლის დაავადებების განვითარების დაბალი რისკის მქონე პაციენტებისთვის ჭიპლარის სისხლის უჯრედების შენახვა, საერთოდაც, უკანონოა.

არის კიდევ ერთი დეტალი – ჭიპლარის სისხლში ლეროვანი უჯრედების შედარებით ნაკლები რაოდენობაა, ვიდრე, მაგალითად, ემბრიონში. ამიტომ



■ ლეროვანი უჯრედების საჯარო ბანკების არსებობა

აუცილებელია, რადგან მათ გარეშე ონკოჰემატოლოგიის დარგი და ლეროვანი უჯრედების კვლევა ვერ განვითარდება.

ზრდასრულ ადამიანს ერთი ჭიპლარის სისხლიდან მიღებული უჯრედები ონკოლოგიური დაავადების სამკურნალოდ შეიძლება არც ეყოს. ამდენად, ზოგიერთი მშობლის წარმოდგენა, რომ ლეროვანი უჯრედები ნებისმიერი ასაკისა და წონის ადამიანს ნებისმიერი დაავადებისგან განკურნავს, არასწორია.


მეცნიერები ამ პრობლემის გადაჭრას ლეროვანი უჯრედების ხელოვნურად გამრავლებით ცდილობენ.

„გამრავლების შემდეგ ამ უჯრედების ეფექტურობა ქვეითდება. სწორედ

ამაზე მუშაობენ ჩემი კოლეგები ლუნდ-ში. ისინი იკვლევენ გზებს, თუ როგორ შეუნარჩუნონ გამრავლების შემდეგ ლეროვანი უჯრედებს მათი უნიკალური თვისებები, რომ გადანერგვის შემდეგ მათ ჰქონდეთ ისეთივე ეფექტი, როგორც პირველად უჯრედებს“, – ამბობს ზაალ კოკაია.

საქართველოში უჯრედების გამრავლების შესახებ მტკიცებულებაზე დაფუძნებული მონაცემები არ არსებობს.

დღეს „ჯეოქორდში“ ამბობენ, რომ ამჟამად ბანკის ლაბორატორიაში უჯრედების გამრავლება არ ხდება.



გოჩა შათირიშვილის თქმით, 2009 წელს ჭიპლარის ლეროვანი უჯრედები ბანკის კვლევით ლაბორატორიაში ე.წ. CO² ინკუბატორში 88-ჯერ გაამრავლეს.

ამ კვლევის შედეგები საერთაშორისო სამედიცინო ლიტერატურაში ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა, თუმცა, შათირიშვილი ამბობს, რომ კვლევას ახალი წლიდან განაახლებენ, და ნაშრომის გამოქვეყნებამდე ახალ შედეგებსაც დაელოდებიან.

შვედეთში ჭიპლარის კერძო ბანკები საერთოდ არ არსებობს და ჭიპლარის ლეროვან უჯრედებს ინდივიდუალური მოხმარებისთვის არ ინახავენ. არის ერთი – შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული ბანკი გეტებორგში, მთელი შვედეთიდან ჭიპლარის სისხლი შესანახად სწორედ აქ გროვდება. ეს ბანკი საჭიროების მიხედვით საავადმყოფოებს პაციენტების სამკურნალოდ ამარაგებს.

„აქ უჯრედებს მხოლოდ 20 წელი ინახავენ, რადგანაც არაა ცნობილი უფრო ხანგრძლივი შენახვა რა გავლენას იქონიებს გაყინული უჯრედების თვისებებზე და იქნება თუ არა უსაფრთხო და ეფექტური პაციენტებზე გამოსაყენებლად“, – ამბობს ზაალ კოკაია.

ქეთი გენძეხაძე კალიფორნიის შტატის კიბოს ცენტრში City of Hope, ჰისტოქემოთერაპიის (HLA) ლაბორატორიაში ასოცირებულ დირექტორად მუშაობს. ამ ინსტიტუტში, სხვა კიბოს ცენტრებთან ერთად, ჭიპლარის უჯრედების გამრავლებაზე მუშაობა დაიწყო. თუმცა კვლევა ჯერ ექსპერიმენტულია.

მისი თქმით, ამერიკაში ორივე ტიპის ბანკი არსებობს და პაციენტს არჩევანის გაკეთების საშუალება აქვს.

„კერძო ბანკების პოპულარიზაცია აქაც ჩვეულებრივია – რეკლამები გადის რადიოში, ტელევიზიაში, ტარდება შეხვედრები, ღია კარის დღეც გამიგია“, – ამბობს იგი.

ზოგიერთი მშობელი კი, რომელმაც საქართველოში საკუთარ შვილს ლეროვანი უჯრედები კერძო ბანკში უკვე შეუნახა, ამას, როგორც დაზღვევის ფორმას, ისე უყურებს.

„შეიძლება, არასოდეს გამოვიყენო და მხოლოდ ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემს შვილს ეს უჯრედები არ დასჭირდება“, – ამბობს თეა საჯავია.

დღესდღეობით საქართველოში კერძო ბანკში შენახული უჯრედები არავის გამოუყენებია. „მედულას“ წარმომადგენელი მაგდანა ბეთანელი ამბობს, რომ მათთან აქამდე არავის დაურეკავს.

„ჯეოქორდში“ კი ამბობენ, რომ იყო ერთი შემთხვევა 2007 წელს. ბანკში შეინახეს ძმის ჭიპლარის სისხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინათ თალასემიით დაავადებული დისთვის. ტრანსპლანტაცია უნდა ჩატარებულიყო იტალიაში. იმუნოთავსებადობის კვლევა გერმანიაში, ფრაიბურგში გაკეთდა. თუმცა, დაძმას შორის სრული იმუნოთავსებადობა არ აღმოჩნდა და უჯრედები ვეღარ გადაენერგეს.

აზრი აქვს თუ არა კერძო ბანკში ჭიპლარის სისხლის ლეროვანი უჯრედების შენახვას, ქეთი გენძეხაძის თქმით,

ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს.

„რატომ ვყიდულობთ ამერიკაში სიცოცხლის დაზღვევას 30-40 წლის ასაკში? იმიტომ, რომ სიკვდილს ვაპირებთ? ალბათობა ნაკლებია, მაგრამ მერწმუნეთ, ნულზე მეტი“, – ამბობს გენძეხაძე.

ზაალ კოკაიას თქმით, მთავარი ისაა, რომ მშობლებმა გაცნობიერებული არჩევანი გააკეთონ.

„უნდა იცოდნენ, რა არის დადებითი და რა უარყოფითი ჭიპლარის სისხლის პირადი მოხმარებისთვის შენახვაში“, – დასძენს იგი, – „თუკი ვინმეს კომფორტს უქმნის იმის განცდა, რომ ინახავს ჭიპლარის უჯრედებს და ამის გაკეთების ეკონომიკური საშუალება აქვს, ეს მათი უფლებაა“.

ფაქტია, რომ ლეროვანი უჯრედები მომავლის მედიცინაა და ამ დარგში ყველა განვითარებული ქვეყნის მთავრობა სოლიდურ თანხებს დებს. მაგალითად, შვედეთის მთავრობამ 5 წლით დააფინანსა 10 კვლევითი ჯგუფისგან შემდგარი პროექტი, რომელსაც კოკაია ხელმძღვანელობს. პროექტის მიზანია დიაბეტის, ტვინის ინსულტის და ჰემატოლოგიური დაავადებების ლეროვანი უჯრედებით მკურნალობის ექსპერიმენტული მეთოდების განვითარება, რომ მომავალში ამ მეთოდებით პაციენტებსაც უმკურნალონ.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ქვეყანაში ლეროვანი უჯრედების საჯარო ბანკების არსებობა აუცილებელია, რადგან მათ გარეშე ონკოჰემატოლოგიის დარგი და ლეროვანი უჯრედების კვლევა ვერ განვითარდება.

თუმცა, ლეროვანი უჯრედების საზოგადოებრივი ბანკის შექმნა თვითმიზანი არ უნდა იყოს. ასეთი ბანკები მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური, თუ ქვეყანას განვითარებული სამედიცინო ინფრასტრუქტურა აქვს და ჰემატოლოგიასა და სხვა დარგებში თანამედროვე დონის სპეციალისტების მომზადებას ახერხებს. ■

სტატიაზე მუშაობდა ანიტა თვაური.





რიპორტაჟი

ჯავახეთის დუხაბორი

დუხაბორები ჯავახეთს ტოვებენ და საქართველოში, შესაძლოა, ეს უნიკალური ეთნიკური ჯგუფი სრულიად გაქრეს.

მალხაზ ჭყაძე

უსახელო ქუჩებზე თეთრად შეღებილი სახლების რიგები დგას, ძველი საცხოვრებლები მიწით არის გადახურული, შედარებით ახლები კი – თუნუქით. ზამთარში გასათბობად გახუნებულ და ბელტებად დაჭრილ ფუნას იყენებენ – ახლომახლო ტყე არ არის. აქ შემოდგომაც ცივია, თუმცა არცერთი სახლის საკვამურიდან კვამლი არ ამოდის – მოხუცი დიასახლისები ბელტებს მკაცრი ზამთრისთვის ზოგავენ. ეზოებში თივის ზვინების პირამიდები დაუდგამთ, თითქოს ბევრია, მაგრამ მასაც უფროთხილდებიან – პირუტყვი გვიან გაზაფხულამდე ამ პირამიდების იმედად უნდა იყოს. ზოგან მიტოვებული და დანგრეული სახლებია. იმის ერთადერთ მოწმედ, რომ მასპინძლები რამდენიმეთვიან თოვლსა და ქარბუქში კერას არ აციებდნენ, ძველებური რუსული ბუხარი რჩება, უფრო სწორად ის, რაც ამ ბუხრებისგან დარჩა.

გორელოვკის ყოველდღიურობას ფანჯრების მწვანედ და ცისფრად შეღებილი ჩარჩოები და ყველა ეზოში მდგარი ცირცელი (წორო) აფერადებს. ცირცელი და არყი აქაურობისთვის ისტორიული სამშობლოს სიმბოლოა.

„ეს ჩვენი მიწაა, აქ დავიბადეთ, გავიზარდეთ. მართალია, 30 წელი ყირიმში ვმუშაობდი, ჩემი შვილები იქ დასახლდნენ, მაგრამ სიბერეში აქ ჩამოვედი, სადაც ჩვენი წინაპრების საფლავებია... ვინ თქვა, რომ აქ ცხოვრება ძნელია, ხელს თუ გაანძრევ, ღმერთი ყველაფერს მოგცემს“, – ჭაღარანვერიანმა ნიკოლაი სუხორუკოვმა უკრაინაში ცხოვრების თითქმის ნახევარი აგრონომად იმუშავა, ოჯახიც იქ შექმნა, 7 წლის წინ კი საქართველოში დაბრუნდა. ერთადერთი, რაც ხელს უშლის, ის არის, რომ ამ დრომდე საქართველოს მოქალაქე ვერ გახდა.

„თბილისში ორმაგ მოქალაქეობაზე ორჯერ გავაგზავნეთ თხოვნა, პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია. რადგან საქართველოს მოქალაქეები არ ვართ, მინის ყიდვის საშუალებაც არ გვაქვს, ვუვლით იმას, რაც ბებიებმა და ბაბუებმა დაგვიტოვეს“, – ნიკოლაი სუხორუკოვთან ერთად ორმაგ მოქალაქეობაზე პრეზიდენტის კეთილ ნებას ვასილი სლასტუხინიც ელოდება.

თუმცა ეს საქართველოში მცხოვრები დუხაბორებისთვის ერთადერთი პრობლემა არ არის. თითქმის სამი ათეული წელია, რაც ამ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ქვეყანას მასობრივად ტოვებენ – 1978 წელს ჩატარებული აღწერით, გორელოვკაში 3000-ზე მეტი დუხაბორი ცხოვრობდა, დღეს კი მათი რიცხვი 300-მდე შემცირდა.

ერთ დროს გორელოვკა ამიერკავკასიაში ჩამოსახლებულ დუხაბორთა ერთ-ერთი უდიდესი დასახლება იყო. დუხაბორების საუკუნუნახევარზე მეტი ხნის წინ დაწყებული ქართული ისტორია

■ „თბილისში ორმაგ მოქალაქეობაზე ორჯერ გავაგზავნეთ თხოვნა, პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია. რადგან საქართველოს მოქალაქეები არ ვართ, მინის ყიდვის საშუალებაც არ გვაქვს, ვუვლით იმას, რაც ბებიებმა და ბაბუებმა დაგვიტოვეს“.

გორელოვკასთან ერთად ტამბოვკის, ორლოვკის, სპასოვკის, ტროცკოვს, ეფრემოვკასა და როდიონოვკას დასახლებებში გაგრძელდა, თუმცა დღეს დუხაბორებს მხოლოდ ორლოვკასა და გორელოვკაში ნახავთ.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ მე-17 საუკუნეში გაჩენილი რელიგიური მიმდინარეობის აღმსარებლები მეფის რუსეთმა ჯერ ციმბირში, შემდეგ კი ამიერკავკასიაში გადაასახლა.

ვინ არიან დუხაბორები? 1750 წელს ტამბოვის გუბერნიაში გამოჩნდა კაცი, რომელმაც ხალხი დუხაბორობის გარშემო გააერთიანა: ის უარყოფდა საერო და სასულიერო ხელისუფლებას, ამბობდა, რომ ღმერთი ყველა ადამიანის გულშია,

ჯვარს და ხატს კი მღვდლების მიერ საზოგადოების სამართავად მოგონილ იარაღად მოიხსენიებდა. საველი კაპუსტინის მიმდევრებმა უარყვეს ბიბლიის კანონიკური ტექსტი და ახალშექმნილი ლოცვები და ფსალმუნები „სიცოცხლის წიგნში“ გააერთიანეს. ამასთან, მიიღეს ბიბლიური მცნება „არა კაც კლა“, სამხედრო სავალდებულო სამსახურზე უარი თქვეს, რაც გახდა საერო ხელისუფლებასთან დაპირისპირების მთავარი საფუძველი. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია დუხაბორებს, ისევე, როგორც მალაკნებს და სტაროვერებს, ერეტიკოსებად მოიხსენიებდა. შედეგად, დუხაბორები ჯერ ზაპოროჟიეში (ახლანდელი უკრაინა) გადასახლეს, შემდეგ კი საქართველოში, აზერბაიჯანსა და თურქეთში.

თავად სიტყვა „დუხაბორი“ პირველად 1785 წელს, ეკატეროსლავსკის მართლმადიდებელმა არქიეპისკოპოსმა გამოიყენა. ის თვლიდა, რომ ერეტიკოსები „სულს ებრძოდნენ“, თუმცა თავად დუხაბორებმა ამ განსაზღვრებას სულ სხვა განმარტება მისცეს (სულისთვის მებრძოლი, სულით მებრძოლი), მეტიც, მე-18 საუკუნის ბოლოდან საკუთარ თავს ამ სახელით მოიხსენიებენ.

„რატომ ვარ დუხაბორი? იმიტომ, რომ ღმერთს სიტყვით და სულით შევიცნობ. არ ვცნობთ სახელმწიფო კანონებს, რადგან ცხოვრების წესი თავად ღვთის სიტყვამ გვიკარნახა“, – ამბობს ნიკოლაი სუხორუკოვი.

დუხაბორებს სხვა ქრისტიანული მიმდინარეობის აღმსარებლებისგან ისიც გამოარჩევთ, რომ არ აქვთ ჩამონერილი, თუ როგორ უნდა იცხოვრონ. „ჩაინერეთ გულეში“, – ამბობენ ისინი.

დუხაბორები არ ინათლებიან, არ ატარებენ ჯვარს, ეკლესია მათთვის უხილავი ერთობაა, ლოცვებს უმეტესად ოჯახის წევრებთან, კვირაობით კი სალოცავ სახლში კითხულობენ...

ზაპოროჟიეში პირველი გადასახლების შემდეგ რელიგიურ თემში მშვიდობამ დაისადგურა, თუმცა სულ რაღაც 36 წლით. მეფის რუსეთი არ ურიგდებოდა იმას, რომ დუხაბორები არ იხდიდნენ გადასახადს, არ მსახურობდნენ ჯარში, არ



ფოტო გელაზა ასაღმა

რწმენასთან და ცხოვრების ადათ-
წესებთან ერთად დუხაბორებმა
საუკუნე-ნახევრის წინ ჯავახეთში
რუსული არქიტექტურაც
დაამკვიდრეს.

გორელოვკელი ნიკოლაი
სუხორუკოვი წუხს, რომ
თანამედროვე დუხაბორები
წინაპართა ცხოვრების წესებს არ
იცავენ.



ფოტო დინა პატრიკაშვილი / Gogroupmedia

დადიოდნენ ეკლესიაში.

რამდენიმეწლიანი დევნის შემდეგ, პავლე პირველმა „ერეტიკოსები“ ციმბირში, „ახალ რუსეთში“, მელიტოპოლში, ეკატერინბურგსა და ირკუტსკში გადაასახლა. 1839 წელს კი ნიკოლოზ პირველმა მათ ულტიმატუმი წაუყენა: ან მიიღებდნენ მართლმადიდებლობას, ან კავკასიაში გადასახლებდნენ. დუხაბორთა უმრავლესობამ რწმენაზე უარი არ თქვა.

დაუმორჩილებელთა ამიერკავკასიაში გადასახლებას მეფის რუსეთისთვის ორმაგი დატვირთვა ჰქონდა: ერთი მხრივ, მართლმადიდებლური ეკლესიისთვის მიუღებელ ადამიანებს ქვეყნის შუაგულიდან პერიფერიაში გზავნიდა, მეორე მხრივ კი, იმედოვნებდა, რომ თურქეთის საზღვართან ახლოს ჩასახლებულები, ბოლოს და ბოლოს, აიღებდნენ ხელში იარაღს და იმპერიის საზღვრებს გაამაგრებდნენ.

1841 წლის ნოემბერში შვიდთვიანი მოგზაურობის შემდეგ დუხაბორები ჯავახეთში, დღევანდელ ნინოწმინდასთან ახლოს დაბანაკდნენ. ისტორიულ წყაროებში წერია, რომ მორიგ გადასახლებას 7 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა – ჩანანერები წინაპართა ტრაგიკული ისტორიის შესახებ დუხაბორთა მიერ დაფუძნებულ „ობოლთა სახლში“ ინახებოდა, თუმცა დღეისთვის მათი ნახვა შეუძლებელია – საბჭოთა რეჟიმის დამყარებისთანავე რარიტეტები დუხაბორთა დანაზოგთან ერთად გაქრა.

„წარმოიდგინეთ, ნოემბრის ბოლოს აქ რა სიცივეა. მათი უმეტესობა, პრაქტიკულად, ხელცარიელი ჩამოვიდა ჯავახეთში, მინას თხრიდნენ, ცეცხლს ანთებდნენ და ასე ცდილობდნენ გადარჩენას“, – ამბობს ლუბა დემინოვა, გორელოვკის მკვიდრი, რომელსაც დუხაბორთა ისტორიისა და საქართველოში მათი ჩამოსახლების შესახებ ცნობები მშობლებისგან მოუსმენია.

ადგილი, სადაც მეფის რუსეთისგან განდევნილები დაბანაკდნენ, დღეს საფლავებად არის ქცეული. ლუბა დემინოვა ჰყვება, რომ მაგილკი დუხაბორებისთვის ერთგვარ სალოცავ ადგილსაც წარმოადგენს: აქ ხშირად მოდიან, რათა

წინაპრების სულებს ესაუბრონ და საჭირობოროტო საკითხზე მათგან რჩევა მიიღონ.

ეპიდემიას, შიმშილს, სუსხსა და თოვლს გადარჩენილებმა 1842 წლის გაზაფხულზე პატარა დასახლება – ბოგდანოვკა დააარსეს (დღევანდელი ნინოწმინდა). სახელი შემთხვევით არ შეურჩევიათ: სწორედ ასე ერქვა დუხაბორების თემის პირველ დასახლებას, რომელიც საველი კაპუსტინმა მეტროპოლიაში დააარსა.

დემინოვა ამბობს, რომ გადასახლების შემდეგ სამშობლოდან განდევნილებმა

„წარმოიდგინეთ, ნოემბრის ბოლოს აქ რა სიცივეა. მათი უმეტესობა, პრაქტიკულად, ხელცარიელი ჩამოვიდა ჯავახეთში, მინას თხრიდნენ, ცეცხლს ანთებდნენ და ასე ცდილობდნენ გადარჩენას“.

გარკვეული შეღავათები მიიღეს: მათ არ სდევნიდნენ რელიგიური შეხედულებების გამო, არ იხდიდნენ გადასახადებს, არ უწევდათ სამხედრო სამსახურის გავლა. თუმცა თითქმის უკაცრიელ ჯავახეთში კლიმატთან ერთად წინააღმდეგობის განევა აზერბაიჯანელებისა და სომხებისთვისაც უწევდათ. მათ ხან იტაცებდნენ, ხან არბევდნენ, ოსმალთა იმპერიიდან ჩამოსახლებულ სომხებთან დაპირისპირების ძირითადი მიზეზი კი მინით სარგებლობა იყო: მეფის რუსეთმა დუხაბორებს გაცილებით უკეთესი მიწები დაურთო. არც ახალჩამოსახლებულები დარჩენილან ვალში საერო ხელისუფლებასთან: სულ ცოტა ხანში მათ საფოსტო გზავნილების გადატანა და მგზავრების გადაყვანა დაიწყეს,

გამართეს სამიკიტნოები და სასადილოები. დუხაბორებმა 1853-1856 წლების ყირიმისა და 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომების დროს ფაქტობრივად ზურგის სამსახურის ფუნქცია იკისრეს: ჯარისკაცებისთვის საკვებ პროდუქტებს გზავნიდნენ, საჭიროების შემთხვევაში კი სატრანსპორტო საშუალებებს და საცხოვრებელსაც სთავაზობდნენ. დროთა განმავლობაში, დუხაბორებს უკვე მოღალატე-სექტანტებად კი არა, საკუთარი ქვეყნის ერთგულ კოლონიზატორებად აღიქვამდნენ.

ჯავახეთში დუხაბორებმა ერთგვარი კოლექტიური მეურნეობები შექმნეს, მინათმოქმედებასთან ერთად დაიწყეს მეცხოველეობის განვითარებაც. შექმნეს კოლექტიური ფონდიც, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში გაჭირვებული ოჯახი ფულს უპრეცედენტო სესხით იღებდა. დროთა განმავლობაში სომხებთან ურთიერთობაც დალაგდა, თუმცა თავად თემის წევრებს შორის ურთიერთობა გამწვავდა.

ჯავახეთის დუხაბორიას (ასე ეძახიან თავად დუხაბორები კომპაქტურად დასახლებულ ადგილებს) კალმიკოვების ოჯახი მართავდა. ისინი თვლიდნენ, რომ კალმიკოვები მესიის შთამომავლები იყვნენ. 1880-იან წლებში მმართველი ოჯახი მემკვიდრის გარეშე დარჩა, დუხაბორიას სათავეში ლუკერია კალმიკოვა ჩაუდგა, რომელსაც გორელოვკაში დღემდე უდიდეს პატივს სცემენ. 1888 წელს, მისი სიკვდილის შემდეგ თემი ლიდერის გარეშე დარჩა: ძალაუფლებისთვის ბრძოლა მის ძმას, მიხეილ გუბანოვსა და მდივანს – პეტრე ვერიგინს შორის დაიწყო. საბოლოოდ კი დუხაბორები ე.წ. მცირე და დიდ ნაწილებად გაიყვნენ. პირველს გუბანოვი ჩაუდგა სათავეში, მეორეს კი ვერიგინი. დიდი ნაწილი გორელოვკიდან გადასახლდა, თუმცა კონფლიქტი ამით არ ამოწურულა: დაპირისპირებულები ვერ იყოფდნენ „ობოლთა სახლის“ მონაგარს. გარდა იმისა, რომ სახლში მოხუცებს და ბავშვებს უვლიდნენ და ლოცვებს კითხულობდნენ, მარცვლეულს და ფულად დანაზოგსაც აქ ინახავდნენ. ამ ერთგვარი ადმინისტრაციულ-საკულტო



ფოტო ნალავაძე მკალაძე

დუხაბორების სახლებში მხოლოდ მოძველებულ, მაგრამ აუცილებელ ნივთებს ნახავთ. ფუფუნებას და განცხრობას მათ საკუთარი რწმენა უკრძალავს.

თემის ხელმძღვანელი ლუკერია კალმიკოვას სიკვდილის შემდეგ ჯავახეთის დუხაბორია ორ ნაწილად გაიყო.



ფოტო ლიანა პატრიკაშვილი / Gogroupmedia

ნაგებობის გამო წლების განმავლობაში მიმდინარე დავა თბილისში სასამართლოზე, დუხაბორების მცირე ნაწილის სასარგებლოდ გადაწყდა. რადიკალიზებული ვერიგინი რამდენიმე მიმდევართან ერთად კი ციმბირში გადაასახლეს. ამასთან, ზზარგაჩენილ დუხაბორიაში სამეფო ხელისუფლებამ მოსახლეობის აღწერა, გადასახადების გადახდა და სამხედრო ვალდებულების აღსრულება მოითხოვა. ამან დუხაბორების დიდ ნაწილში პროტესტი გაამძაფრა: 1895 წელს მათ დემონსტრაციულად თქვეს უარი აღექსანდრე მესამის ბრძანების შესრულებაზე, ემსახურათ ჯარში, ორლოვკასთან ახლოს რელიგიური ცერემონია ჩაატარეს და ყველა იარაღი კოცონზე დანვეს.

ხელისუფლება ურჩებს ამჯერადაც სასტიკად გაუსწორდა: 300 წვევამდელი დისციპლინებულ ბატალიონში გაამწესა, კაზაკებს კი დუხაბორების სოფლების დარბევის, ქალების გაუპატიურების და ძარცვის უფლება მისცა. 4000 დუხაბორი ოსეთში, კახეთსა და იმერეთში გადაასახლეს. მათი უმეტესობა სიცხისა და წყურვილისგან დაიხოცა.

ამასობაში კი ციმბირში გადასახლებული ვერიგინი რუს მწერალს ლევ ტოლსტოის შეხვდა. ამ შეხვედრამ პრაქტიკულად შეცვალა დუხაბორების ბედი მთელ კავკასიაში. მწერალი რელიგიურ უმცირესობას ნამდვილ მხსნელად მოეწონა: რუსულ და საერთაშორისო პრესაში აქტიურად დაიწყო მათი უფლებების დაცვა, ხელისუფლებას შუამდგომლობა სთხოვა, რომ კავკასიაში დასახლებული დუხაბორები კანადაში გაეგზავნა: შედეგად 1899 წელს 7400-ზე მეტი დუხაბორი კანადაში გაემგზავრა, დარჩენილებს კი ტოლსტოიმ ფული დაურიგა: არაერთგან წერია, რომ ტოლსტოიმ დაუმთავრებელი რომანი „აღდგომა“ საგანგებოდ იმისთვის დაასრულა, რომ აღებული ჰონორარით დუხაბორებს დახმარებოდა.

მე-19 საუკუნის ბოლოსთვის ჯავახეთში 10 000-მდე დუხაბორი ცხოვრობდა. რეპრესიების მიუხედავად, ისინი ამიერკავკასიის ერთ-ერთ უმდიდრეს მოსახლეობად ითვლებოდნენ: მიწების 35% სწორედ მათ ეკუთვნოდათ.

საბჭოთა რეჟიმის დამყარებისა და გაკულაქების მიუხედავად, დუხაბორებმა მაინც შეძლეს მცირე მეურნეობების გამართვა და იდენტობის შენარჩუნება: ისინი კარგად მოერგნენ საბჭოთა კოლმეურნეობის სისტემას. მიუხედავად იმისა, რომ 1930 წლიდან მათ აეკრძალათ რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულება, დუხაბორები მალულად იკრიბებოდნენ საკვირაო ლოცვებზე.

1980 წლიდან დაიწყო მორიგი გადასახლების ეტაპი, ამჯერად რუსეთში, თუმცა ეს უკვე თავად დუხაბორელთა

■ ციმბირში გადასახლებული ვერიგინი რუს მწერალს ლევ ტოლსტოის შეხვდა. ამ შეხვედრამ პრაქტიკულად შეცვალა დუხაბორების ბედი მთელ კავკასიაში. მწერალი რელიგიურ უმცირესობას ნამდვილ მხსნელად მოეწონა: რუსულ და საერთაშორისო პრესაში აქტიურად დაიწყო მათი უფლებების დაცვა.

სურვილით ხდებოდა.

„საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ჩვენი ყურადღება გაორმაგდა. მოდიოდნენ ეთნოგრაფები, სოციოლოგები, აკვირდებოდნენ ჩვენი ცხოვრების სტილს, გვავსებინებდნენ კითხვარებს, სადაც ერთ-ერთი კითხვა ყოველთვის ეხებოდა იმას, გვინდოდა თუ არა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება... ბუნებრივია, რომ უმეტესობა თანხმობას აძლევდა. შემდეგ, როცა დაიწყეს ლოზუნგების ძახილი: „საქართველო – ქართველებს“, წარმოგვიდგი-

ნეს ამ გამოკითხვის შედეგები. ბევრმა ასე დატოვა გორელოვკა და ორლოვკა“, – იხსენებს ლუბა დემონოვა.

1980-იან წლებში გადასახლებულები ტულაში გაემგზავრნენ, მეორე ეტაპი 1997 წელს დაიწყო, ამჯერად დუხაბორები ბრიანსკში გადასახლდნენ. 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომამდე, დუხაბორების დაბრუნების მესამე ეტაპი ტამბოვში დაბინავებით დასრულდა.

„ბევრისთვის რუსეთში წასვლის იმედი ის სახელმწიფო პროგრამა გახდა, რომელიც მიზნად ისახავდა თანამემამულეთა სამშობლოში დაბრუნების მხარდაჭერას. ალბათ მეც სულ მალე წავალ საქართველოდან, ჩემი ნათესავები და მეგობრები წასულები არიან, აქ სკოლის მეტი არაფერი დამრჩენია“, – დემინოვა გორელოვკის რუსულენოვან საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლებას ასწავლის.

26 წლის ტატიანა მარკინაც ერთ-ერთია ათასობით დუხაბორელს შორის, რომელთაც საქართველო 10 წლის წინ დატოვეს. ამბობს, რომ თავის დროზე ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილება მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ ქართული ენა საერთოდ არ იცოდა, სხვაგვარად კი საქართველოში თვითდამკვიდრებას ვერ მოახერხებდა. დღეს ის ქალაქ ტიუმენის გეოლოგიისა და გეოფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელია.

„ვფიქრობ, რომ გორელოვკაში მცხოვრებლებს აკლიათ სურვილი, რომ ცხოვრებისგან მეტი მიიღონ, უნდა ისწავლონ, შეიმეცნონ. მხოლოდ ასე შეძლებენ მეტი სარგებელი მოუტანონ საკუთარ თავს, თემს და სახელმწიფოს“, – ამბობს ტატიანა.

ნინონმინდასთან მდებარე მაგილიკი რუსეთში, უკრაინასა და კანადაში მცხოვრები დუხაბორებისთვის წმინდა ადგილად ითვლება. მომლოცველები ხშირად ჩამოდიან დუხაბორიის სავანედ წოდებულ ჯავახეთში, მაგრამ ეთნიკური რუსების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების პროცესი თუ არ შეჩერდა, დუხაბორების ნასახლარებზე ეზოებში ობლად დარჩენილი ცირცელი და არყი დარჩება. ■

მოხუცი დუხაბორები
დღემდე ტრადიციულ სამოსს
ატარებენ და ასკეტურად
ცხოვრობენ.

ცირცელს დუხაბორებისთვის
სიმბოლური მნიშვნელობის
გარდა სამკურნალო
დანიშნულებაც აქვს. მისგან
სამკურნალო სავლებს
ამზადებენ.



ფოტოები: ლიანა პატრიკაშვილი / Gogroupmedia

ფოტოგრაფია

საქსუხეთი (დასახლები სამოსხა)

მარიამ ამურველაშვილი








ხევსურეთისკენ მიმავალი გზა დანგრეული და მიუვალა. როგორც მაღალმთიანი რეგიონების უმეტესობაში, აქაც უამრავ პრობლემას წააწყდებით, მაგრამ სვანეთსა და თუშეთში ადგილობრივი მოსახლეობის სიმცირე ასე თვალში საცემი არაა. აქაურ სოფლებში კი თითო-ოროლა ოჯახილაა დარჩენილი – ხევსურეთი ხევსურებთან იცლება.

არხოტში ის ხევსურები დაგვხვდნენ, რომლებიც ზაფხულობითლა ჩადიან მშობლიური სახლ-კარის მოსახლეობლად თუ სხვადასხვა ადგილობრივი დღეობის აღსანიშნავად. მიუვალ სოფლებში თვალწარმტაცი სი-






ფოტორეპორტაჟი



ლამაზეა, მაგრამ არ არის ექიმი და ელემენტარული საცხოვრებელი პირობები. ულამაზესი ხევესურული კოშკებიც თითქმის დანგრევის პირასაა, ერთ-ერთ მათგანში ეგრეთ წოდებული „გესტ ჰაუსის“ გახსნის მცდელობასაც წავანყდი. აქ ასული ხევესურები ცდილობენ თავიანთი ტრადიციები ძველებურად დაიცვან, ქალისათვის სალოცავთან ახლოს მისვლა აკრძალულია, ამიტომაც ქალები მთის თავზე ელოდებიან როდის ამოიტანენ ადგილობრივი წესით დამზადებულ ლუდს და იქვე დაკლული საქონლის ხორცს, რისგანაც უგემრიელეს ხინკალს ამზადებენ.

ხევესურეთი სულ უფრო და უფრო ემსგავსება დაკარგულ სამოთხეს. 





ლიბერალიზმი და ფსევდოლიბერალიზმი

ბექა ქურხული

„ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი“.
გრიგოლ ორბელიანი

„პერუ მე გულით თან დამაქვს“.
მარიო ვარგას ლოსა

იქნებ ზოგს ახსოვდეს, ან შეიძლება ბევრს აღარც, რომ ჩვენს უცნაურ ქვეყანაში ლიბერალიზმის ფუძემდებელი, საქართველოსთვის ამ იდეოლოგიის პირველადი მომხრე და დამფუძნებელი წმინდა ილია მართალი, იგივე ილია ჭავჭავაძე გახლდათ – ჩემი ღრმა რწმენით, ყველაზე დიდი ქართველი პოლიტიკოსი და მოღვაწე (დავით აღმაშენებელს და საერთოდ, ჩვენს მეფეებს, ცოტა ხნით თავი დავაწებოთ, ისინი სულ სხვა სამყაროდან იყვნენ თავიანთი ალესილი ხმლებით). ილიას მაშინაც და ახლაც ყველაზე თამამად და გულწრფელად შექძლო ეთქვა: – „მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ ევროპელი“- ო. სწორედ მისი ევროპელობა იყო ამოსავალი მისი ლიბერალიზმისა, თერგდალეულობისა, ბანკებისა და მისი განთქმული ყაირათიანობისა და ხელმომჭირნეობისა, რომელიც რუსთაველისეულ საქართველოში წუნურაქობად აღიქმებოდა... დღესაც კი, ერთ რამედა ღირს მისი პუბლიცისტური წერილების გადახედვა, რომელიც იმდროინდელი ევროპის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ლიტერატურულ მოვლენებს ეხება... ჩვენი თანამედროვე პოლიტიკოსებიდან, პოლიტოლოგებიდან თუ ექსპერტებიდან, ვისაც გინდა, იმ ყოველგნის ვიდეოში ჩაისვამდა, სადაც ვერცხლის საათს ინახავდა ხოლმე.

ახლა წარმოიდგინეთ, რა აურზაური უნდა მოჰყოლოდა ქვეყანაში, რომელიც 21-ე საუკუნეშიც კი ფეოდალურია, მე-19 საუკუნის შუა წლებში ლიბერალური აზრებისა და იდეების სუფთა კახური სიჯიუტით და უკომპრომისობით ფრქვევას და მოჰყვა კიდევაც – აქეთ გრიგოლ ორბელიანი ოხრავდა: – „საქართველო

მამინ დაიქცა, როცა მე და ნვიტანაძე ერთმანეთს შეგვასწორესო“, იქით კიდევ, ერთმა დაშობიანმა და ფაფარაშლილმა თავადმა კინალამ ხანჯალზე წამოაგო: რა ყმები უნდა გავათავისუფლო, ხო არ გაგიჟებულხარ, მერე მე ვმკა ყანაო – ძლივს გააგდებინეს ხელიდან – „ნუ მოჰკლავ, ცოდაო, ჯეელია და თავში უქრისო“.

ზუსტად მაგ დროს, სწორედ ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის ატეხილი სამოქალაქო ომების გამო მთელი ლათინური ამერიკა სისხლში ბანაობდა კალიფორნიიდან მაგელანის სრუტემდე. იყო ერთი „პოლკონიკმა აურელიანო ბუენდიამ, ოცდაცამეტჯერ დაინყო აჯანყება და ოცდაცამეტიჯერ დამარცხდა“, მექსიკაში კარგი გახურებული სროლა, აქეთ აგრარისტები და ფედერალისტები, ევროპაში ჯუზეპე გარიბალდისა და მაძინის იტალიური დროშის ფრიალი და ქართველების ამბავი რომ ვიცი, ჩვენებიც დიდი საიმოვნებით ჩახოცავდნენ ერთმანეთს ლიბერალიზმის თუ კონსერვატორობის ერთგულებით, ისეთ გველშაპს რომ არ შემოეხვია მათთვის კუდი, რომელსაც ვრცელი რუსეთის იმპერია ჰქვია და რომლის კლანჭებშიც აი, ახლა-ახლა, დიდი თავპირის მტვრევით და ნაგლეჯ-ნაგლეჯ ვაღწევთ თავს.

ასე იყო თუ ისე, იმ ბედნიერ დროს საქართველოში ილია ჭავჭავაძემ და მისმა ლიბერალურმა იდეებმა გაიმარჯვა და ქვეყანასაც თავისი ხელი დაატყო, ვიდრე მოხუცობის ჟამს, მარქსისტებთან არ მოუხდა შეტაკება, რომლებმაც, ხანჯლიანი, საშინელი და ველური თავადებისგან განსხვავებით, არ დაინდეს და მოკლეს.

რად მოვაცოლე ეს მეტ-ნაკლებად ცნობილი ამბები და აი, რადა: ძალიან ხშირად, როდესაც თანამედროვე ლიბერალებს ვუყურებ, მათი მამამთავრის და წმინდანის, ილია ჭავჭავაძის ერთი ფრაზა მასხენდება, რომლითაც მარქსისტების მოგერიებას ცდილობდა – „ალბათ, თქვენნაირ მარქსისტებზე ამბობდა თავ-

ვად მარქსი, ყველაფერი დამაბრალეთ, მარქსისტობის გარდაო“. ჰოდა, მაგრად მეცინება იმის წარმოდგენაზე, ახლა ილია ჭავჭავაძე რომ წამოახედა და თანამედროვე ლიბერალები დაანახა, რას დაფრთხებოდა და როგორ დასძახებდა თავისი „პროვინციული“ კახური კილოთი: – „თქვენი ჭირიმეთ, ყველაფერი დამაბრალეთ, ოღონდ ლიბერალობას ნუო“.

ძალიან უცნაურია, მაგრამ რატომღაც, ნებისმიერი იდეოლოგია, ყველაზე კეთილშობილიც კი, როგორც არის „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ ან „სამშობლო უპირველეს ყოვლისა“, ან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება“, თითქმის ყოველთვის ძალიან ძვირი უჯდება კაცობრიობას. რაღაც წარმოდგენილი ჯადოქრობით, ეს მართლაც ძალიან სწორი, კეთილშობილური და ზოგადსაკაცობრიო იდეები ან ძალიან უცნაურ და, ღმერთო მაპატიე, უცნაურზე უფრო უცნაურად ამიანებს უვარდებთ ხელში, ან კიდევ უფრო უარესი – მედროვეებს, რომლებიც აქეთ ეტმასნებიან ამ იდეებს და „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ უცებ იქცევა ხოლმე ასეთ ბოლშევიკურ, აბსურდულ და სასტიკ განაჩენად: „კნავილი, პლეადა წუნკალ შოვინისტების“, ან ასეთ ბლეფად: „მე ვარ ჩინელი, მე ვარ მუშა, მე ვარ ყვითელი“, „სამშობლო უპირველეს ყოვლისა“ – ბინძურ, გაუგებარ და საშინელ „რასისტულ თეორიად“, სიკვდილის ჯოჯოხეთურ ფაბრიკად და „გერმანელი ხალხის უფლებად, გააფართოვოს აღმოსავლეთის ტერიტორიები“. სხვათა შორის, რასისტულ თეორიაზე გენიალურად იხუმრა ამერიკის პრეზიდენტმა რუზველტმა, მე რომ გებელსის ან ჰიტლერის გარეგნობა მქონდეს, რასობრივი თეორიის კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნებოდიო. ვეთანხმები ცხონებულს.

რაც შეეხება „სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას“, უკაცრავად და, ამ ბოლო დროს რაღაც ძალიან აგრესიული, ტენდენციური, ცალმხრივი და მიმწოლი გახდა ეს კდემამოსილი და ცი-

ვილიზებული მისი უდიდებულესობა „სიტყვისა და აზრის თავისუფლება“. რაღაც საეჭვოდ არათავისუფალი! ვახ, და თუ ვინმე ოქროს, ვთქვათ გრიშას, აილო და შეუყვარდა ბიძია საშურა და „როგორც ორ ზრდასრულ ადამიანს, ცალსახად აქვთ სრული დეკლარებული უფლება“, რავი, ყველაფრისა, პარადი და ამბავი, უხ, ბოდინი, რა გოიმი ვარ, რა პარადი, პრაიდი, ჰო, გეიპრაიდისა, მე რატომ აღარ მაქვს „სიტყვისა და აზრის თავისუფლება“ – არ მომწონდნენ, არ მაინტერესებდნენ და სულ ფეხებზე მეკიდნონ ეს ჯიგრები – გრიშა და ბიძია საშურა? მე რაღა დავამავე? არც ჰიტლერით და გებელსით დახლიფართებული ვარ, ებრაელებზეც მშვენიერი აზრისა ვარ და ქართველი ებრაელები ხომ საერთოდ ძმები არიან, ზანგებზეც კარგი აზრისა გახლავართ, მაგალითად, ჯეიმს ბოლდუინზე, ჩინუა აჩებზე, ვოლფ შოინკაზე, პელეზე, ეუსებოზე, ჟან ტიგანაზე, ალან აივერსონზე, ელა ფიცჯერალდზე, მარიამ მაკეზაზე, თინა თერნერზე... და ებრაელები და ზანგები კი არა, უარესს გეტყვი, სომხების „ატანაც“ კი შემოძლია, მაგალითად, ძალიან მაგარი მწერლის, გრანტ მათევისიანის, ასევე მაგარი მხატვრის ბაიანჩევის, ცხოვრებული და ტრაგიკული ფრუნზიკ მკრტიჩიანის, ზედ თავისი ავეტიქ ისაკიანებით, პარუის სევაკებით, გეგამ სევაკებით, სილვა კაპუტიკიანებით, ვარდგას პეტერსონიანებით და... მოსე ხორანეცამდე ნუ ჩამიყვანთ. ასევე, ჩემი ძმაცაცის სლავიკა გასპაროვის, ბიცოლაჩემი რაია სეროფიანის და ბოლოს ჩემი ყველაზე საყვარელი ბიძის, მამიდაჩემის ქმრის, რამო ზახოვეიჩ დანელიანისაც... მამ, რა იქნა ჩემი „სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება“, მომწონდეს ან არ მომწონდეს, მიყვარდეს ან არ მიყვარდეს? მარტო იმიტომ ვარ პერსონა ნონ გრატა, რომ თიკა, ლელუკა და ამთ გარდა, კიდევ სამი ეკა მიყვარდა, ერთი ლიზი, ჩემი ბავშვობის შეყვარებული ნინო ქაცარავა და ჩემი ცოლი, რომელიც ამეებს რომ ნაიკითხავს, თვალეებს ამომთხრის, ყოველგვარი გენდერული კანონის, მოძალადე ქმრების წინააღმდეგ ბრძოლისა და ქალთა უფლებების გაუთვალისწინებლად, დაუკითხავად და



■ ჰოდა, მაგრად მეცინება იმის წარმოდგენაზე, ახლა ილია ჭავჭავაძე რომ წამოახედა და თანამედროვე ლიბერალები დაანახა, რას დაფრთხებოდა და როგორ დასძახებდა თავისი „პროვინციული“ კახური კილოთი: – „თქვენი ჭირიმეთ, ყველაფერი დამაბრალეთ, ოლონდ ლიბერალობას ნუო“.

დაუხმარებლად? და კიდევ ვინ იცის, რა მელის?

მართლა, მაქვს უფლება, რომ ქართველები უფრო მიყვარდნენ, ვიდრე ლაოსელები? თან გადასარეყად მესმის, რომ იმ ლაოსელს თავის ტაო ურჩევნია ჩემს ძმებს... ან ჩემი ძმები უფრო მიყვარდნენ, ვიდრე თქვენი? მაქვს უფლება, ვახსენო სიტყვები: კავასია, ტყვარჩელი, მართლმადიდებლობა, საქართველო, ჩემი სახლი, ეკლესია, ხეკორძულა, ხორნაბუჯი, გუდამაყარი, ნაბადი, ჩემი ქისტი ძმაცაცები, ისლამი, მქნეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, კლორთალი, სინაგოგა, უბანი, ქართლოსა, ბებიჩემი მანანა... თუ ფაშისტი ვიქნები და ტერორისტი? შეიძლება თვალი გავაყოლო ლამაზტრაკიან ქალს? კაცო, მაგას გასწავლიდათ ის სოფლელი, ყვარლელი და ლიბერალი ილია ჭავჭავაძე, ბიჭებს გოგოები არ მოეწონათ, გოგოებს ბიჭები და სვანებს უშგული არ უნდოდათ

და ჩოხატაურელ გურულებს ხურმაზე გასული იზაბელაო? აბა, ეს მხეცი იაპონელები რატომ დადიან დღემდე კომონოებით, თავში ჩარჭობილი შილკებითა და დაბაკუნებენ ხის ქოშებს... ან ამ ქონიან სუმოსტების დანახვაზე რატომ ტირიან, მაგარი ჩამორჩენილები არიან, ხო? ჩამორჩნენ არა? სანყლები!

ან ეს გლობალურად აზროვნება საიდან, ე?... თუ აზროვნებ, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ გლობალურადაც აზროვნებ, კოსმიურადაც და აზრის ძალაც სწორედ ეგ არის, რომ შეგიძლია სამყაროს კიდესაც გასცდე. თუ ვერა და, საერთოდ ვერ აზროვნებ და მაგას გეოგრაფიული მდებარეობა, სიტყვების თამამი და კაკანი არ შევლის, სხვათა შორის, არც „აჩეხი“... ისევე, როგორც იმის განცხადება, რომ, არც მეტი, არც ნაკლები, მ ს ო ფ ლ ი ო მ ო ქ ა ლ ა ქ ე ხარ... შენ კი ხარ მსოფლიო მოქალაქე, მაგრამ მსოფლიო გთვლის შენ თავის მოქალაქედ? აინტერესებს საერთოდ რომელ ორღობეს ან შუქნიშანს დაეკარგე? თუ ესეც მართლა იმ „გლობალური პროვინციალიზმის“ კიდევ ერთი უტყუარი ნიშანია, რომელიც ძალიან, ძალიან დიდი ხანია საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს ნაკლად და სირცხვილად იქცა და რასაც ჩვენი გამოჩენილი ლიბერალები „ქვეყნიერების სასაცილოდ“ ლიბერალიზმს ეძახიან?

ბატონებო და ქალბატონებო, თუ ნებას დამრთავთ, მოგახსენებთ, რომ მსოფლიოს მოქალაქეები არიან: ჰომეროსი, ესქილე, ევრიპიდე, სოფოკლე, მარკუს ავრელიუსი, სენეკა, ლაო ძი, ბო ძიუ, დანტე, სერვანტესი, შექსპირი, ფრანსუა ვიიონი, რაფაელი, ელ გრეკო, ბოსხი, მიქელანჯელო, რუბენსი, ომარ ხაიამი, ჰაფეზი, ჯვალალ-ედდინ რუმი, დავით გურამიშვილი, ჰენრიკ იბსენი, ჰანს ქრისტიან ანდერსენი, კირკეგორი, ასტრიდ ლინდგრენი, ქემუძირო ოე, კობო აბე, გაბრიელ ო'ხარა, სემზე უსმანი, ჯეიმს ნგუგი, ლუი არმსტრონგი, მიხეილ კალატოზოვი, ჯორჯ ბალანჩინი, მანუელ სკორსა, მარკ ტვენი, ბორხესი, დამთხვეული და თვითმკვლელი პაპა და მისი დიდად მოქმედი ჯერომ სელინჯერი, რავი, ვინმე არ გამომჩეს, ეწყინებათ ოხრებს და ამით მარაქამი გარეყვას მართლა დიდი... არა,

მართლა არავის გულის ტკენა არ მინდა და არ ვიტყვი, დიდი რა სჭირდება... ისეთიც არაფერი... თან ეს სიაფანდი ახლა არ დანყებულა, ეე, სად იყო ეგე: – „მე ვარ ჩინელი, მე ვარ მუშა, მე ვარ ყვითელი“... იყავი ძმაო, მე კი არ გიშლი, მაგრამ რომ არა ხარ და იტანჯები?

ეს სანახევროდ ხუმრობით, სერიოზულად კი აი, რას ამბობენ ამ ამბებზე, ორი მართლაც მსოფლიოს მოქალაქე, მოაზროვნე და გენიოსი მაროი ვარგას ლიოსა და ვაჟა-ფშაველა. მე კი ძალიან დავილაღე და თქვენი ნებართვით, წავალ, ერთ გლობალურ „უინსტონს“ მოვწევ და მსოფლიოსაც გადავხედავ ჩემი უბნიდან, იქნება, ლუდის დასალევად ბიჭები მოძრაობდნენ, ჩავეშველო...

მაროი ვარგას ლიოსა: „არა მგონია, იმ ფაქტს, რომ ჩემდა უნებურად მსოფლიო მოქალაქე შევიქენი, ჩემი ფესვები შეესუსტებინოს, რადგან ასე რომ მომხდარიყო, პერუდან გამოყოფილი წარსული და გამოცდილება მწერლად ვერ მაქცევდა, ჩემს ნაწერებში დაუყოვნებლივ ვერ ამოტივტივდებოდა, მაშინაც კი, როცა მოქმედება, თითქოს პერუდან ძალიან შორს ხდება“.

ვაჟა ფშაველა: „ზოგსა ჰგონია, რომ პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური – ვაჟა-ფშაველა) პატრიოტია. როგორ? ასე. რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, მეგობრებს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, მის კეთილდღეობას“.

PS. ეს ის ვაჟა-ფშაველაა, რომელმაც 25 წლისამ „ალუდა ქეთელაური“ დაწერა. ვინც იცის, იმათთან გულწრფელი ბოდიში მომითხოვია და ვისაც „ალუდა ქეთელაური“ ჩეჩნებისა და ხეესურების ხმალაობა და სისხლის აღება ჰგონია, მოვასხენებ, რომ ეს პოემა არა მარტო მსოფლიო მნიშვნელობის შედევრია, არამედ ერთ-ერთი პირველი და საუკეთესო ლიბერალური ტექსტი ქართულ ლიტერატურაში. ოღონდ ნამდვილი ლიბერალური, ნამდვილი ილია ჭავჭავაძისეული!..

ღიას, ბუხაში მუჰია!

გიორგი კიკონიშვილი

ქეთათო ჩარკვიანი: „ძალიან მაღიზიანებს, როდესაც სექსუალური უმცირესობები (და მე მათ არაფერს არ ვერჩი), პროპაგანდას ახდენენ თავისი ცხოვრების სტილით. ძალიან ბევრი მეგობარი მყავს სექსუალური უმცირესობებიდან, მაგრამ თავისთვის არიან. როდესაც ამის აფიშირებას და სპეკულირებას ახდენენ, ეს ჩემთვის გამაღიზიანებელია. პირადი ცხოვრების უტყობობა პროვინციალიზმზე მეტყველებს“.

როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ეს ფრაზა დღეს ქეთათომ თქვა გადაცემაში, რომლის წამყვანმაც იგი სტერეოტიპების დამანგრეველ პერსონად გაგვაცნო. ამის თქმამდე ხუთიოდე წამით ადრე ის თავად „აფიშირება“ და „პროპაგანდას უწევდა“ საკუთარ პირად, სექსუალურ ცხოვრებას. ქეთათოს ლოგიკით, მისი და ირაკლის, როგორც ჰეტეროსექსუალი წყვილის სიყვარული, გრძნობები და ცხოვრება ლეგიტიმურია, ამის „პროპაგანდა“ დაშვებულია და პროვინციალიზმი არაა. ხოლო „სხვა დანარჩენი“, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები უნდა იყვნენ „თავისთვის“, ჩუმად. მათთვის საკუთარ ცხოვრებაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, „პროფილში“ ნამღერი ქეთათოს „აფრები“ ცუდად მოქმედებს ადამიანებზე. პირველ რიგში, თავად შემსრულებელზე.

დავანებოთ თავი ამ ქალს. გაცილებით მნიშვნელოვან ამბავზე მინდა მოგიხსნათ, ვიდრე მეფის ცოლის თუ დედოფლის მორალისტური გამოხტომებია.

18 წლის მითიუ ჰომოფობაზე (ამითი მოქალაქე)

20 ოქტომბერს მსოფლიო ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი) ადამიანების სიმამაცის დღეს აღნიშნავს,

მათი გამხნეების დღეს. ქეთათოსავით ბევრს ჰგონია, რომ გეები ჩუმად უნდა იყვნენ, „თავისთვის“ და ხმას არ უნდა იმაღლებდნენ საკუთარ უფლებებზე, საკუთარ ცხოვრებაზე, გრძნობებზე და რაც მთავარია, საკუთარ სიცოცხლეზე! ამბობენ, მათ უფლებებს არავინ ლახავს, არავინ ხოცავს, პრობლემები არ აქვთ და თავს გვახვევენ, პროპაგანდას უწვენ თავიანთ ორიენტაციასო. ამ პოსტის ბევრი მკითხველიც ამ აზრზე იქნება, დარწმუნებული ვარ. ამიტომ, როგორც ადამიანი, თქვენ, ადამიანებს გეკითხებით: არის თუ არა პრობლემა, როდესაც შენი ბუნებრივი მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის გამო აღგიკვამენ ცოდვილად, ავადმყოფად, გადახრილად? არის თუ არა პრობლემა, როდესაც შენს გრძნობებს გრძნობებად არ თვლიან? როდესაც გაიძულენ, ჩუმად იყო იმის გამო, რაც შენ არ აგირჩევია? როდესაც ამის გამო დაგცინიან, გაყენებენ შურადაცხიოვას, სძულხარ? რაც მთავარია, შეიძლება თუ არა უპრობლემობა დავარქვათ იმას, როდესაც მსოფლიოში უამრავ ადამიანს კლავენ ან თვითმკვლელობისკენ უბიძგებენ მხოლოდ მათი სექსუალური ორიენტაციის გამო? დახედეთ ამ ორ ფოტოს, ერთზე 18 წლის ამერიკელი თინეიჯერი გეია გამოსახული, მეორეზე – აფრიკელი. ორივეს საერთო ისტორია აქვს: ჰომოფობთა ჯგერომ ისინი ცოცხლად აწამა და მოკლა. ვინმე მეტყვის, რომ სექსუალური ორიენტაციის გამო ადამიანის დისკრიმინაცია და, მით უმეტეს, მოკვლა პრობლემა არაა და ამის შემდეგ გეები „ჩუმად უნდა იყვნენ, თავისთვის“? ვინმე მეტყვის, რომ სიძულვილი პრობლემა არაა?

აფრიკელი გეი ქაჯაზი ცოცხლად დაწვეს სადაც მკვლელები არსებობენ, იქ მათი მომხრეებიც იქნებიან. სამაგიეროდ, მათ



მეთუ შეფერდი, გეი, რომელიც ჰომოფობებმა მოკლეს ცემით 18 წლის ასაკში. აშშ



აფრიკელი გეი, რომელიც ჰომოფობებმა ქუჩაში ანამეს და ცოცხლად დანგეს.

რაც არ უნდა იძახონ „ქეთათობმა“, რამდენჯერაც არ უნდა მითხრან შენი ხმა არ გავიგოო, იმდენჯერ აი, ასე, ხმამაღლა ავდგებით და ვიტყვით: დიახ, გურამი მქვია!

გარდა დედამიწაზე არსებობენ ადამიანები, რომლებიც პრობლემას საღად ხედავენ და განურჩევლად ორიენტაციისა, მზად არიან, მხარში დაუდგნენ და გაამხნევეთ ყველა, ვინც საკუთარი იდენტობის გამო ჩაგვრას განიცდის.

არ ვიცი, რამდენად გადავაჭარბებ შეფასებაში, თუმცა მგონია, რომ დღევანდელი სიმამაცისა და გამხნეების დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართული ლგბტ საზოგადოებისთვის. არადა, ყველაფერი შემთხვევით დაიწყო. ორგანიზაცია „ლგბტ საქართველო“-ს ბლოგზე დაიდო პატარა პოსტი 20 ოქტომბერთან დაკავშირებით. ამ დღეს აქტივისტები და მათი მხარდამჭერები ტრადიციულად ისევე სამოსში იმოსებიან სოლიდარობის ნიშნად. პოსტის დადებიდან რამდენიმე საათში კი ქართული სოციალური ქსელები მოულოდნელად გაიხსრდა. ასობით ადამიანი, მათ შორის უამრავმა ჰეტეროსექსუალმა ისიფერი ფოტოებით, ბაფთებით, ჩაცმულობით ღიად და საჯაროდ დააფიქსირა თავისი მხარდაჭერა ქართველი და არამხოლოდ ქართველი ლგბტ ადამიანების მიმართ. ვისაც ეს „ქვეყნის გაპიდარასტება“ ჰგონია, ცხადია, ცდება (იმედია, ვთანხმდებით, რომ ადამიანის ორიენტაცია ფეისბუქ-ავატარებით არც იცვლება და არც განისაზღვრება). ყველაზე მნიშვნელოვანი აქ სწორედ ქართველი არაჰომოსექსუალების პოზიცია იყო, რომლებსაც ცხადად ესმით, რომ ქვეყანაში პრობლემა არა ჰომოსექსუალობა, არამედ – ჰომოფობიაა; რომ სიძულვილი, დისკრიმინაცია და მითუმეტეს, ფიზიკური ანგარიშსწორება საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის ზიანის მომტანია; რომ სიყვარული და სექსი არა კონკრეტული სქესის და ორიენტაციის, არამედ ზოგა-

დად ადამიანის უფლებაა, ისევე, როგორც ამ სიყვარულსა და სექსზე თუნდაც საჯაროდ საუბარი, რასაც ქეთათო, ზვიად ძიდიგური და სხვები „პროპაგანდას“ უწოდებენ. და რაც მთავარია, დღეს გაიასამინიფერებული ადამიანები თანხმდებიან, რომ რაც არ უნდა ატრაკონ ჰომოფობებმა, რასისტებმა თუ ზოგადად ფაშისტებმა, ადამიანი, განურჩევლად მისი ყველა „ნიშან-თვისებისა“, უბრალოდ, ადამიანია, რომ გრძნობა გრძნობაა, ცხოვრება ცხოვრება და სიცოცხლე სიცოცხლეა.

ამის გაგება არათუ საქართველოში, არამედ როგორც ხედავთ, ამერიკასა და აფრიკაშიც ბევრს უჭირს. არათუ უჭირთ, ასეთი „ქეთათობები“ მოგიწოდებენ გაჩუმდე, გრცხვენოდეს, იმალებოდე მიწისქვეშ, იცხოვრო მუდმივად ნიღბების ქვეშ, შიშში და იმის უფლებასაც კი არ გიტოვებენ, რომ ხმა აიმაღლო.

ერთხელ ერთმა ბიჭმა (მგონი, გურამი ერქვა) მკითხა, მე ხომ არ გავიძახი, ჰეტეროსექსუალი ვარო და ხომ არ ვმართავთ ჰეტეროსექსუალების ალღუმს, გეები რას გვახვევთ თავზე თქვენს უფლებებსო? პასუხი ძალიან მარტივია: თუ ერთ დღეს „გურამები“ აღმოაჩენენ, რომ საზოგადოება „გურამობას“ ცოფვად და ავადმყოფობად თვლის და მეტიც, დაიწყებენ „გურამების“ ჩაგვრას და დისკრიმინაციას, ცხადია უსამართლობაზე გაბრახებული მამაცი „გურამები“ ადგებიან და ხმამაღლა იტყვიან, „დიახ, მე გურამი მქვია! დიახ, შენ ჩემს უფლებებს ლახავ! დიახ, მამაცი ვარ და იქამდე არ გავჩუმდები, სანამ სამართლიანობას არ მოვიტხოვ და მივიღებ!“.

ბევრ „გურამის“ და „ქეთათოს“ უკვირს, რატომ ვიმაღლებთ ხმას. არადა, მარტივია, რეაქცია აუცილებლად შობს უკურეაქციას

და ვისაც ამის თავი გვაქვს, იქამდე ავიმაღლებთ ხმას, სანამ თუნდაც ერთი ადამიანი გვეტყვის, შენი ხმა არ გავიგოო. არ ვიცი დადგება თუ არა დრო, როდესაც აფრიკაში ადამიანს ქუჩაში ცოცხლად არ დანგვენ, ან ირანელებით არ ჩამოახრჩობენ, ან ამერიკელებით არ მოკლავენ და უზიძებენ თვითმკვლელობისკენ მხოლოდ და მხოლოდ მისი ორიენტაციის გამო. სამაგიეროდ, ვიცი, რომ ამერიკის პრეზიდენტი, Google, Facebook, Sony Entertainment, Apple, Microsoft, უამრავი საეკლესიო პირი, პოლიტიკოსი, ლედი გაგა და სხვა მომღერლები, მოქალაქეები და უთვალავი ადამიანი მთელ მსოფლიოში მხარს უჭერს ლგბტ ადამიანებს. ვიცი, რომ ავსტრალიის ეროვნული რაგბის ნაკრების წევრმა პროტესტის ნიშნად გადაწყვიტა, ცოლი არ მოიყვანოს მანამ, სანამ მის ქვეყანაში ჰომოსექსუალთა უფლებები სათანადოდ არ იქნება დაცული და კიდევ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ უამრავი „ვიცი“, თუმცა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის ერთია: დღეს, 20 ოქტომბერს, ლგბტ ადამიანების სიმამაცის დღეს, საქართველოში ასობით ადამიანი, ბლოგები, უურნალები და ვებგვერდები ჩვენს გარშემო სოლიდარობის ნიშნად გაიასამინიფერდნენ.

ჰოდა ვიცი, რომ რაც არ უნდა იძახონ „ქეთათობმა“, რამდენჯერაც არ უნდა მითხრან შენი ხმა არ გავიგოო, იმდენჯერ აი, ასე, ხმამაღლა ავდგებით და ვიტყვით: დიახ, გურამი მქვია! დიახაც, მამაცი ვარ!

დაახლოებით ვხვდები, რამდენი ადამიანი დაწერს ამ პოსტის კომენტარებში „გქვია და გერქვას!“

ჩემი პასუხიც ადვილი გამოსაცნობია: დიახ, მქვია და მერქვას. და იქამდე გავიმეორებთ ამას, სანამ არ მიხვდებით, რომ გურამი – ადამიანის სახელია, სხვა სახელებთან ერთად.

ნიფნიფი, ნუფნუფი, ნაფნაფი.



რამდენიმე დღის წინ, ქალაქის შემოგარენში ველოსიპედებით გასეირნებისას, მე და ჩემი მეგობარი აი ასეთ რამეზე შევთანხმდით – ჩვენთან ფული ქალაქის სახეს ჯერ კიდევ ვერ შეცვლის. უფრო მეტიც, სწორედ ფულიანი ადამიანების წყალობით გამოიყურება თბილისის უბნები ასე ღარიბულად, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. თბილისი ღარიბულია თავისი მოჩვენებითი სიმდიდრით, რადგანაც სხვა ყველაფერთან ერთად, ის აქაური „ფულის ტომრების“ სულიერ თუ ინტელექტუალურ სიღარიბეზე მიუთითებს. მესმის, რომ ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ ეს ასეა და სხვას ვერაფერს ვიტყვი. იმ დღეს ტყუილბურალოდ დავციალობდით აქეთ-იქით თუნდაც ერთი-ორი ისეთი სექტორის სანახავად, სადაც კერძო, „ფულჩაყრილი“ კარ-მიდამოების ერთიანობა მეტ-ნაკლებად მიანიშნებდა იმაზე, რომ მათ ბინადრებს თავიანთი საცხოვრებელი სივრცის მთლიანობაში ალქმის სურვილი ან უნარი ჰქონოდათ. ისეთი შთაბეჭდილება დავგრჩა, თითქოს ამ კარ-მიდამოების პატრონები აქ თვალუბახვეულები მოიყვანეს და დღესაც თვალუბახვეულნი იღვიძებენ და იძინებენ. თუმცა, მეორე მხრივ, უნდა ვაღიარო, რომ ამ ადამიანებს ადგილის შეგრძნება ნამდვილად აქვთ, – ისინი, რეკომენდაციების ან შეიძლება წამხედურობის შედეგად, ხშირად საკმაოდ კარგ ლოკაციებს ირჩევენ საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად, საკმაო თანხებს იხდიან მათ შესაძენად და მერე კიდევ უფრო დიდი ფულს ხარჯავენ იქაურობის დასამახინჯებლად. თვითონ ნახეთ და დარწმუნდებით, რომ არაფერს ვაჭარბებ.

ფული მენტალიტეტს არ ცვლის, ან უფრო სწორად, ჯერ ვერ ცვლის, რად-

განაც ჩვენ ნაშოვნი ფულით ტკობის ეტაპი არ გაგვივლია. ეს ღარიბი ქვეყნების სენია და ეს სენი მოსახდელი გვაქვს. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ ამასობაში გაორმაგებული ტემპებით მახინჯდება ქალაქი და მისი შემოგარენი? მე პირველი არ ვარ, ვინც ამაზე ცდილობს ყურადღების გამახვილებას. ეს ის საკითხია, რომელსაც სისტემატურად უბრუნდება ყველა, ვისაც ამაზე გული შესტკივა. „ესე იგი, მე გული არ შემტკივა?!“ – შემეპასუხე-



ბა „კოშკინ დომის“ პატრონი. მე მას ასე ვუპასუხებდი: პრინციპში, ალბათ, არა, რადგანაც წლებმა გვიჩვენეს, რომ „გული შემტკივა“-ს სუფრულმა ვერსიამ ვერაფერი ხეირი ვერ მოუტანა აქაურობას, ხოლო „გული შემტკივა“-ს სხვა ვერსიები შენთვის ჯერ ცნობილი არაა. ჰო, შენ იმოგზაურე, რაღაცები ნახე, ვიღაცებს შეხვდი, მაგრამ შენი კარ-მიდამო „უადგილო“ ადამიანის სახეს მიჩვენებს, ვისაც საკუთარ თავში არათუ არ ჩაუხედავს, არამედ ამის სურვილიც არ გასჩენია. შენი სახლი გარესამყაროსადმი შენივე გულგრილობაზე მიანიშნებს და ეს ასე დარჩე-

ბა მანამ, სანამ ვირი ხეზე ავა. აი, ასე უხეშად და მოჭრით!

ის, რომ ჩვენ საერთო ენის გამონახვის სურვილი და უნარი ჯერ არ გვაქვს, სწორედ კერძო მშენებლობების მეშვეობით ვლინდება თბილისშიც და საქართველოს სხვა კუთხეებშიც. მე (ალბათ, უკვე მიმიხვდით) მხოლოდ სახლებზე და მათ არქიტექტურულ ავ-კარგიანობაზე კი არ ვსაუბრობ, არამედ მათი ერთიანობის შედეგად მიღებულ ქალაქის სახეზე. თბილისში

ბევრი ლამაზი კერძო სახლი აშენდა ამ ბოლო დროს, მაგრამ ასეთი სახლების სიახლოვეს აშენებული დანარჩენი სახლების უმრავლესობა ხელის ერთი მოსმით აქრობს ხსენებული სახლების ღირსებას და საკუთარი უსახობის ნაკადში კარგავს მათ. შედეგად კი ვიღებთ თბილისის უსახო „მდიდრულ“ თუ „პრესტიჟულ“ უბანს.

ქალაქში ხეტილისას ეს ძალიან დამორგუნველად მოქმედებს ხოლმე ჩემზე, რადგანაც ისევ და ისევ მასხენებს იმას, რომ ამ კარმიდამოების პატრონების დიდი ნაწილი ან ქვეყნის ბედს წყვეტს ან ამისკენ ისწრაფვის. **■**



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი
გორი, ქარელი, საშუსრი
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5

FM 103.0

FM 104.5

FM 101.0

FM 101.9



WWW.LIBERALI.GE
